

05 „1929“
J-273.

ქართული მეცნიერება


F 719

12/1929

სტ. საქათველოს საბჭოთა მწიგნობის ორგანიზაციის
გაზეთთა და პერიკლიკის

გაზეთთა და პერიკლიკის

3



მ ა რ ტ ი — 1 9 2 9
ტფილისი

საქათველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია

ბ. ბუაჩიძე
ვ. კოტეტიშვილი
ტიციან ტაბიძე
ლემ ჭიაჩელი
ლ. ასათიანი

ვლადიმირ ლენინ

II

ესროლეთ ყველას
ამბავი ცხელი,
შეატყობინეთ
ციმბირს ტაიგებს,
რომ გამოუჩნდათ
მშრომელებს მხსნელი,
და მომავალის
გზები გაიგეს.
სოციალური
რევოლუცია
დღეს უკვე
სმოლნმა
დაადასტურა;
ვინ დაწყოს ეხლა
ამ მიზნისათვის
მუშამ რამდენი
სისხლი დასწურა.
ქველის ნაშთები
უნდა მოისპოს,
გაჩაღდა ომი
სამოქალაქო,
შემოტრიალდა
ფაქტების გროვა,
რომელი ერთი
ჩამოვალაგო.
როს კრეისერი
ნევაში ჩადგა
და ზარბაზნების
ალი ავარდა,

ამან ძველი დრო
წელში მოხარა
და სამუდამოთ
დააავადა.

პირველი მეხი
ზამთრის სასახლეს,
ბრძოლის სიგნალი
მისცა „ავრორამ“,
ძველმა რუსეთმა
გადმოიხედა
და სასიკვდილოდ
გადმოაზმორა.

შეიქნა ბრძოლა,
ბრძოლა სასტიკი,
ბრძოლა ტყვიებით,
ბრძოლა კბილებით,
იბრძოდენ ყველგან,
იბრძოდენ გარეთ,
ებრძოდენ სახლში
მამას შვილები.

*
*
*

ეს მოხდა ღამით,
როცა პეტროგრადს
ეძინა ცივად,
გულის ფრიალით,
ტყვიისმფრქვევლები
რომ აკაკანდენ
და ყუმბარებმა
მორთეს გრიალი.
დიდმა ქალაქმა,
ვით გველეშაპმა,
თითქოს სიზმარში
კოშმარი ნახა,
შემოიბრუნა
პირი ძველისკენ
და ჩასაყლაპად
დაუღო ხახა.

შეირხა უცებ
მთელი მიდამო;
ჩაიბუტბუტეს
ნევის სფინქსებმა:
„სამოქალაქო
ცეცხლი გაჩაღდა
და ასე უცებ
არ დაივსება.
ჩვენ აქ ვდარაჯობთ
აკადემიას,
ვდარაჯობთ ჩუმად
ნევის ნაპირებს
და ვხედავთ ყველგან
სასტიკ სურათებს,
მუშას ნაღვლიანს
და ანატირებს.
ჩვენ ვართ უცხონი,
იქ დავიბადეთ,
სადაც ბობოქრობს
წყალი ნილოსის,
სადაც მრავლობდენ
დიდნი ქალაქნი
და სასახლენი
მარმარილოსი.
ჩრდილო აფრიკა
ძველათვე იყო
ყველგან ნაქები
თავის დიდებით,
უდაბნოებში
მდგომი სფინქსებით
ობელისკებით,
პირამიდებით.
აქ გვსუსხავს
გრძელი, ცივი
ზამთრები,
ამინდი არ სჩანს
აქეთ სადარი;
გვიყვარს მზის სხივის

მცხუნვარე ძალა
და სილა ცხელი,
როგორც ღაღარი.
კიდევ გაუძლებთ
საუკუნეებს
მოთმინებით
და კაჟის კუნთებით,
და გავიხარებთ
ნამდვილად მაშინ,
როცა ეგვიპტეს
დავუბრუნდებით.
იქაც აგრევე
იტანჯებოდენ
ბატონის ხელში
შავი მონები,
იქაც ყოველთვის
განიჩეოდენ
თავის სიმკაცრით
ფარაონები,
რამდენი ჯოხი
მონებს ხვდებოდა
იმას ვინ მოსთვლის,
ენა ვერ იტყვის,
მონების ტანჯა
ზეცას სწვდებოდა,
ჩვენც გვატირებდა
კვნესა ეგვიპტის.
მას შემდეგ განვლო
მრავალმა წელმა
და გადარეცხა
ველი ნილოსმა,
ახლა რუსეთის
ცეცხლი გვახარებს,
რევოლუციას
ჩვენი მილოცვა.
ცეცხლი მატულობს,
ცეცხლი იზრდება
უნდა ველოდეთ

საშინელ ხანძარს.
გახე გაღმისკენ
რა ამბავია?
რა მოუვიდა
ისაკის ტაძარს?!

* *
*

— „ძმებს სასიკვდილოდ
აღარ ინდობენ,
თითქოს ფრონტიდან
მტერი მოსულა
და დაიურვა
ნერვიულ ხელით
წვერი ისაკიმ
დეკანოზურად.
„ძველო რუსეთო
მედგრად იდექი,
სიმძიმე მეტიც
აგიტანია.
ხალხო, დაგიხსნის
ავი ბოდვისგან
შესაწირავი
და ლიტანია.
დიდი უღელი
მფარველობისა
ისტორიულად
ჩვენ გვაქვს
ნაკისრი,
დავაგუგუნოთ
ერთხმად ზარები
გადავიხადოთ
მსწრაფლ პარაკლისი“.
და როცა მუშა
გაფითრებული
ტყვიებს ისროდა
ტყვიებს იჭერდა,
ამ დროს ისაკი
თავისი მრევლით

ღმერთს აღიდებდა
პირჯვარს იწერდა.
მაგრამ ვერ გასჭრა
ლოცვა, ვედრებამ
და მარხულობამ
მტკიცე ბერულმა,
სარწმუნოებაც
უფსკრულში გაქრა,
წავიდა ჩუმად
და უფერულად.
ღამე გააპო
ზარბაზნის შუქმა
და უცაბედათ
გაღმა გამოჩნდა,
ვინმე ჭაბუკი
მერანზე მჯდომი,
სროლის გამგონე
როგორ გაოცდა.
ძლივს შეაჩერა
გაშმაგებული,
ყალყზე შემდგარი
შავი მერანი
და სთქვა:
„რუსეთო, ველარ
დაგიხსნის
ამ ბრბოს ხელიდან
აწი ვერავინ.
ჩემო სამშობლოვ
ველარ მიცანი?
ვარ შენი მეფე
პეტრე პირველი,
მე ვარ ის კაცი,
ვინც აგიშენა
ჰა ეს ქალაქი
გასაკვირველი.
ვინაც ახლისთვის
იყო მებრძოლი
და უდიდესი

რეფორმატორი
მაგრამ არ იყო
მოდმეთა
მკვლელი,
დანის დამცემი
მაღალატურად.
მუშაა თვითონ
ბედის მჭედელი
და ვერ დააფრთხობთ
იმას ვერას გზით.
მშვიდობით
ჩემო ძველო რუსეთო
ასსამბლებით
და რევერანსით“.
ეს სთქვა და მტკიცედ
დარწმუნებული
მშრომელი ხალხის
საქმის ძლევაში
იგი ფიქრობდა
ბრინჯაოს რაშით
თავის დახრჩობას
ყვითელ ნევაში.

*
* *

ღმერთს ევედრება
აკანკალებით
იქით სინოდი,
აქეთ სენატი.
ძველ ნაბატონართ
სტუმრათ მოელის
ხვალ შლისსელბურგის
ბნელი სენაკი.
მოისმა უცებ
ზევიდან მოთქმა,
ხმა საშინელი
გულშემზარავი:
„თუ ღმერთი გწამდეთ
გთხოვთ შემბრალოთ

ნუ თუ არ მოსჩანს
ახლოს არავინ?
ძველი რუსეთის
იმპერატორი
ვარ ალექსანდრე
რიგით მესამე,
რათ დავიტანჯე
ასე სასტიკათ
უფალო მამცნე
რისთვის ვეწამე?!
ჩემი სახელის
უკვდავსაყოფად
მე აღმიმართეს
აი ეს ძეგლი,
მე მერჩივნოდა
ამ ყალბ დიდებას
ჩემთვის დაედგათ
გვირგვინი ეკლის.
მე მისი დედაც...
ვინაც აქ დამსვა
და ხელში მომცა
ოჩანი ცხენი,
გამვლელ-გამომვლელთ
თვალყურს ვადევნებ
როგორც უბრალო
პოლიციელი.
ცივ ოქტომბერის
მსუსხავ ქარებში
ვარ გადამდგარი
ამ დიდ პროსპექტზე,
და ძველ დროებას
ისლა მაგონებს
რომ ვუთვალვალე
ქუჩის როსკიპებს.
ხალხს სურდა
ქვეყნის გადაბრუნება
და შეეცვალა
მმართველის სისტემა;

მამა მომიკლეს,
როგორი მამა,
უსინდისო
ტერრორისტებმა.
ეხლა ხომ ხედავ
შვილსაც მიკლავენ;
აჰა უფალო
შენ თუ მიშველი
და მერე თუნდა
სულ განვიძარცვო,
პროლეტარივით
ვივლი შიშველი.
გამოიცვალა
ეხლა დროება,
ყოველი კაცი
ჩემი მტერია,
თორემ ქვეყანას
შევადრწუნებდი
რომ მყავდეს
ძველი ჟანდარმერია“.

*
* *

აჯანყებულა
მთელი კრონშტადტი,
დაიძრა რისხვით
ხიშტის ტყეები,
წინათ პეტროგრადს
არ მოსწრებია
ასეთ სიბრაზით
სავსე დღეები.
ჩამოგვეცალე გზიდან
კერენსკი,
რაც იმინისტრე
ისიც გეყოფა,
შენ მოიმდურე
მრავალი ერი,
გადაიმტერე
მთელი გლეხოზა.

ალიზიანე
სოფელი დიდხანს,
მიწის რეფორმებს
ალარ იწყებდი,
მაგრამ გლახობამ
თვითონ დაიფლო
მემამულეთა
ველი, მიწები.
ალარ გვსურს
დიდი, საქვეყნო
ომი და რათ
შენ თვითონ
კარგად მიხვდები,
მეფის ომებში
თუ გსურს გვაბრძოლო,
მაშინ მკერდებით
ჩვენ დაგიხვდებით.
ელაქუცებით
მუშის მკვლევლებს,
ბურჟუაზიას
ალარ შორდებით,
დღესა გვაქვს
ბრძოლა საბედისწერო.
მაშ ვნახოთ
ვინ ვის გავუსწორდებით,
ცხოვრებამ ძალზე
დაგვაძაბუნა,
ქარხნების კვამლი
ფილტვებს გვიჭლექებს,
მაგრამ გავჩნდებით
მუდამ იმ ადგილს,
სადაც მუშის ხმა
ძლევით იჭექებს.
ტყვილა ამზადებ
ჩვენზე თავდასხმას,
ტყვილა ამაგრებ
ქალაქ გატჩინოს,
მანდ თუ დამარცხდი

მერთ გათავდა,
შენ ვერაფერმა
გადაგარჩინოს.
—ველარ გიშველის
ველარც პულკოვო,
გამაგრებული
მეფის სოფელი;
„დამარცხდებიო“
განა არ გესმის
ყურში ჩაგძახის
მეფისტოფელი.
და იყო ბრძოლა
მაგრამ ხანმოკლე,
პროლეტარების
სისხლი დაიქცა;
სურდათ კერენსკის
გასამართლება,
მაგრამ მოასწრო,
უკვე გაიქცა.
ველარ უშველა
იმას გატჩინომ,
ნამზადმა ტყვიამ
და ყაზახებმა;
მისი ამბები
მუდამ დარჩება
საისტორიო
გამათრახებათ.
მარადი იყოს
ხსოვნა იმათი,
ვინც დღეისათვის
უკვე მკვდარია;
ამგვარი მსხვერპლი
ვერ შეაშინებს
ბრძოლებში ნაცად
პროლეტარიატს.

* *
*

რევოლიუცია
ჰგავს მატარებელს.

ის მომავლისკენ
მიემართება
და თუ უეცრად
ვინმე გადმოხტა,
ან უცაბედათ
გზაზე დარჩება,
ან თუ მას
ვინმე მუშტით
დახვდება,
ან ლიანდაგზე
გაიშხლართება,
იმისი ბედი
განწირულია,
თქვენ იცით
მას რაც დაემართება.
ველარ გადურჩა
ძველი რუსეთი
თავისი ბედის
კანონს უღმობელს.
ვინ მოერიოს
ამოდენ მშრომელს
ვინ წააქციოს
ილჟა მურომეც
და შემთხვევითი
ნუ გეგონებათ,
რომ ლენინს
კიდევ ერქვა
„ილჟიჩი“,
ის მურომეცის
შთამომავალი,
საქმეს უმზადებს
საკვირს
შვილიშვილს.
ვინ შეეჭიდოს
ეხლა მურომეცს
გაფოლადებულს
წინა ბრძოლებით.
მედგრათ წინისკენ

კვლავ ბრძოლა გველის
დიდი ილღიჩის
წინამძღოლობით.

.
ვისაც კიდევ გწამთ
ცხრა იანვარი
ამოუღებელი
მუშები ლენის
და ოქტომბერის
რევოლუცია
მოიგონებდეთ
ვლადიმირ ლენინს.
ხალხი გადივლის
ძღვევის მარშებით
თუ ჩამწარდება
სიცოცხლის დღენი
მილიონთ გულში
მაინც დარჩება
დიდი სახელი
„ვლადიმირ ლენინ“.

— : —

ქ მ ს ა მ ა ხ შ.

ნოველა
(დასასრული*).

იმ ღამეს წვრილ ვახშობამდის სუფრას ვუსხედით მე და ტაგუ სამუგია და ხარდანის ღვინოს შევექცეოდით.

რა შეედრება ყავარზე წვიმის წვეთების ცეკვას და ამგვარი მუსიკის აკომპანიმენტზე დაძინებას. მაგრამ საიდგანლაც ჭიჭინობელას ხმა ისმოდა. თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მესმოდა მისი ჭრიჭინი. წვიმაში ჭრიჭინა სდუმს. ალბად ტაგუ სამუგიას ბუხარში უნდა ყოფილიყო იგი.

ჭრიჭინებდა ისე დაჟინებით, ისე დაუცხრომლად, რომ ცნობის-მოყვარეობამ შემიპყრო.

ავდექი, სანათს მოვუკიდე, ბევრი ვათვალე რე „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ ძველი ნომრებით შეწებილი კედლები.

ბუხარზედაც მივიდგი სკამი. ამაოდ.

დიდხანს ვებრძოლე უძილობას. სადღაც ძაღლები ზღარბს უყეფდენ.

„წაკორტიდან“ თხის ხველა ისმოდა და წისქვილის წყალის შრიალი.

უთენია ნაწისქვილარისკენ მიმავალ თემშარას გავუდექით მე და ტაგუ.

იგი ნაბახურეზე ჩინებულ გუნებაზე იყო.

— ჰეი გიდი, კაი დრო იყო ძველი დრო, მაგრამ ყველა დრო კაია, თუ კაი თავი გაბია კაცს.

გამოვკითხე ტაგუს: ამ სოფელში ნადირობას თუ ვინმე ეწევა მეთქი.

— ალანიებს ნადირობის ხოში ვინ მისცა.

ისინი მუდამ წყალში დაბორდლავდენ—მეთევზეებია. მელებიე გითოლენდიები მუდამ თოხს უბლყუნებდენ. მაქაცარიები წისქვილებსა და ჩამურებს უკირკიტებდენ;

*) იხ. „ქართული მწერლობა № 1—2. 1929 წლისა.

F 719
120

ჩვენს დროში ახალგაზრდობა ქალაქად მიდის, ზოგი მეეტლედ, ზოგი დალაქად, ზოგი მეკარედ, ზოგიც წითელ ჯარშია.

მოხუცები ძველ გზაზე დადიან.

ბართაიები ამოწყდენ და ფიფიები ნაჯიხვევს გადასახლდენ.

ტაგუ გაჩუმდა და ორბოძალ გზაზე შესდგა.

— თქვენ ნაწისქვილარისაკენ მიჰყევით.

ეწერ-ეწერ იარეთ. მე იმ მუხნარს შემოვუვლი, ეგებ ქილორს სადმე წავაწყდე.

კოპიტნართან გახუ შეგხვდებათ ალბად.

— მე რომ არ ვიცნობ გახუს?

— ეჰ, რა ცნობა უნდა, თქვე კაი კაცო, გახუს, მთელ სოფელში მის მეტი სხვა არავინაა ქოსა.

დავთქვით ნიშანი.

ორ სამჯერ უნდა დაესტვინა ტაგუს და მე და გახუ შემდეგ შევუერთდებოდით.

მივსდიე ეწერს.

გზაში რამოდენიმე გვრიტი ამიფრინდა, საფანტი მოვიზოგე. გამოცეცხლილ ეწერში, ხშირ სიმიდების მონიაზე თეთრი ქუდები ფრიალებდენ, როცა მეყანეებს ვუახლოვდებოდი, წვერებზე გამჩნევდი: არც ერთი მათგანი გახუ არ უნდა ყოფილიყო.

მარჩხა კოპიტის ტყეც გავიარე.

შაშვები კუთავდენ და ჭახჭახებდენ კატაბარდებში, ბულბულე-ბი შორეულ ფალაგებში სტვენდენ.

ბილიკზე უქუდო, ფეხშიშველა კაცის სილუეტმა იელვა. სახის გარჩევაც ვერ მოვასწარი, იგი ნადირივით დაფრთხა და სიმიდებში ჩაიჩოქა, ხელები მალლა ასწია:

— თავი ნუ მოგიკვდება არ მესროლო. მე... მე... ბატონო, იახა დო, მე სიმიდის ქურდი არა ვარ.



ბატონო მეველე, მე გახუ ვარ, ქოსა გახუ.

მე... მე... მე... იახა დო, იახა დო¹⁾...

თოფი განზე გადავაგდე, მივუახლოვდი, მკლავზე ხელი წავავლე, ავაყენე. ვანუგეშებდი, ვარწმუნებდი, რომ მას არას ვერჩი და არც მეველე ვარ. ან საიდან უნდა წარმომედგინა, რომ იგი სიმიდს იპარავდა, როცა ჯერ სიმიდები დატარებულნიც არაა.

ვარწმუნებდი, სამტროდ არ მოვსულვარ და ჩემი სურვილი იყო მხოლოდ მეკურდღლავა მასთან.

1) ჰო და...



კურდღლები რომ ვუხსენე, სახეზე ვარდი მოეფინა, კრუტი და მარჩხი თვალები შემომაჭყიტა.

— ყურდგელი... იახო დო, ძიგირში ბრეული ყურდგელია. მარაა...

— მაგრამ რა?

ჩამოვართვი სიტყვა.

— იახა დო, რა და ისა, რომ სამი ბებერი ყურდგელი ქალაქში წასულა, მიწების კომისართან დავუსმენივართ. იახო დო, წუხელ მე შუალამეზე დამიბარა აღმასკომის უფროსმა ოჩიგავამ, სულს ამოგართმევ თუ ყურდღლები კიდევ შეგიწუხებიაო. აი რა მიქნეს იმ სულკატიანებმა...

აქ კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენა აერია, და ისევ „იახა დო“ გაეჩხირა პირში.

მოვექალაჩუნე, ყველაფერი ეს ენამახვილობაში ჩამოვართვი. როგორც იქნა დავამშვიდე.

წამომყვა.

გზა-გზა მესკია ჩიტიც რომ გაიფრთხილებდა, გაშეშდებოდა, მარჯვენა ხელს ზე აწევდა, ცალსაც ტუჩზე მიიფარებდა—სუუ...

მეტყოდა.

და რაკი ფაჩუნი შესწყდებოდა იღრიჭებოდა. როცა მისი სახე სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა, მე ვაკვირდებოდი:

ძლიერ ჰგავდა ტაგუს. თავის ქალის წყობითა და შუბლით. ყურები—ნამდვილი დეგენერატის. ნიკაპი თითქმის სულ არა ჰქონდა. პროფილში ძლიერ გაბოროტებული გამომეტყველება,—რომელიღაც უხეირო, მტაცებელი ფრინველის პროფილი!

არც ისე ხნიერი სჩანდა, მაგრამ ქოსა ლოყები ნაზამთრალ უნაბივით შეჭკნობოდა ყბებზე. ბეიტის ბურტყლივით ქერა, თხელი წვერი ხავსივით მოსდებოდა სახეზე აქა-იქ.

ტანმორჩილი, მკერდ ჩავარდნილი, წელში მოდრეკილი.

გამხდარი.

თხილის ჩურჩხელასავით გამხმარი, წვრილ-ძვლებიანი.

მოკლე და სწორი ფეხები, ბავშური პატარა ხელები.

ხმა—დიაცური, წვრილი და უსიამო. ყურებში ზინთი ჩასდგომოდა, თვალებში—წირპლი.

მონოზანის ჩოხანის მაგვარი შავი ჯვალოს მოსასხამი ემოსა დალეულ ტანზე. ქერტლი და თებო დალეკოდა კიდევწაჭმულ საყელოზე. ლაპარაკის დროს წვირიან ფრჩხილებს იძიძგნიდა. ნიადაგ მარჯვენა სახელური გაზანგული ჰქონდა ცხვირის ნაწმენდით.

დაფეთებული თვალებით მათვალაობდა გზა და გზა, ჩემთან შესიტყვებას ეკრძალებოდა და როცა ფიქრებში გართულს გამოვესაუბრებოდი, პირველი სიტყვა შეაკრთობდა ფრიად. ეტყობოდა, ძლიერ მოსწონდა ჩემი სანადირო ახალი ტყაბუჭი, მიხაკის ფერი, მაღალყელიანი სანადირო ჩექმები. კრძალვით შემეკითხა: ქალაქში კომისრად ხომ არა ხარო, ან სოფელში რაიმე გამოძიებას ხომ არ აწარმოებო.

განვუმარტე, რომ მე არც კომისარი ვარ და არც რისამე გამოძიებლად ჩამოვსულვარ.

ამ ამბავმა ცოტათი დააძშვიდა.

ეწერი მოვათავეთ და ძიგირს ვუახლოვდებოდით, როცა სროლა შემოგვესმა.

მოგვესმა სტვენაც. ორივემ ჟვერი გადავსჭერით და ტაგუსკენ გავეჩქარეთ.

ტაგუ წიფლის კუნძზე ჩამომჯდარიყო, მუხლზე მამალი ხოხობი ედო.

— მე ამხელა ქილორი¹⁾ მოვინადირე, თქვენ სად იყავით აქამდის?

— მე კიდევ სამი ფუთი კალმახი დევიჭირე, გაეხმაურა გახუ ტაგუს.

— აბა დეიფიცე?

— მანუჩარის სულს გეფიცები. ჰიიი... იახა დო... ხომ კი ხედავ როგორ დავსველდი...

ტაგუმ მე შემავლო თვალი და რა ნახა მეც სველი ვიყავი დილის ცვარისაგან, ხმის ამოუღებლად მიუახლოვდა გახუს და სილა აჭამა.

— რამდენჯერ მოგიშალე მე შენ მამის სული ტყულა არ დეიფიცო შეთქი.

ქოსა გახუ იქვე დაცუცქდა, სახე საოცრად დაემანჭა. იმ წუთში საოცარი, ზიზღნარევი სიბრაღის გამოწვევა თუ შეეძლო მაყურებელში. გაქყლეტილ ბაყაყავით გამოკუსოდა კრუტა და მარჩხი თვალები.

— მანუჩარის სულს გეფიცები, სამი ფუთი კალმახი, სამი ფუთი, გადაიხარხარა გახუმ და დამფრთხალი ნადირივით შევარდა ჟვერში.

დავკარგეთ ქოსა გახუ.

1) ხოხობი.

ბევრი ვეძიეთ ტყეში, სიმინდებში, ეწერზე, ანწლნარებში, გვიმრებში, ველარსად ვიპოვნეთ.

— ეჰ, რა კარგი დილა წამამწარა ამ სასიკვდილემ, თუ გული მომივიდა, იმ დღეს დანავსული ვარ.

მე ვუსაყვედურე ტაგუს, რომ იგი ფრიად სასტიკად მოექცასულით ავადმყოფს.

— ეჰ, მე თქვენ დიდ პატივსა გცემთ, მაგრამ არ იქნება სხვა რიგად...

დამერწმუნეთ ჩემზე მეტად არვის შესტკივა გული იმ ბედდამწვარისთვის, მაგრამ ძლიერ გასალახანდა. ვინმე მახლობელი უნდა უწყობდეს, თორემ სულ გაგიჟდება ის ოჯახქორი. სოფელში დიდი და პატარა აპამპულებს. ალანიებს და მაქაცარიებს უხარიათ კიდევაც რომ ბატონიშვილს აპამპულებენ.

აქამდის მანუჩარ ბატონიშვილს ჰყავდა დოხოორეში გიჟები, ლენჩები და ხუმარები. რა უშავს ახლა ერთმა სულელმა ბატონიშვილმა ჩვენ გაგვაცინოსო.

გამოუდგებიან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ტუტუცს ალანიების ბიჭები: უ-უ-უ, გახუუ, უ-უ-უ, მისძახიან.

ისიც ქვებს ისვრის, ყველის ვაჭარივით იჯლანება. ხან თუნუქის სანავთეს გამოაბამენ ახალუხზე და გაეკიდებიან. ამას წინად ალანიებმა ძაღლები შეუსისინეს, ხომ ნახეთ, როგორ გამოლადრული აქვს ბარძაყი. ასე რომ არ შევრისხო მთლად გააბდალდება.

ტყის წვეროკინებზე დაიწეწა ნისლის ნინევი.

ტყე აჟრიალდა.

ალვების მწვერვალები გააშუქა მზემ,—ყვითელი აბრეშუმის სხივები მოეფინა კოტიანეთის ზეთისხილისფერ მთას, თეთრ ეკლესიას და ნოქალაქევის ციხეს.

მოლალურები მახლობელ ხოდაბუნებში სტვენდენ.

— ეჰ, წახდა ჩვენი ნადირობა. ამ ძიგრის ბოლომდის მივიდეთ, ეგებ ყურდგელი შემოგვეფეთოს, თუ ვერაფერი ვნახეთ, შინ წავიდეთ. დაგვნამსა ამ ლენჩმა.

ჩივოდა ტაგუ.

ძიგრის ვაკესთანაც არ ვიყავით მისული, ტყეში ქაქანი ატყდა. ჰა, ჰა, ჰა... ყურდგელი, არ გოუშვათ, არ გოუშვათ.

გაჰკიოდა გახუ.

— გვატყუებს აშკარად ის უხანო.

ჩაილულულა ტაგუმ, ყოველ შემთხვევისათვის ჩახმახი შეწყვიტა.

მე წინ გავქანდი და ძიგირს მივალწიე თუ არა, წამოვიჩოქე.
ჩიგვნარსა და ტყეს შორის დაყოლებულ ოლეზე ფეხდაფეხ
მოსდევდა კურდღელს თმაგაბურძგენილი ქოსა გახუ.

ორივეს თოფმა იგრიალა ერთბაშად და ნადირმა ერთი მა-
ლაყიც მოასწრო და მიწაზე გაიშხლართა.

გამხნევებულნი მივყევით ძიგირს.

ნადირობამ ტაგუს და გახუს წაკენწლავება გადაავიწყათ.

თმაგაბურძგენილი, ეკლებისაგან ხელფეხ დაღადრული, ახალუხ
შემოფხრეწილი ქოსა გახუ ქაჯივით დარბოდა ჩირგვებში.

სახეზე გადმოდენილ ოფლს სოველი სახელოთი იწმენდდა. და-
გეშილ მეძებარსავით დასუნსულეზდა კატაბარდებში.

ჩირგვში განაბულ მელას ან კურდღელს რომ შეითვალეზდა,
ცერზე დგებოდა, ორივე ხელეზს ზეასწევდა.

ეს იყო ნიშანი.

მე და ტაგუ თოფეზს ავწკიპავდით და თავს დავუვლიდით. ვე-
პარებოდით ნადირს და ნადირი უკვე გაძაგრული გვყავდა.

სამხრობამდის სამი მელა, ორი ქილორი და ოთხიოდე კურდღე-
ლი ავკიდეთ ქოსა გახუს.

ასე ვნადირობდით მთელი კვირა.

შაბათს ნამეტანი გავვიტაცა ნადირობამ. მთელი დღე უსმელ-
უჭმელი ვიხეტიალეთ. ჩემზე მეტი აზარტი ტაგუს სჩვევია. ქოსა გა-
ხუს შინ წასვლა მოუნდა. წამ და უწუმ თემრას ახსენებდა. ევედრე-
ბოდა ტაგუს: შინ გაეშვა. მაგრამ ტაგუ სამუგიას მონუსხული ჰყავდა
იგი. შებინდებულზე ხობები გამოდიან ეწერის ბოლოში—ნაყანეებზე,
ამას უკვდიდა, ოჩანი ცხენივით თავს აუქნევდა და ქოსა გახუც უტყვად
ემორჩილებოდა.

* * *

შელამებულზე შინ მოვბრუნდით.

სწორედ იმ შაბათს მოხდა ეს უბედური ამბავი: პატარა თემრას
მოშივნოდა.

მსხალზე გასულიყო. შტო ჩამომტვრეოდა.

უჩივლელად დაელია ხშირ ბალახებში სული.

წამოსწრებოდა მეზობლის ცირა. აეტატნა მკვდარი ბავშვი,
სხვა რომ ველარაფერი მოეხერხებინა ლოგინში ჩაეწვინა.

შინ მიბრუნებულ გახუს, ბავშვი მძინარე ჰგონებია.

ერბო-კვერცხი მოუმზადა თურმე.

მოეალერსა მკვდარს.

და რა ნახა თემრა უკვე აღარ იყო, ჩვენთან მოვარდა სახე-
არეული.

გლებებს არ უყვარდათ თემრა. ძველი დრო რომ მობრუნდეს,
ფიქრობდენ: გახუ სულელია, მაგრამ თემრა წამოიზრდება და პაპი-
სეულ მამულს წაეპოტინებაო.

შეუძლებელი გახდა ხეზე ატანილ სახლში მიცვალებულის გა-
პატიოსნება. მე მიცვალებულის მეკრძალება. ქოსა გახუ მთლად გა-
მოლენჩებული დადიოდა. სიმინდის უვერში დაბობლავდა. წამდაუწამ
მეკარგებოდა თვალიდან.

წავედი, ტაგუ სამუგია მოვიყვანე.

გაიღო მხარზე თემრას ცხედარი და ძირს ჩამოიტანა.

ნალიის გარშემო ნოშოს ჩარდახი გაუმართეთ და აქ დავასვე-
ნეთ თემრა.

მერმე მთელი დღე ფიცრები ვხერხეთ ტაგუმ, გახუმ და მე,—ამ
სტრიქონების ჩამწერმა.

არც ერთს ჩვენგანს ფული არა ჰქონდა კუბოს საყიდლად და
ჩვენ გავუკეთეთ პატარა თემრას კუბო.

თემრას კუბოს არ ამკობდა თეთრი თუნუქის ანგელოსები და
ყვავილების გირლიანდები. სამაგიეროდ მე არ დავიშურე ველის ყვა-
ვილები მისი პატარა კუბოს მოსართავად. მეზობლის ცირამ და მე
შევთხზეთ ნაირნაირი გვირგვინი. ასე რომ ჩვენი გაუწვრთნელი ხე-
ლით გამოჩორგვილი, გაურანდავი კუბოს ფიცრები არც კი სჩანდა.

პატარა თემრას ოქროსფერი კულულები, საუცხოვო შუბლი
და წამლით ნახატი თვალ-წარბი და მოუჩანდა ყვავილების გირლი-
ანდებიდან.

ლამაზი იყო მისი გაფითრებული სახე. ყრმა ბუდდჰასა ჰგავდა
პაწია თემრა, თეთრი ღრუბლების სარეცელზე უძრავად მწოლარეს.

ასე ლამაზი მიცვალებული მე არ მინახავს.

არც ტირილი გაუმართავს ქოსა გახუს. არც შავჩოხიანი მო-
ზარეები და ლოყადაკაწრული შემცხადებელნი მოსულან.

ქოსა გახუ დღე და ღამ კუბოსთან იყო დაცუცქული და გულ-
დამდულრული მოსთქვამდა ნელი, ოდნავ გასაგონი ხმით.

რაა მოთქმა? მოთქმა ძლიერ უღონო სიტყვაა ამ სასოწარკვეთილი
გოდების გამოსახატავად.

ხომ ამაზზრენია და გულისწამლები ოდიშელი ქალების შემცხა-
დება და ქვითინი, რომელსაც „თვალუას“ ეძახიან ოდიშის მხარეში?

თმაგაწეწილი, ლოყა ჩამოღადრული დედანი მიცვალებულს რომ
დასტირიან.

ერთი შეესიტყვება მზეგადასულს და მწკრივად დამსხდარი მომტირალენი „ვა-ვაი, ვავა-ის“ რომ ააყოლებენ. მე ტანზე ბუსუსები გამომესხმება ხოლმე ასეთ „თვალუას“ გაგონებაზე.

ამაზე უფრო საშინელი იყო ქოსა გახუს უმწეო ლულული.

ტირილიც არ შესძლებია ამ სვედამწვარს, აქამდის არავის ენახა მომტირალე ქოსა გახუ.

მე მის გასწვრივ ვიჯექი ჯირკვის „კველაზე“. შევსცქეროდი ქოსა გახუს საოცრად არეულ სახეს. ჩემი სული უებრად ააწრიალა ამ გაუგონარმა მწუხარებამ.

* *

კვირა საღამოს რომ დაიწყო წვიმა, მთელი სამი დღე წვიმდა. უხაროდ, უჭირისუფლოდ. წავასვენეთ სასაფლაოზე თემრას ცხედარი, გახუმ, ტაგუმ, მეზობლის ცირამ და მე.

წვიმდა დაუცხრომლად, წვიმდა, ცის ნატეხი ჩამოდიოდა. მუხლამდი ტალახში მივტოპავდით.

სამარე გავთხარეთ და წელამდის წყალი ჩადგა.

როცა დიდის ვაი-ვაგლახით წყალი ამოვწურეთ. მე და ტაგუმ, ბარი შევასვენე და სამარეს კიდეზე მდგარ გახუს ამოვხედე. ისე გარინდებული იდგა ტალახში ამოსვრილი, საკინძეგაღელილი, დალეული გახუ. ლოყები ჩაცვენოდა, თვალების უბეები გაგანიერებოდა, სული გაჰყროდა თითქოს.

ცრემლი არ მოსდიოდა, მაგრამ ამაზე მეტს მწუხარებას ადამიანის სახე ვერ დაიტევდა.

* *

მე დავსწყევლე ნადირობაც, ჩემი ამ სოფელში ჩამოსვლის საათიც.

— საქმე არ გაქს, ხვალ ქოსა გახუს არაფერი ეხსომება.

ჩვენ ხვალაც, ვინადირებთ თუ ტაროსი შეგვხდა.

მარწმუნებდა ტაგუ.

ეს მე დიდიხანი ვიცოდი ის ბავში დაილუპებოდა.

— რამდენი ვეხვეწე, ჩემთვის დაეთმო ბავშვი. მე შვილი არა მყავს და ძირი, ამხელა ქონებას სამარეში ხომ არ ჩამატანენ.

არა, არ მოეშვა ბავშს.

ორ სამჯერ ცაცხვებზე გაშენებულ ქაბარკიდან გადმოვარდა, ბავშვმა ხელფეხი იღრძო.

არ იქნა და არ მოეშვა.

ამბობდა მოშაინესავით ტაგუ სამუკია.

*
* *

მესამე დღეს ნაწისქვილებზე შემოგვხდა ქოსა გახუ.
ჯაგებში იდგა.

მალლა იყურებოდა.

— რას უცქერი, შე ლენჩო?.

— მე თვალს დამაკლდა, ნახეთ თუ იხვები არაა.
გაიხედა ტაგუ სამუგიაშ.

— იხვი კი არა ბიშტი, მერცხლებია, შე ლენჩო!.
გავხედე მეც.

— იხვებია სწორედ.

— იხვებია?..

დარცხვენელმა ტაგუმ სიხუმე არჩია.

მეუცხოვა: ფერნაცვალ კაცს დამსგავსებოდა ქოსა გახუ.

კიდე შემოცვეთილი ჟღალი ბოხობი ეხურა.

გახუნებული თეთრი ტილოს ახალოხი, ღილები თავიდან ბო-
ლომდის შებნეული, ძვლის ქამარი—მაგრად შემოჭერილი. გადა-
ბრუნებული, თხის ტყავის საცვეთები, ყურიანი ქართული სამოგვის
ქალამანი.

თავი ღირსეულად ეჭირა, არ სტყუოდა, არ იღრიჭებოდა.

შევაძინე, ტაგუც კრძალვით ექცეოდა.

ერთხელ მეტად არ წამოცდენია იმ დღეს „შე ლენჩო“.

სულ: „გახუ პატენი“,

„გახუ თოლიგე, გახუ სქანსანთელო.¹⁾“

ან უბრალოდ, ძმურად: „გახუ“.

აღარც მეძებრის როლი შეუსრულებია იმ დღეს ქოსას. გახუ
განზრახ ერიდებოდა ტაგუსთან მარტო დარჩენას.

ჩემს კიდეზე ეჭირა თავი.

ერთ ორჯერ თოფი შევაძლიე.

გასროლაზე უარი სთქვა.

გულნატკენმა დასძინა: მე თქვენი ხათრით გამოვედი, თორემ
რა მენადირებო.

გულმა რეჩხი მიყო.

ტაგუ რატომღაც გამგუნებული სდუმდა. ჯერ ეწერ-ეწერ ეპა-
რებოდა რაღაცას.

ორ - სამჯერ გაისროლა.

1) თოლიგე, დაახლოებით: შენი თვალის კირიმე, სქანსანთელო - სანთელივით
შემოგველე.

ადგა ტყეში ალიაქოთი ყვავების, ჩხიკვების ჩხავილისა, ჩიტების
ჟივილისა და შაშვების ჭახჭახისაგან.

ბევრი ვეძახეთ, ვიარეთ ეწერში, ტალერისკენ.

ველარსად ვნახეთ ტაგუ.

ტყეს გავერიდეთ მე და გახუ. მივყევით ეწერს.

ატლასისებურ მოკამკამე სიმიდების ზღვა გაშლილიყო აღმოსავ-
ლეთით და დასავლეთით.

ლურჯი,

არა, მუქლურჯი ზღვა მოღალანე სიმიდებისა.

ჯერ ჩვენს მხატვრებს წამლით არ გადმოუციათ შეუდარებელი
სილამაზე ამ პეიზაჟის.

ქართველ პოეტებს არ უმღერიათ სიმიდის ფარჩის იდუმალე-
ბით სავსე შრიალისათვის.

შუბის სიმაღლეზე ტანაყრილი, გათქვირული, დავაჟკაცებული
სიმიდები რომ აღაღანდებიან, შავი ზღვის სუნთქვით ატოკებულნი,
სვანურ სატევრებივით დაღესილ, მოპარპაშე ფრთებს რომ ააფრია-
ლებენ, მათ შორის ზოგი და ზოგი დაწინაურებულა, ვერცხლის ქო-
ჩორი კენწეროზე გაუშლია და სდგანან ისინი ამაყად, როგორც ალამ-
გაშლილი შტანდარტები მაღალ ანძების.

მილიონები!

ათეული, ასეული მილიონები რომ აბიბინდებიან, აშრიალდე-
ბიან, ამღერდებიან.

აღარსად სჩანან მეთოხეები, ალაგ—ალაგ თუ გამოკრთიან თე-
თრი ჭილის ქუდები და მოისმის ამ თვალშეუვლებ ოკეანეს გულიდან
ნადურის ღულუნნი.

ნაწისქვილარის მაღალ ბეჭობზე ძველ კოშკის ნანგრევზე ვისხე-
დით ქოსა გახუ და მე.

ეს კოშკი იფარავდა ოდესღაც მახლობელ თემშარას, მთელს
ხეობას, ტეხურს გადაღმა მხარეს.

გათხლაშულიყო ძიწაზე მდულარე ხვატი.

ზანტად მიმოჰქონდა ძეწნის ფარფლი მდორე ჰაერში შემოპა-
რულ სუბუქ ბორიოს. კრიჭინების მწყობრი ორკესტრი აღვიძებდა
რულს ბუნებისას.

გახუ ქვაზე ჩამომჯდარიყო. პაპიროსი ჩაჰქრობოდა. იჯდა. სივ-
რცეს გასცქეროდა. მარჩხი თვალეზი ჩაეფერფლა უსიტყვო დარდს.

ნეკოტინით გამურული ლერწმის მუნდშტუკი გაყვითლებულ
თითებს შორის გაირჭო, შემოჰკრა მარცხენა ხელის გული და ბალახებ-
ში გადავარდნილ პაპიროზის ნამწვავს თვალი გააყოლა.

ბექობის გვერდით იფნარი აშრიალდა იჩქითად.
გახუ შეკრთა.

— ვნახო იქ რა ამბავია! ესა სთქვა, სერი ჩაირბინა, გვიმრებ-
ში გაუჩინარდა.

წამოეპარა მზეს ქვიშისფერი წვიმის ღრუბელი.

მღუმარედ ვიდექი ბექობზე. თვალს ვადევნებდი ზეცის კალის-
ფერი დეკორაციის ცვალებადობას.

გადმოიხვეწენ შავი ზღვის კიდიდან თეთრი, სულ თეთრი ღრუ-
ბლები, გადაეღობენ ამ თეთრ ფრინველებს უფრო სქელი, უფრო
ლეგანი.

ხაზავდა ცას უჩინარი ხელი ქვიშარდულა, მუქი წამლებით,
ითქვიფებოდენ, იშლებოდენ ბუნდოვანი სახეები, მონახაზები—ნაზ
კიდებთან მინანქართ ნაგვირისტევი. იმატა ცაზე მუქფერვანობამ
და უსიამო, მოწითალო სხივის რიალი ადგა მზის დასავლიდან. გა-
დაურბინა კავკასიონს ელვის კიანთმა და გადაევლო ბენგალის ცე-
ცხლისებური ანთება ლითონის ფერად მოვარვარე სიმიდების ზღვას.

დიდხანს ვიჯექი კოშკის თავკიდურზე და შევცქეროდი ფერშეც-
ვლილ კრთომას, მოსავსავე ტალღების სახით ზღვაზე გავლებულს.

პაპიროსს მოვუკიდე.

ბექობი ჩავირბინე, იფნარში შევედი.

გვიმბრებზე ჩაკეცილი იყო ქოსა გახუ. თითქოს ლიტანიობდა.
მუხლებზე დაცემული წარამარა დგებოდა, თვალებზე ხელს იფა-
რებდა, ისევ მიწაზე გართხმული ქვითინებდა.

ფეხაკრეფით მივეპარე.

ნელი, ნელი ხმით მოსთქვამდა ქოსა გახუ.

მივედი, ხელი მოვპკიდე. ავაყენე.

სანუგეშო სიტყვა გამიწყდა პირში.

— რა ვქნათ ჩემო გახუ, ყველანი მიწის კერძი ვართ. ნუ სტი-
რი ჩემო გახუ.

— როგორ არ ვიტყვო ჩემო ბატონო. ის აღარაა, ვისთვისაც
ვეწამე, ვისთვისაც ქვეყნის სასაცილოდ გავიხადე თავი. სხვას რას
ვენაღვლებოდი და იგიც მე დამცინოდა.

— ვინ იგი გახუ.?

შევეკითხე.

— ვინა და ტაგუ.

ეჰ, ისევ შებრუნდა ალბად, გამიელვა თავში, გახუს გონივრუ-
ლად გამომზირალ თვალებიდან ცრემლი მოჟონავდა.

მეც ამან დამაეჭვა.

ცრემლო! შენ ალამაზე მწუხარებით დათუთქულს სახეს თვით მთელ ადამის მოდგმაში, უმახინჯეს კაციშვილისას.

ცრემლო!

შენ რთვილი ხარ დაგოლვილ გულთათვის ცით მონაპარი.

.

— ტაგუ სამუგია?...

— ტაგუ სადაური სამუგიაა? სამუგია კი არა ძმაა ჩემი ხორციელი. იახადო, ტაგუც მე დამცინოდა. მე რა მექნა მარტოხელას და უბედურს. ჩემი ძმები საზღვარგარეთ გაიქცნენ. ტაგუს ხელი არ ახლეს, სამუგია ეგონათ. იახა დო, მე გადავრჩი. მაგრამ ვაი ამისთანა გადარჩენას.

იახა დო, მეც გავიქცეოდი, მაგრამ თემრა ვისთვის დამეტოვებინა. თემრა, ჩემი თემრა...

მან ისევ დაიფარა ხელებით სახე და მიწას დაჰკრა შუბლი სამგზის.

ტორით ფოცხავდა მტვერს, პეწვით იყრღდა პირში მიწას და დედაკაცივით მოსთქვამდა ქოსა გახუ.

უნებლიედ პირზე მომადგა:

„მამათა ჩუენთა ცოდეს და ჩვენც შეცოდებათა მათთა მოვიხუამთ.“

.

იგლოვა გუირგვინმან თავისა ჩუენისამან ვაჟ ჩუენ რაჟმეთუ ვცოდეთ.“

ძლივს დავაშოშმინე. ისევ ბეჭობზე ამოვიყვანე.

— იახა დო, მოვისაზრე. თავი მოვიგიჟიანე—განაგრძო გახუმ, სხვა გზა არ იყო.

ცხონებულ მამაჩემს მთელი სოფლის გლეხოზა გადაკიდებული ჰყავდა.

ჯერ ჩემს ხსოვნაში უღვაშებს აგლეჯდა გლეხებს.

წამოაქცევინებდა მოწითულ ვაჟკაცებს, მკერდზე ცხელ ღომს დააგებდენ და ძაღლებს დააპურებდენ.

იახა დო, ხანდახან ძაღლები წაიკიდებოდენ—და ისეთი შემთხვევაც ყოვილა ხელფეხშეკრული ვაჟკაცი რომ დაუკბენიათ ძაღლებს. მაგრამ მაშინ მე ბავშვი ვიყავი. იახა დო, მე ახლა რა შუაში ვარ...

იახა დო, მე ჩემი თავმოყვარეობა დავთმე, ოღონდ თემრა გადამერჩინა.

აწი სულ ერთია ჩემთვის. გინდა გიყი ვეგონოთ, გინდა ჭკვიანი.
აწი რაც ენებოთ ის მიქნან.

* * *

ნისლი დასწოლოდა ტყეს.

ნისლი დგებოდა ნელ-ნელა ნაწისქვილარის გარშემო ჭაობები-
დან. ნისლს დაეფარა ზურმუხტის ზურგი ეკის მთისა, კოთიანეთის
თეთრი ეკლესია და ნოქალაქევის ბუმბერაზი ციხის ნანგრევებიც
მოეცვა ნისლს.

მე და გახუ გაუნძრევლად ვისხედით.

ნოტიო საგრძნობი ხდებოდა, მაგრამ მე ვერ დამერღვია ღუ-
მილი.

გახუს წარბებამდის ჩამოფხატოდა ბოხობი და ამღვრეულ თვა-
ლებში ჩასდგომოდა ფიქრების ნისლი.

* * *

ნავახშმევს მე და ტაგუ სამუგია ოდის აივანზე ვისხედით.

არც ერთს ძილი არ გვეკარებოდა. აგვისტოს ქარი უსიამო
ქარია ოდიშის მხარეში.

სწორედ აგვისტოს ქარი ჰქროდა იმ ღამეს.

ტაგუ სამუგიას სუფრაზე დაყრდნობილ ხელის გულზე დაედო
თავი და ბნელ ღამეს გასცქეროდა. ფანჯრის თაროზე დადგმული
ლამპის ყვითელ შუქს თვალს არიდებდა.

— იცი ტაგუ, მე მგონია გახუ რამეს დამართებს თავის თავს.

— ეჰ, საქმე არა გაქვს. ის რომ ვაჟკაცი ყოფილიყო, აქამდე
უნდა მოეკლა თავი.

ორ სამ ღღეში კიდევ ვნახავ, ჯაგებში რომ დარბოდეს ბეკა
ძაღლივით.

მე დავდუმდი, ტაგუმ განაგრძო:

— თავის მოკვლა, ჩემო კარგო, ყოველ კაცს როდი შეუძლია.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მე გეტყვით:

ჯერაც პირტიტველი ყმაწვილი ვიყავი, როცა საათხაზოში, ჩემს
დედულეთში წავედი საცოლეს შესაგულეებლად. შესაძლოა ბევრმა არ
დაიჯეროს ეს, მაგრამ თათიას სულს გეფიცებით, ეს ნამდვილია, და
ზოგი რამ მე თათიასთვისაც არ გამიმხელია.

თქვენ იცნობდით ალბად, ტატაში ჩაჩბას ქალს—თათიას, გან-
სვენებულს ჩემს ოჯახობას.

მის მერმე მე სხვა ქალი არ ვინდომე და ასე ვარ ღღემდის.

ჰო და სიტყვა დავკარგე.

სააბხაზოში, ჩემს დედულეთში ჩავედი მეთქი.

კაი მოგეცა, კაი დრო იყო ის დრო.

და ჩემისთანა ცხენი და ანანგირი, ჩემისთანა ღართი და კაბა, ნაბადი და ქამარ-სატევარი სამუგიას კი არა, ბატონიშვილებში ბევრს ენატრებოდა. დედულეთიდან მაყრად წავყევით ანჩიზიას გალში, მე და ჩემმა ძმად ნაფიცმა ჯანსული აგირბამ. ჯანსული ისეთი ყმაწვილი იყო, თვალში რომ ჩაგვარდნოდა, ხელს არ ამოისვამდი. ალმასის კაკალივით ბიჭი. და თქვენ ჩემი აბრაგობის დროის თავგადასავალი კიდევაც რომ დასწეროთ, რათ გინდათ, არავინ დაიჯერებს.

ჯანსულ აგირბა ჩემი მარჯვენა ხელი იყო.

16-17 წლის ჭაბუკი, ლომის ბოკვერით მარდი და ბრძოლაში ფიცხელი.

გალში ქორწილი გადაიხადა ჩაჩბამ, ისეთი ქორწილი, — სიტყვით ვერ აიწერება. ჩიტის რძეც არ დაჰკლებია იქაურობას. სეფა იმ სიგრძეზე გამართეს, რომ ორი ცხენი თამამად გაჭენდებოდა. ჩოხის კალთებ შემოკეცილ, ხელწაკაპიწებულ გამრიგებლებს სუფრაზე მოჰქონდათ შამფურზე შემწვარი უშობლები, საკუთარ ტყავში გახვეული ლაღარა ღველფში შენაწვი ძუძუთა ბატკნები, ახალი ტყემლითა და კვანწარახით, ჭყინტი ყველით გატენილი გოჭები, კეცზე ნაფიცხი ნოჯიხერის კალმახი, ქინძითა და ძმრით, შამფურის ვარიები, მრგვლად მოხარშული დედლები ნივრის წვენში, ინდოურის უწნო, ინდოურის საცივი, ჩახოხბილი ვარიები, ჩასაცივებული ხოხობი, სალუქი, ლონთქოშო სულუგუნები, პიტნით ნაკაზმი გადახელილი, კელებერის მწვადები, პიმპილითა და ქონდრით შეხავებული კუჭმაჭი, ლომის ლომი, ქუბუ, თონეში ნაცხობი გომიჯები, ქართული ლავაში, თონისა და კეცის ჭადი, ჭანდრის ნოშოთი მოშუშებული, ორპირის ზუთხი და ზურგიელი, ნიგვზით დატენილი კიბო.

ოჯალეშის ღვინო, ღვინო ხარდანისა, კაჭიჭი და კაპისტონი, და სანთლის არაყი. ეჰ, სუ ყველაფერი როგორ ჩამოვთვალო.

(როცა ტაგუ ამას მიაშობდა, ნავახშმევი ვიყავი, მაგრამ მაინც ნერწყვბ მადგებოდა).

მახაზ შერვაშიძე იყო თამადად. და ამ ქორწილზე ჩაჩბას უმცროსი ქალი თათია მოგვეწონა მე და ჯანსულს.

იმ ღამესვე ორივენი ჩავიწვით იმ ქალში.

მესამე დღეს თენდებოდა და ქორწილს ბოლო არ უჩანდა.

მახაზ შერვაშიძემ ჯიხვის ყანწები დაგვიშინა ინგირსგამოღმელებს. დავცალეთ ინგირსგამოღმელებმა და გადაულოცეთ ინგირს გაღმელებს.

მე შუასმაში ვიყავი.

და მეხუთე ჯიხვი რომ დავცალე და გიდი ემხვარს გადავულოცე, გავიხედე, და თვალი მოვჰკარი: ჯანსულ აგირბა და თათია ჩაჩბა უზუნდარას ცეკვავდენ.

უკეთეს წყვილს ადამიანის თვალი ვერ ნახავდა.

კალმით ნახატი თვალწარბი ჰქონდა თათიას, თმა კაბის ქუბებზე სცემდა.

ტარიელივით ბრწყინავდა ჯანსულ აგირბა.

ჯანსულ, არ შეგარჩენ იცოდე. გამიელვა თავში. დავბარბაცდი— ინგირსგალმელებმა თვალი მკიდეს. გაეხარდათ: მეხუთე ჯიხვმა შეარყია ინგირსგამომელიო.

ცეკვა რომ გათავდა, ჯანსული ჩემთან მოვიდა. გარეთ გამომყევო, ყურში მიფურჩულა.

სუფრიდან ადგომა როგორ იქნებოდა. ისედაც დალესილი იყვენ ინგირსგალმელები. მაგრამ ჯანსულმა სატევარზე ხელი დაიდო და მეუბნება: თუ არ გამომყევები, დედის სულს ვიფიცავ, ახლავე ხანჯალს დავიცემო.

ვიცოდი: ჯანსული აგირბა აუგად არ დეიფიცავდა დედის სულს.

ფარსაგი არ მეგონა.

ორივენი გავიპარეთ.

ლაფარეში რომ გავედით, ჯანსულმა ხელი მხარზე დამადო და მეუბნება:

— თუ ჩემი ძმა ხარ გამომიტყდი... თათია შენ ხომ არ ჩავარდნია გულში? მე ელდა მეცა თათიას ხსენებაზე.

მე და ჯანსულს ერთმანეთისთვის არასოდეს დაგვიფარავს საიდუმლო, — მაგრამ თათიას გულისთვის ურცხვად ტყუილი ვუთხარი ძმად ნაფიცს.

— ვინ თათია, ჯიმა აჯამი?

ვეკითხები.

— ვინ თათია და ჩაჩბას თათია.

ტყვია ჩავიდულე გულში.

და ცრუ ფიცი მივეცი იმას, ვისთანაც არა ერთხელ ტყვისათვის მიმიშვერია მკერდი.

ჯანსული მაინც არ მიჯერებდა.

მაშინ ძალი მოვიკრიფე და ურცხვად თვალი თვალში გავუყარე. ვეუბნები ჯანსულს:

— დედიჩემის სულს გეფიცები, თათიას ჩემს გულში ადგილი არა აქვს მეთქი.

ესეც რომ არ იყოს, შენ ხომ იცი, სად ჩაჩბას თათია და სად მე—სამუგია.

— მაშ თუ ასეა, დაიწყო ჯანსუღმა და მაკოცა:

მე გამიგია თათია ვინმე წერეთლის საცოლელა. და თუ ჩემი ძმა ხარ, ქორწილი გათავდება თუ არა, თათია უნდა მომატაცებინო. იცოდე ტაგუ, მე მოვკვდები თათია თუ ჩემი არ გახდა.

ჯანსუღ აგირბა ისეთი ჯილაგის კაცი იყო, სიყვარულისათვის, სიკვდილი ლხენად რომ უჩანთ, ამ სიტყვების გამგონეს მიწა რომ გამსქდომოდა მერჩია, მაგრამ სიტყვა მრუდედ ნათქვამი დამირჩა და რა შარა იყო. ჩემ გულში კი გადავწყვიტე, როგორმე ფეხი ამეთრია. მე დავცემოდი ჩაჩბას და თათია მომეტაცნა.

კიდევ სამი ღამე ვსვით. არ იქნა, არ გათავდა მაყრების ჯიბრი. გაგიხარია, მეხუთე დღეს ნამაჟირალ*) სიმიდით წავაწვინეთ ინგირსგალმელები. მოვასხედით ჩვენს ლაფშებს და წავედით. ვემუდარე ჯანსუღს, ჯერ დედულეთში მივბრუნებულყავით, ყოველივე აგვეწონა, გეგმები შეგვედგინა—და მერე შევდგომოდით საქმეს. სხვა არ იყოს რა, იმ დროებში ჩაჩბას თავდასხმა და ქალის მოტაცება არც ისე იოლი იყო.

უშველებელი ეზო შეუვალი ეკლიანი ფალაგით იყო შემორაგვული.

ორი მგელივით ძმა შინ იყო.

ერთი მათგანი შტაბს-კაპიტანი.

ძაღლებიც ისეთი ჰყავდა ჩაჩბას, რომ მის კიდე-მიდამოზე ჩიტს არ გადაარონიებდენ.

ისევე ამიხირდა ცხონებული ჯანსუღი.

თუ ახლავე არ შევუდგებით საქმეს, შენს თვალწინ ამ სატევარით გულს გავიპობო.

რა მექნა, მეც დავემორჩილე. სასწრაფოდ შევიმუშავეთ გეგმა.

გალში ვიცნობდით ერთ გლეხს, ვინმე ფიფიას.

ფიფია ჩვენ საქმისმიმცემად გვყავდა გალის მხარეში.

ჯანსუღი ტყეში გავხიზნეთ.

მე ჩაბალახჩამოფხატული, გაღეღილი ახალოხით, უჩოხოთ, უიარალოთ, ქვეითად შევბრუნდი გალში.

ფიფია დავანამუსე.

ორივემ დიდი ძარი მოვლობეთ.

ღამით ვიხმეთ ჯანსუღი.

*) მეორეჯერ გათოხნის დროს სიმიდის გამოხშირვა.

სამივე ჩაჩბასას წავედით.

ფიფიამ ცხენები გადამალა იფნარში.

ჩვენი გეგმა ასეთი იყო: ერთი ჩვენგანი ხეზე უნდა გასულიყო ჩაჩბას ეზოში.

მეორე სადმე მახლობლად ჩასაფრდებოდა. სტვენით გამოიწვევდა ძაღლებს. მერმე ძირს დარჩეხილი გაინაბებოდა და ხეზე გასული განაგრძობდა სტვენას.

ძაღლები ძარში ჩადებულ ხორცს მიაშურებდენ, ძარში რომ შევიდოდენ, ძარს თოკით ხეზე აიტანდა ხეზე შესაფრული.

მერმე ორივენი თავს წავადგებოდით მძინარეებს.

აქაც გაჯიქდა ცხონებული ჯანსული. გინდა თუ არა, მე უნდა ამიშვა ხეზეო. ეს უფრო სახიფათოდ ეჩვენებოდა, იმიტომაც აჩემა. მე აქაც დავუთმე. სულთ ცოდვილო, ცოტა გამეხარდა კიდევაც.

კაკაჩია ღამე იყო. ჩაჩბას ეზოში უშველებელ ჭანდრების ლანდებს ილიაში ამოეჩარათ მთელი ოჯახი. დიდის ვაივაგლახით გადავართიეთ ეზოში ძარი.

ჭოტის ძახილი მოისმოდა მხოლოდ შორიდან. ჯანსული კოპიტზე გავიდა.

მე თოფის სასროლ მანძილზე ბერი მუხა მოვსძებნე და ფულუროში გავინაბე.

ნელა დავუსტვინე.

ძაღლები ყეფით გამოჰქანდენ ჩემსკენ. დასუნსულობდენ გარშემო, მეძებდენ, ყეფდენ. ხორცის ნაჭერს ვიღებდი ჯიბიდან, სათითაოდ ვაჩუმებდი მათ.

წერამ აიტანა, თუ თათიას ნახვის მოლოდინმა სული მოუსწრაფა, არ ვიცი რატომ, აჩქარდა ჯანსული.

მოუხშირა სტვენას.

ამის თქმა მოასწრო ტაგუ სამუგიამ და მე თვალი მოვჰკარი დასავლეთით უშველებელი აღის ქარი ავარდა ჰაერში.

— სადღაც ხანძარია ტაგუ!

დავიყვირე მე.

ტაგუმ საუბარი შესწყვიტა. ზეწამოიჭრა.

ახლა ორივენი ვხედავდით:

გაძლიერებული აღი ფრიალობდა ჰაერში.

ერთ წუთში ცეცხლის ალამი გაიზარდა, გაორკეცდა, შტოები მოისხა, თითქოს უშველებელს, ჰაერში დაკიდებულ კოშკს მოსდებიაო.

იმძლავრა ხანძარმა.

მიწის პირიდან ავარდნილ რქებ-ბორჯღალა ცეცხლის გოდოლი

იზნიქებოდა და ქანაობდა ჰაერში, ცას ეპოტინებოდა, ცას ულოკავ-
და სისხლად ნაღებ ღრუბლების ჯიქანს.

ხანძარი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი ლამაზი არასოდეს.

.
.

წამს მთელი სოფელი გაინაბა შიშის ელდისგან.

უცებ გაისმა ყიჟინა.

ყიჟინას ყიჟინითვე უპასუხეს ყოველი მხრიდან.

აყვენ ამ ხმაურს ძაღლები. შეიქნა ქალების გაბმული კივილი.

უქუდოთ გავრბოდით მე და ტაგუ.

ეკლესიის მოედანზე ორი კაცი შემოგვეფეთა.

გამოირკვა: ნავახშმევს ქოსა გახუს ცეცხლისთვის მიუცია თა-
ვისი ხეზე გატანილი ქოხი და ალანიების მხარეზე მდებარე სასიმინ-
დე ნალია. ცეცხლი ბებერ ცაცხვს გადასდებია. იქიდან ალანიების
ხულებს და ნალიებს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

გამძვინვარებული სტიქიონი ძლივს ჩააქრეს უარესად განრის-
ხებულმა გლეხებმა. ხუთი კომლი გადაიწვა მხოლოდ.

ოთხი ალანია ერთიც გითოლენდია.

— ჰაი დედასა, მანუჩარ ბატონიშვილის ცოდვები რომ ვერ
მოგვკითხეთ ქოსა გახუს. თურმე ნუ იტყვი, თავს იგიჟიანებდა, ჩვენ
ყურს გვხერხავდა. — ლულულულებდა ოთხმოცი წლის ტოჩი ალანია.

— არ გამიკვირდა? გუშლამ ასე დაწყობილად მელაპარაკებო-
და. შარშან დამორჩილიდან ერთი ქილა სიმინდი ემართა ჩემი, ისიც
მომირბენია.

ტასია მალაზონს ორი ქილა ღარღილი მოუტანა თურმე.

ჩემს თემრას საფლავს ნუ დამიკარგავო.

თურმე ნუ იტყვი...

ტაგუ კეფას იფხანდა, არ იცოდა რა ეთქვა.

მღუმარენი მოვბრუნდით შინ.

— ამისთანა სიგლახეს თუ იზამს თორემ ვაჟკაცურ საქმეს ვერ
ჩაიდენს ის ბედდამწვარი.

ქარბორიას და... ასეთ ამინდში. ალანიებს რომ არ ემარჯვნათ
მთელი სოფელი გადაიწვებოდა.

ჩაიბუტბუტა ტაგუმ და ჭიშკარს ურდული დაუგდო.

.
.

— მე მაინც ძლიერ მაინტერესებს ჯანსუღ აგირბას ბედი, შე-
ვახსენე ტაგუ სამუგიას როცა ოდის აივანზე ამოვედით.

. . . — ჰო, არც კი მახსოვს სად გამიწყდა ხსოვნის ძაფი.

— შენ ამბობდი ჯანსულმა სტვენას მოუხშირაო.

— ჰო და ჯანსულმა სტვენას მოუხშირა, მე თვალი მოვჭკარი ჩაჩბას დოხოორეს კიბიდან თეთრმა ლანდმა ჩამოირბინა.

საჯინიბოდან ჯაზიერებით შეიარაღებული ბიჭები გამოცვივდენ.

ძაღლებმა ჯანსულს მიაშურეს.

ბიჭები მათ მიჰყვენ.

ჩემი საფარიდან ვხედავ: კაპიტანი ჩაჩბა ახალუხის ამარა ჩემსკენ მოდიოდა. რევოლვერი მთვარის შუქზე ლაპლაპებდა. როგორც სჩანს იგი აივნიდან უთვალთვალებდა, თუ საითკენ შეუტოვებს ძაღლებმა პირველად.

ორი მეძებარი თან მოსდევდა შტაბს-კაპიტანს. პატრონი უსინებდა, მეძებრები მუხის გარშემო დარბოდენ, ყეფდენ.

ერთი მათგანი უკანა ფეხზე შესდგა ის სამგლე და ფულუროში ჩამოხტომა დააპირა. მე სისხლის დაღვრას ვერიდებოდი, მაგრამ ვხედავდი: საქმე წახდა.

გავიტრუნე—და გადავსწყვიტე სისხლის ღვრა ამეცდინა თავიდან—და ამ დროს გავარდა ერთი.

წამლის სუნი მეცა და სისხლი მომწყურდა.

ეჰ, ჯანსულს ესროლეს გავიფიქრე და რევოლვერი ავწკიპე და გადმოვდევი ფულუროზე და ამ დროს მესროლა ჩაჩბამ. მესროლა ჩაჩბამ და სროლითვე ვუბასუხე და თვალი შევასწარი ჩაჩბა წაიქცა. წაიქცა ჩაჩბა და სამი ძიძიშვილი გამოჰქანდა მუხის ძირისკენ.

მერმე შევყევი ფულუროს, მალლა ავცოცდი და იქიდან იმდენი ტყვია დავაყარე ბიჭებს, რომ ანგელოზები დავუფეთე.

ჯანსულის მხარეს სროლა შესწყდა. ალბად ჯანსულმა თავს უშველა, გავიფიქრე. ჩამოვედი ძირს, და სროლით გზა გავიკაფე.

ორმა ძაღლმა და სამმა ბიჭმა დაფნარში გადმომსდიეს.

ჩავუსაფრდი თხრილში და არც ერთი გამიშვია ცოცხალი. მეორე დღეს ფიფია გავგზავნე მზვერავად.

პირველი ტყვია ცხონებულ ჯანსულ აგირბას გაუსვრია, ერთი ბიჭი მოუკლავს.

მერმე ტყისკატასავით დარბოდა ხეზე და ისე ისროდა. როცა ტყვია შემოეღია ტყვედ ჩავარდნას და ჩაჩბების წინაშე თავის დამცირებას, სიკვდილი არჩია.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ ხანებში აგირბებს ჩაჩბას სისხლი ემართათ.

და ჯანსულმა...

ჯანსულმა უკანასკნელი ტყვია თავისთვის შეინახა.

ძმადნაფიცი დამელუბა, მაგრამ გაგიხარია, ჯანსულის სისხლი მე ავიღე: ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ ხელმეორედ თავს დავესხი ჩაჩბას, მეორე ძმა შინ არ დამხვდა, მამა შემომაკვდა, და თათია მოვიტაცე.

სიტყვამ მოიტანა, თვარა რიგი იყო ეს ამბავი ჯერაც არვისთვის გამემხილა. ამგვარ სიკვდილს ყოველი კაცი ვერ შესძლებს. დასძინა ტაგუ სამუგიამ და ყალიონი ხელის გულზე დაიფერთხა.

* *

მეორე დილით გავიგეთ მე და ტაგუმ: სენაკიდან მომავალ მეურმეებს, უთენია ძიგირში შეხვედრიათ ქოსა გახუ.

ისე ჩაუქროლა თურმე მეზობლებს, გამარჯვებაც კი არ დაუბარებია.

* *

მარიობის კვირა ძალში ტეხურის ჯებირის ზემოდ, ალანიების ბადეს მოჰყოლოდა მოკლე ჩოხიანი, ტანმორჩილი კაცის ცხედარი.

როცა სასროლი ბადე კიდეზე გამოიტანეს ერთბაშად იცვნეს: ქოსა გახუ.

მთელი სოფელი მოჯარდა ტეხურის პირას.

ცხედარს ზედვე ეტყობოდა, იგი კარგ მანძილზე ეთრია წყალს. სი/ხლი სდენოდა პირიდან. სისხლს გაეჟლინთა ტილოს ახალუხი. ხალხი ჯერ ჯგუფ-ჯგუფად იდგა. მერმე ხმამალალმა ჩოჩქოლმა პირიდან პირზე გადაირბინა.

მოხუცები განზე აწიტებდენ, ინძგილის ღერიან თიხის ყალიონებს აფშუკუნებდენ, კეფას იფხანდნენ, ახალგაზრდები გამალეებული დარბოდენ ჯგუფებს შორის—თეთრი ჩაბალახები ფრიალებდენ ჰაერში. ერთბაშად ხალხი შეტბორდა.

„ჰო, ჰო, ჰო... ათაშ. ათაშ. ათაშ“ 1).

მოისმა ყოველის მხრიდან.

და გლეხებმა გადაწყვიტეს მიცვალებულისათვის მაინც მოეკითხათ მანუჩარ ბატონიშვილის ცოდვები.

ცხედარი პირალმა იწვა რიყის ქვიშაზე.

მე და ტაგუ სამუგია ვადექით თავზე.

1) ასე, ასე, ასე.

ხალხს ორი საცვეთებიანი, თეთრჩაბალახიანი ვაჟი გამოეყო
და ცხედრისკენ გამოეშურა.

მე განზე გავდექი.

ტაგუ სამუგია გარინდებული იდგა მიცვალებულის ფეხით.

სატევარზე ხელი დაედო. მიწას დასჩერებოდა.

როცა თეთრჩაბალახიანებმა ცხედართან მიაღწიეს, ტაგუ სამუ-
გიამ ანთებული თვალები შეავლო ჯიქურად ჩვენსკენ მომავალთ, მაგ-
რამ კრინტი ვერ დასძრა.

სანთელივით გაფითრდა.

ისევ გაწიოლდა.

სისხლი აუვარდა სახეზე.

თვალი ვჰკიდე: ეს მანუჩარ ბატონიშვილის ნილაბათარებული
სისხლი იყო. სისხლი ნააბრაგალისა და ფეოდალის, რომელიც სააშ-
კარაოზე ველარ ჰბედავდა გამოსვლას.

თეთრჩაბალახიანები ცხედარს დასწვდნენ და ტეხურის საფირო-
ნის ტალღებს დაუბრუნეს ქოსა გახუს ვაგლახად მოკუნტული ცხე-
დარი.

ასე გადალახა სიძულვილმა სიკვდილის მიჯნა.

1927—29 წ.

— : —

სიკლიდან „ოპერის ლაშქარი“

I. ოპერის თეატრთან.

რიგში ჩამდგარი მეეტლე
მუშტარს მოელის თვლემითა.
დათოვლილია ცხენები,
ფრთხვიხავენ ფეხის ცემითა.

განათებული ოპერა
იქ წარმოდგენა თავდება
და თეატრიდან ზეიმით
ბრბო მალე გამოზვავდება.

ისიც გედივით გამოვა
მთლად შეფუთვნილი ქურქებით
მზესავით მომენატრება
მისი ღიმილი ურგები.

ბრბო დაიტაცებს მარხილებს.
ისიც თოვლივით გადნება.
როგორც ჩამქრალი კანდელი
ოპერა დამეჭადნება.

ბრბო დაიშლება ზღვასავით
და თან წაიღებს ფერიას.
ის მობრუნდება ოდესმე,
ან ბედი არ მიწერია.

მუშტარს იშოვის მეეტლე,
მე კი დავრჩები ობლადა.
ქარი ასკდება ოპერას,
თარეშობს წუთი სოფლადა.

II. წიგნის ვიტრინა ლამით.

ბრწყინავს წიგნების კრელი ვიტრინა
განათებული ელექტროს შუქით.
უცბად წიგნებზე გადაირბინა
პატარა თავგმა პატარა ქურქით.

მან მოიყვანა თავისი ტოლი:
დაცქრიალებენ წიგნების ყდაზე.
ერთი ქმარია, მეორე ცოლი —
ეტყობა მეტი მას სილამაზე.

ოპერის ხვრელში სცხოვრობდენ წინად.
სარაჯიშვილის სიკვდილის შემდეგ
მათ ამჯობინეს წიგნებთან ბინა
და ნებივრობენ თავგები დღემდე.

თავგებს სპეტაკი სინათლე ათრობს,
ფერად წიგნების ათრობს სურნელი
და თვითეული ნადირი ნატრობს
სულ იყოს ღამე დაუბურველი.

მთვრალი პოეტი სახლში ბრუნდება
დიდხანს უცქერის თავგებს, ვიტრინას.
ელექტროს შუქი გამოხუნდება
და მოცილდება პოეტი მინას.

— : —

30 წლის თავზე

ჩანგო ხომ გახსოვს ჩვენი შეხვედრა?
ეს მოხდა იმ დროს, ეს მოხდა მაშინ,
შრომის ქვეყანას მზემ რომ შეხედა
და ხსნის იმედმა მოაგდო რაში.

შემდეგ მოვსდევდით ამ გზას ხრამებზე
და გვცემდა ხშირად გრიგალი, ზვირთი,
მაგრამ ვავსებდით რწმენით ხარვეზებს
და მუდამ გვყავდა ცოცხალი მითი.

ბევრჯერ ავხადეთ ფარდა ცხოვრებას
და გადვიხედეთ გადაღმა მიზნის...
დღეს არაფერი გვეუცხოვება:
ტვინის უჯრედში სალოსი გვიზის.

ჩანგო! ეგებ დღეს არვის ვახსოვართ,
ანდა—არ სურდეს ჩვენამდე დახრა;
მაგრამ ჩვენ როდის ვგვანდით მათხოვარს,
რომ მოწყალება ვითხოვო ახლა!?

13 იანვარი 1929 წ.

— : —

წვიმიანი ღვებები სოფლად

მოკლე ფარდები. სავარძელი. ბუხარი თბილი.
თვალდაჭყეტილი ცინდალი და მორგვი ძაფისა.
გაბმულმა კითხვამ თვალი თითქო ბინდით გაფისა,
გულია თითქო მტკივანი კბილი.

ნელა დავიღე მუხლებამდე გახსნილი წიგნი.
ვხედავ ფანჯრიდან სანახევროდ დაცლილ ნალიებს.
თითქოს იხდიდენ საზეიმო სატურნალიებს,
მათ გარს ჩხავილით უვლიან ჩხიკენი.

წიგნი გახსნილი სავარძელის ფეხებთან ჰგდია.
შემომესმება მგელიას ხმა ყრუდ დაყეფილი.
მოირასავით მღუმარე და ფეხაკრეფილი
შემოდის ჩემთან მოხუცი დიო.

ცა ნაცრისფერად დანისლული იღვრება წვიმად.
მოსჩანს შორიდან მთის კონტური ვით პირამიდა...
ამ დროს უეცრად ჯებირებით შეკრულ ხრამიდან
კარს მოასკდება შხუილი მძიმე.

ორბელი.

— : —

გ ა ლ ა დ ა

დევების სისხლი არ მისვამს,
არც ორბის გული მრგებია.
მთებმა უბეში ჩამისვა—
სად ბროლის ღვართქაფებია.

ოდში გადმომივლია,
ცხრა მთა, ცხრა ველი ცვრიანი.
გნახე—ჩიტის ხარ ნიბლია,
პატარა, გიშერთმიანი.

სიცოცხლეს გროშად დავიჯენ,
გაგაბავ ჯადო მახეში.
ბნელ ღამეს ამქრად ავიჩენ
და გაგიტაცებ კახეთში.

აფხაზეთს ხმა დავარდებ:
„ქართველმა ქალი მოგვტაცა“!
სასიძო გადმოვარდება,
ცხენს გადმოაფრენს მამაცად.

ყირიმის ტყვია გამიჭრის
ნაბადს შემოსხმულს ტანზედა.
ენგურის იქეთ რა მიჭირს!?! —
ხმაღს გადავაგდებ განზედა.

და მზე მეორედ მომისწრებს,
დიდი ორპირის გზაზედა.

სოხუმი 1927 წ.

— : —

ბედი — რესპუბლიკა.

მესამე ნაწილი

I.

და მიაღწია რესპუბლიკამ პონტოს ნაპირებს,
გზა გაიწმინდა ჭუჭყიდან, და გაზეთებიდან.
შეგროვდა ბრბო... ლტოლვილები მოყვეს ცა ფირუსს
ქუთაისიდან,

ორპირიდან,

აფხაზეთიდან.

ერთი დაბიდან მეორეში რეკდა რევეკოში:
ნუ აიშლება ოჯახები, აყრილ სოფლებათ,
ადგილობრივათ შეუთანხმდით ხალხის მეგობრებს
და სრულ სიმშვიდით დაარიგეთ თავისუფლება.
მოსპეთ ჭორები, მშხამელები მორიელებათ
და ნაბიჯებით ნუ გასრისავთ ჯანსაღ ბალახებს.
განვიღო შეცდომებს არ სჭირია განმეორება
და დანარჩენებს თვით ცხოვრების გზები

გვანახვებს.

რესპუბლიკამ-კი მიაღწია ტალღებს მოროხილს,
ის დაიკალა სისხლიდან და მებრძოლ ჯარიდან,
ბათომში შეხვდა ზღვაური და

მღვრიე ჭოროხი

და ქემალისტთა მახეები

ჩნდა აჭარიდან.

ფორტები იდგნენ მდუმარენი როგორც თუნგები
და ზღვის სივრცეზე სამარცხვინო ნისლი ეკიდა;
ჭორი დასცვივდა კენჭებივით

და თვით ბათომი

ბაირონივით გაიწეწა კახაბერიდან.

გზათ მიდიოდა მოხუცი და ვილაც ყმაწვილი,
მოხუცი ზეცას გაყურებდა თავისებურათ:

უწინ სამშობლოს თავს დაფრენდა დედა არწივი,
დღეს-კი ამ მიწას გაურკვევი ფერი ეხურა.
და სთქვა ყმაწვილმა:

— რაა რეკომი მითხარი ბაბუ,
გამაგებინე რათ გავრბივართ ბალახთ ბადეზე,
როდის მივალწევთ დაღლილები

ხოლმალდის ხაბოს,
ან ჩვენ მიწაზე ვარსკვლავები როდის დათესეს?

— რა დაგიმალო თავადების
წმინდა გვარისავ,

რეკომი ნიშნავს:

კვამლსა და რეკვას საქართველოში
ეს ხომ ყოფილა უხსოვარ დროშიც.

კვამლი და რეკვა ხანძარი არის,
ხანძარი არის საქართველოში.

მაგრამ მე მგონი კიდევ შევცოდე
და ვიღუნები გლეხის კავივით;

მე ვერ გავარკვევ ცხოვრებას ცამდე
და ბოლმით ვღმუი დასაკლავივით.

მოხუცს მეშინის დროსგან გარიყულს
და უნებლიეთ ბოდიშს ვაბოდებ,

ნეტავი ეს ცხადი არ იყოს

და ყოველივე ძილში ხდებოდეს.

შემდეგ მოხუცმა მოყვა იგავი
შეთხზული გლახაკ ხუროზე
რომელმაც ტახტი დაკარგა
გაიქცა სანაპიროზე.

თურმე ყოფილა აქ ხურო
მკლავით გამრჯელი, ღარიბი.

ის თლიდა ვარსკვლავს საყურეს
და სცემდა მდიდრებს ზარივით.

ვარსკვლავს ის თლიდა ხალხისთვის
ნიშნად ღარიბთა რიცვისა,

ის თვლიდა თავის ხალისად
ბატონის ცუდს და სირცხვილსაც.

მაგრამ გამდიდრდა ეს ხურო

შემთხვევით იგდო განძი და

ტაშტში ჩააგდო საყურე

და ნაგვის ყუთში ჩაზიდა.
მაგრამ ვარსკვლავიც მიეკრა
ყუთში მდაბიო მასალებს
და კიბორჩხალი ეკალი
ქმნიდა ცინცხლების მაშხალებს.
და კიბორჩხალი წვეტებით
ვარსკლავს ვარსკვლავზე ბადებდა
შეისვა ყუთის კედელი
და ტანზე მოიმატებდა.
შემდეგ გადვიდა სივრცეზე
მოედვა მინდორს ხრიოკებს
და ვარსკვლავების ცინცხლებით
დაბლობნი ბრძოლებს კიოდენ.
ვარსკვლავს მიწაზე რა უნდა?
კვირობდა ხურო—ბრაზობით,
ის აგროვებდა რაინდებს
ცეცხლის მქრობელი რაზმებით.
ვერ გაიხსენა ხურომან
ვარსკვლავი მისგან გათლილი
წარსულს ის გრძნობდა ხუმრობათ
და კაცთა ბედის ხათრივით.
მაგრამ ვარსკვლავნი ადგენ და
ტახტი გასწმინდეს ხუროდან
ასე მოგვითხრობს ლეგენდა
დაბწნილი შრომის სუროდან.
ახლა ყმაწვილო ხომ გესმის?
ძირს ვარსკვლავები რა არის?
წინეთ მონებმა დათესეს —
დღეს კომუნიზმის გზა არის.
სთქვა მოხუცმა და გაიარა თავისებურათ,
ვერ უთანხმებდა, ის ნაბიჯებს შექმნილ პირობებს,
მას ბევრი ქონდა წარსულიდან დაკისრებული
და ნურვის უკვირს თუ მოხუცი დღესაც ტიროდეს.
ბათომში ეგდო რესპუბლიკა გამხდარ ძალლივით
და პარლამენტში მოელოდა სხდომას გადამწყვეტს
ის დაკუნტდა და ვარსკვლავებში ჩაჯდა დაღლილი
და ბედის წიგნზე დასასრულის დასვა წერტილი—
მოხუციც გრძნობდა პარლამენტის დამპალ სარძირკველს

III

შიგ სახლში შედის ეს ბატონი განზე ყურებით,
ფეხ აკრეფილნი იქ ეძებენ გზას და საბუთებს,
სახლთან რაზმები იშლებიან ბედაურებათ
და მთლად ზღვაური

ატეხილი მაცდურს აბოდებს.

სახლზე კიბეა და კიბეზე ხალხი კიდია.

შიგნით შედიან, გამოდიან ბედის შვილები.

წინ წესრიგია შედგენილი, როგორც კედია

და სახლს მხედრები დარაჯობენ მოღუშულები.

ნაწილ-ნაწილად

ნაკუწ-ნაკუწ კვდება მთავრობა;

ელის განაჩენს პარლამენტის ბოლო სხდომაზე,

ეგებ დასჭირდეს ხმელეთიდან ზღვაზე მგზავრობა

და ის თანხმდება ზღვების გაღმა გადახტომაზე.

და თითო-თითოდ

და ჯგუფ-ჯგუფად ხალხი გროვდება;

ფეხაკრეფილნი საფეხურებს ქუსლებს ადგამენ;

ბედს—რესპუბლიკას ბატონობა მოაგონდება.

და გადასაჭრელ საკითხათ დევს კრების დაზგაზე...

კარ უტყვო სახლო მისთვის ტანი ნუ შეგშურდება;

გიყვარდეს დრო და ამ დროში ნუ დაბერდება.

წამოვა ცხენი გასროლილი, როგორც შურდული

და შენს კრებაზე დაიმტვრევა ქართულ ფერდებით.

და კიბე ამბობს:

პრეზიდიუმი შველას გადასწყვეტს,

შეიტანს ზღვაში საქართველოს ახალ კუნძულათ.

ირგვლივ გალავანს გაუკეთებს წყვდიადებიდან

და ვერასოდეს ვერ ნახავენ ურჯულოები.

ეს დარბაზი ხომ უბედოთა საიდუმლოა,—

მის მუცელში ზის ძველი ტვინი, აზრებ ჭიანი,

მას არ სურს იგრძნოს პირადული დღევანდელობა,

მაიმუნია მისთვის ზოგჯერ ადამიანიც.

მხოლოდ მოხუცი სახლს უცქერდა

და ამ ბაღების

მას არ სჯეროდა აფეთქებულ მკერდთა ძგერანი,

მან თვითონ ნახა საფლავებათ მდგარი ტალღები

და ტალღებს ზემოთ დამტვრეული ქართლის მერანი.

და მოხუცს მკერდზე ფეოდალის აჩნდა წყლულები...
გაცივდა მთა,.. გაიყინენ თოფის ლულები...

სახლის დარბაზში პარლამენტის სხდომა გაიხსნა
ზარი დარეკეს... აიმართენ კრების გულიდან,
მოქალაქენო დამშვიდდით... და ყველა დასხედით
გაიძახოდენ სცენიდან და პრეზიდუმიდან.
შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი ჭიანჭურით.
მომეცით სიტყვა... სიტყვა ვის სურს...

ადგილებიდან.

შესწყვიტეს ხველა და სიარული
და დარბაზს სუნთქვა გაუძნელდა მჭიდრო კრებიდან..
და ორატორნი ამბობდენ, რომ გაიმარჯვებენ,
ამბობდენ, რომ მათ ხალხში აქვთ ხშირი ქსელები.
კიდევ ამბობდენ... ბოლშევიკებს მოარჯულებენ
დასავლეთიდან წამოსული ინგლისელები.
შემდეგ ამბობდენ საქართველოს აღარ ვშორდებით
და ამბობდენ, რომ რესპუბლიკას ზღვაში წამლობენ,
ამბობდენ, რომ დაგვიარა მტერმა შორიდან
ამბობდენ რომ...

და ვინ იცის რას არ ამბობდენ.

.
ფანჯრიდან სჩანდა ხომალდები დატვირთულები
და საყვირები გამგზავრების ნიშანს კიოდენ.
ხალხის ზუზუნნი ფანჯრებს სჭრიდა მავთულებით
და ზღვის ტალღები კრების ზღვაში ჩამოდიოდენ..
ვიღაცამ მოკრა თვალი ხომალდებს:
მოღალატენო — ნუ თუ ერთად მიიპარებით,
თვითონ მთავრობა, მტერს ცოცხალი უნდა ჩაბარდეს
და ჩვენთან ერთად გადიტანოს ნიაღვარები.

ატყტა ჩოჩქოლი... აღელვება... რტყმევა ტორების
და წამს გაშეშდენ სვეტებივით ორატორები..

მივდივართ ჩვენ... გააგრძელეს მათ ლაპარაკი.
მაგრამ ჩვენ წასვლას ქვევით უდევს სქელი სარჩული.
შუაში გაიყო სამშობლოში ხალხის ბანაკი
და მოკვდა ბედი წვალემაში გამოხარული.

მივდივართ ჩვენ — რესპუბლიკა გემზე გადადის
და კიდევ წყევლა... გულის ხეთქა... კრების კაპასი
სანამდის ასე იხროტინებთ... მითხარ სანამდის...
ჩვენ ვერასოდეს ვერ მივიღებთ ტანჯვის საფასურს.
და ორატორი ებრძოდა გრიგალს,
გრიგალს ამომსკდარს ხალხის მკერდიდან,
მაგრამ სიტყვებით გასროლილი ხმების ხინკალი
ხალხს ზემოთ დარჩა — და ცარიელ სივრცეთ ეკიდა
და ორატორი ებრძოდა

ზღვაურს კრების გულიდან;
ებრძოდა ზღვას აღელვებულს, ტალღებ მოროხილს;
ქემალი ხელში ჩასაგდებათ ფოსტას უვლიდა
და ამღვრეული ფერს იცვლიდა მღვრიე ჭოროხი.

შემდეგ გეგები პრეზიდენტულთ უკვე უცდიდენ
და გადიოდა რესპუბლიკა ქართლის მუცლიდან.

კიბესთან იდგნენ ყმაწვილები
და ცნობებისთვის მოელოდენ კრების დამსწრეებს.
შორს ხომალდები გაკიოდენ არწივებივით
და რაზმებივით ჩადიოდენ ზღვაში დღეები
კიბეზე გაჩნდა კაცი ჭალარა.
და შეეკითხა ყმაწვილობას ძმური დიდებით.
როგორ უყურებთ მომავალს და ბედის ნაღარას
თქვენ ყმაწვალებო მიპასუხეთ

მოურიდებლათ.

ჭალარას ქონდა ტუჩზე ღიმილი,
და იმავ ტუჩზე მწარეს იჭერდა
და მის თვალების სველი მღვიმევი
სითბოს ბადებდა ყმაწვილ ბიჭებთან.
— ჩვენ რომ უყუროთ — თქვენ რას შეხედეთ —
ვილაცამ გასცა პასუხი მკვახეთ —
— გაგიტყდათ ხალხში ძიავ სახელი
და ეხლა ზღვაში მხსნელები ნახეთ. —
ჭალარამ მწარეთ შეხედა ყმაწვილს
შემდეგ გახედა მხარეს ზღვისაკენ
და უთხრა ყმაწვილს, სევდა ნაწვიმმა:
— „თქვენი პასუხი არ არის კარგი“

მეც ყმაწვილს ვკითხე:

ვინ არს ჭალარა,
გონიერ შუბლით—თვალ სევდიანი
მან მიპასუხა—ეს ჩხეიძეა.

წინეთ ნალარა
დღეს-კი გამტყდარი ადამიანი.
და ის მობრუნდა--მობრუნდა სევდაც,
ჩაეშვა ზღვაში გონების ბარგი,
და მეც მიმავალს ყურში მესმოდა:
„თქვენი პასუხი არ არის კარგი“
მისი პასუხი არ არის კარგი.
და მეც ვერ გეტყვი უკეთესს ალბათ,
ქალს - რესპუბლიკას გაუტყდა სარკე
და გაუთხოვრათ ეცემა დაბლა.

IV

რათ დამამცირე დამწვარ იმედო,
ხომალდები სდგას, სდგანან ლაზებიც;
უნდა დავშორდე და გავიმეტო,
ლუზას ასწევენ დარდით დილაზე.
დედაო მოდი და დილამდისინ
ზღვის უდაბნოზე თმები გაშალე;
ნისლი სევდაა სინდისივით
და ხომალდების აქრობს მაშხალებს.

ირგვლივ გაშლილა ბური თუთუნის
ტალლა-ტალლაზე წევს და დუდუნებს.

ზღვა მდუმარეა...

ცა მოყვითალო
და ირხევიან ტალღების ხნული
მსურს მშრომლის ხორცი
ძალღს მოუთალო,
მანდარინების ფერ გადაკრული
თურქულ თამბაქოთ დღე გაბოლილი
იცნობს გემებით მოყვანილ ბოზებს.
ხომალდებიდან მოსჩანს სტამბოლი
და ხალხს ყიდულობს სანაპიროზე.

ზღვა უდაბნოა დიდი დაბლობი,
უდაბნო სდუმს და ხშირათ გრიგალობს
ტალღებს ჭრილობა აქვსო ამბობენ,
და იალქნები დარდებს გიგალობს.

ირგვლივ დუმილი დამდგარა დროზე
და დედა ტირის ზღვის უდაბნოზე.

ბედო ნაპირთან დამაბიო და
გადასჭერ უკან გზები გათლილი
გინდა დალუპვა გადამდიოდეს
და მიწყდებოდეს ბედი ქართლივით.
სტამბოლში შეგხვდეს სუნი თუთუნის
გყლაპავდეს გზაში ნისლი და ბური
მესმის ტალღები სიკვდილს დუდუნებს
და კატასტროფის ხმებს ამოღმუის
ხმელზე მსურდა

და ზღვაში ვნადირობ,
დალუპულ შვილზე მაინც ილოცეთ,
მუხლი მოდრიკე და შემომტირე
ბედო დამწვარო სანაპიროზე.
ბედო დამწვარო სანაპიროზე
დედაო მოდი სალამომდისინ
ღრუბლები მოსჩანს მგზავრის ტილოზე
და ნისლი გზას კრავს სინიდიისივით...
ზღვა უდაბნოა... ნისლი ენერი
რა გაგატარებს ამ დიდ სივრცეზე
თუ შორს წახვიდე წიგნი მომწერე
ქალაქდათ გექნეს ტალღის ფურცელი.
ბარგები მიგაქვს როგორც ბეგარა
სუნი თამბაქოს და ქაბაბისა..
ტალღა კენჭებათ გადმოიყარა
და ზღვა მოდიდდა

დასაბამიდან.

დასაბამიდან ცა ვერ იგონებს
ზღვა ზღვის სიღრმეში რას მოინდომებს
ტალღებზე დასწერს ნახულ სტრიქონებს
და დროს დალუპავს დომინოებით...

და ჟორდანია გემში ჩამჯდარა
ქავთარაძეებს უთმობს დროებას
და შავ ხომალდის დიდი გიტარა
კიკის ხმელეთთან გამოთხოვებას.

ირგვლივ გაშლილა ნისლი და ბური
ტალღა ტალღაზე ურტყამს და ღმუის.

სხვა საქართველო სად არის?
ზღვაში ვინ ნახავს კუნძულებს
სხვა საქართველო სად არის?
მოხუცი ხმელზე ძუნძულებს.

ირგვლივ გაშლილა ნისლი და ბური
ტალღა ტალღაზე მირბის და ღმუის...

ეპილოგი.

დღიურ სიცხადით ამის შემდეგ გამოფხიზლებულს,
დამრჩა ხმელეთი და მოხუცის ტვინის ხნულები;
დარჩენ ხეები ნაპირებზე აფხაზებივით
და ადგილიდან არ იძროდენ შესუდრულები.
შიშველ ფეხებით მე ვერ ჩავალ

ზღვაში ბრიყვივით.

მე ხალხს ვეკუთვნი. უსათუოდ შრომის წევრი ვარ;
არ მინდა დავრჩე პოეზიაში გამორიყული
და სამშობლოში ბედის გზები დამიწყევლია.
ვინ გამოზიდავს სხეულიდან ნამყოს ჯაშუშებს,
ჩემ ტვინს არ უნდა ჯვარედინზე საბრალოთ იჯდეს.
უკან დავბრუნდე... და ტკივილებს ვინ დამიშუშებს.
რა ვქნა არ ვიცი...

შემთხვეულით ეგებ გავგიჟდე.

სულო მერყევო, ამოვარდი ჩემგან ბურთივით
და შავ ზღვისაკენ ძველ დღეების მიდის რაზმები;
მე-კი ვბრუნდები—მწამს შრომაში გადავეროთვები,
ამ საუკუნის ურდულებზე გადარაზული.

გამინათლდება გაურკვეველს გზა დანასავით,
უკან გავიქცე... ამოვიშრობ მკერდზე იარებს...

შემეგებება მშრომელებში ძმა ნათესავი

და შავ პურივით ახალ ბრძოლებს გავიზიარებთ.
მეც საუკუნევ გეწაფები მწყურვალესავით,
მსურს დროის ბორბლებს მეგობრებმა ისევ შევებათ,
მაგრამ მომესმის, სადღაც გზებზე დანებს ლესავენ
და ეგებ მომკლან მე ჩემმავე მოწაფეებმა.
მე წინაპრების სურვილებში გამოთოშილსაც,
ხომ შეიძლება ალტყინებით ძალა ჩამიკვდეს,
სულ დაიღუპოს სამშობლოში ბარათაშვილი
და დაიკვნესოს ჩიქოვანმა ცივ აკვანიდან.
მე არა ვხედავ სინათლეზე მხარეს მოკლებულს,
მხოლოდ კარები საჭიროებს ახალ კლიტულებს,
და იალქნებსაც, ბედის ქარში დატრიალებულს,
ურტყამს დროება ჩამომტვრეულ ზეცის კიდურებს.

და როგორც მოხვერს კვიატისგან უყვარს სირბილი,
მე ავიტეხავ და გადავრბი ნამყოს ნაპირებს;
ჩემი ქუსლები ბამბურ მიწის იგრძნობს სირბილეს
და მევედრება შემისრულე დაპირებული.
მივრბივარ მე... თვალთ მერევიან ნახაზობანი
მრჩება წარსული... ამღვრეული ზღვისფერ თვალებით...
შიშით მიცქერენ დაკეტილი მაღაზიები
და მეღუქნენი კითხვით თითებს ატრიალებენ.
უკან მომესმის მილიციის ხმები

„შეჩერდი“

საით მირბიხარ. ამხანაგო... ასე ადრიან!..
ორთქლი ამოდის ოჯახების ჩაიდანიდან
და ჩემ პირისპირ ჩაიდნები უკან გარბიან.
მივრბივარ მე, ჩრდილნი დარჩენ ეკლესიების
და ძველ ცაცხვების მისამართებს ვტოვებ ცალობით
ძახილს მაწყდიან მე მდეგრები აკვნესებულნი
ეი ვინ ხარო პოლიტიკურ შთამომავლობით?
ახალ ცხოვრების დერეფანში შემაკავებენ.
— ნება ვინ მოგცათ რომ გვიუწყებთ ბალახს ტორებით...
ცხენი ხომ არ ხართ... გაგიშლიათ ხმელი მკლავები
და ულაყივით გადარბიხართ საბჭოს მინდორებს—
— ავადმყოფი ვარ — უპასუხებ — მქონდა დარდებიც;
რბენა მირჩიეს ექიმებმა გასამრთელეבלათ,
უკვე მოვრჩი და აწმყოს ნულარ დამიგვიანებთ,

იქ ვსაჭიროებ გამოზომილ გაქართველებას.
— თქვენ ნაწილობრივ მართალი ხართ— ამბობს მდეგარი—
ახალ ცხოვრებას დასჭირდება მარჯვე ფეხები,
გზებს ამორჩეულს დასჭირდება სალი მყევარი,
თორემ მეგობარს ვერ ნახავენ თქვენში გლეხები.
ერთი დაბიდან მეორეში რეკავს რევეკომი,
ნუ გასრისავთო ნაბიჯებით ჯანსაღ ბალახებს,
ჩვენ უთანხმდებით პირველ მოსულ თქვენებრ მეგობრებს
და დანარჩენებს თვით ცხოვრების გზები გვანახვებს.
რესპუბლიკა-კი გადაშორდა ტალღებს მოროხილს,
ის დაიცალა სისხლიდან და თქვენებრ ხალხიდან;
სული წაიღო ამღვრეული როგორც ჭოროხი
და ზღვის სივრცეზე საქართველოს ბედი გაყიდა.
ყოველ წვრილმანში სცადეთ იგრძნოთ საქმე დიადი
და ნაბიჯები შეუგუეთ ირგვლივ პირობებს,
გაიფანტება მაშინ ხალხში ბნელი-წყვდიადი
და თვითონ ნახავთ რომ არავინ არა ტიროდეს...
პასუხად უწვდი მობაასეს ხელებს მეგობრულს!
და მეგობარიც მე თვალების მიღმა მიცქერის.
ერთი დაბიდან მეორეში რეკავს რევეკომი
და ჩემთან მიდის საქართველო კომუნიზმისკენ.

1928 წელი.
ტფილისი.

— : —

ტ ა ტ ე

ნაწყვეტი რომანიდან

ტატე კარგ ბიჭად ითვლება მთელ კუთხეში. ახალგაზრდაა ოცის თუ ოცდა სამის, ის გულმოდგინეთ ექცევა სასოფლო საქმეს, კითხვაც იცის, ოთხ წლიანი სკოლა აქვს დამთავრებული, ფხიზელია, ყველაფერს სწონის და ყოველ უსამართლობას კრიჭაში უდგას, თუ გაჰბედა ვინმემ სოფლის აბუჩად აგდება, შემდიდრებული გლეხი იქნება ის, მილიციელი თუ სხვა ვინმე, არავის დაინდობს ტატე, ენა მახვილი აქვს და სიტყვა მჭრელი, ყველას გასცემს საკადრისს პასუხს.

თავად სულმოთქმული გლეხია, წელში გამართული, მაგრამ მშრომელი, ოფლ გადადენილი, თავის ფარგლებში ეტევა, სხვისი არა შურს რა, ყველა გაჭირვებულს წააშველებს ღონიერ მარჯვენას, ამიტომაც ენდობიან მას, ადგილობრივი ხელის უფლებაც ანგარიშს უწევს, ჭკვიან ბიჭს ეძახიან.

დღეს არჩეულია, სოფლის მასწავლებელთან და კოოპერატივის მოლარესთან ერთად უნდა წავიდეს დელეგატად ტფილისში, იქ უნდა მოაგვაროს სოფლის, ერთი საჭირო საქმე, რომელიც ვერ გადასჭრა თემ-აღმასკომმა, ვერც მაზრამ, ვერ მოარიგა ორი სოფელი; არც ერთი არ სთმობს და ცენტრმა უნდა გადასწყვიტოს. ქალაქს იგზავნება კაცები.

დადგენილების გამოტანის შემდეგ კრება დაიხურა, ხალხი დაიშალა, გლეხკომმა, საჭირო ქალაქდებით აღჭურვა არჩეული პირები.

* *
*

მასწავლებელი და მოლარე დანჯღრეულის ეტლით გაემართნენ გორს.

ტატესთან დაიძახეს, მაგრამ იმას მათთვის არ დაეცა დანა. მეორეთ მამლის ყივილზე, ადგა ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე, რა დააძინებს? თბილისში მიდის, მას ხომ ჯერ ის ქალაქი არ უნახავს, დიდი ხანია ენატრებოდა მაგრამ არ ჰქონია შემთხვევა. გორის გზაკი, ხელის გულივით იცის, მთელი ზამთრობით ეზიდება ვაშლს, კარ-

გი უღელი ხარა ჰყავს, ურემიც ჩინებული, მუშაობს და იცის გორი...
ეხლა-კი ქალაქს მიდის; მზად არის ჭრელი წინდები და ახლათ შე-
კერილი ქალამნები მოკოპილი აქვს ფეხზე, ყვითელი ხალათი, გა-
ცვეთილი მაზარა და გახუნებული ქეჩის ქუდი რომელიც ძლივს უფა-
რავს თავის კოტოტს.

დედამ საგზალი ჩაულაგა ჭრელ აბგაში.

— რათ მინდა დედი, იქ ხო გორი არ არის ურემის ჭალზე ჩა-
მოვჯდე და ვისაუზმო, ნესტორანებია.

— რათ უნდა დაიხარჯო შეილო! ვინ იცის როდის მოხვალ...
გზაში მაინც მოგინდება, ცოტა ნახუქი და ერთიც კვერეულია შიგ.

— კარგი, იყოს, ეგ აბგა კი დამჭირდება, იქნება რასმე შეხვ-
დეს კაცი საყიდელს, ქალაქია.

— ტატე!—გადმოსძახა დამ.

— რა გინდა გოგო!

— ამერიკაში ერთი პოლსაპოშკა მიყიდე...

— ენახოთ...

— მიყიდიიი?

— ჰოდე.

— აარჩევ ჩემ ფეხის სარგოს?

— ავარჩევ მათ... არ მიყიდნია თუ?..

ჩაიცვა, მოერთო, ჩაბალახის წვერები ქამარში გაიმაგრა, აბგა
მხარზე გადაიგდო და გამოიხურა კარი.

— ღმერთო შენ მიეცი მშვიდობის მგზავრობა ჩემ ტატეს.
გამოასახა დედამ პირჯვარი.

— იჰ, დედაჩემო, ღმერთი-კი არა და ის არ გინდა?

— ე, მანდ ენა ჩაიგდე შე გასაწყალებელო თორემ მე ვიცი შენი.
გოგომ გადიკისკისა.

— გაგაცინებ მე შენ.

— დედი! ვერ გაიგე რო ღმერთი არ არისო.

— ვინ მოგახსენა?

— თავად ნამღმდვლევა რემანოზმა ილაპარაკა.

— რემანოზი გაგიყდა. ამიტომ ყველანი უნდა გაგიყდეთ?

— გაგიყდა-კი არა და ასეა, მასწავლებელიც ასე ამბობს.

— მასწავლებელიც გაგიყდა.

— სულ ყველა გაგიყდა დედილო?

— გაგიყდა მაშ, თქვენ ყველანი გაგიყდით.

— გავგიყდით დედილო კი არა, ეხლა მოვედით გონებაზე...

შენ რომ ყური უგდო, შენ რომ ჩვენს საღამოებზე დადიოდე...

— ხელი აიღე მაგ კრებებში წოწიალზე თორემ მე ვიცი შენა...
ერთი მაგრა მიგბეგვო.

გოგო მოიკუტა, უფრო გაეხვია საბანში, მიჩუმდა. დედა კრებზე სიარულს უკრძალავს, სულ იმ თავითვე, რა უნდა, რათ ამოითვალწუნა იქ სიარული, იქ ხომ ყველა დადის, რა ნება აქვს დედას, დაუშალოს ახალ ცხოვრების გაგება და იმ გზაზე წასვლა? ვინ ჰკითხავს ეხლა დედას, სასწავლებელი თხოულობს ამას, კომ-კავშირი თხოულობს, საერთოდ ასეა და მაკამ არ იაროს? გამოერჩეს ტოლებში, დაუჯდეს დედას მუხლთან და წინდების ქსოვაში გაიწაფოს? ვილა ქსოვს ეხლა წინდებს ჯეელი.

მამალმა ისევ დაიყვილა საქათმეში, მაკას დაამთქნარა, გადაბრუნდა კედლისკენ და ისევ მისცა თავი ძილს.

ტატემ კარგა მანძილი გაიარა, დაადგა დიდ შარას, რომელსაც გორამდინ მიჰყავს. მიდის ტატე გაშურებით, ირგვლივ მისდევს თოვლით გადათეთრებული მინდვრები, ყინვა უჭერს, ჩახა ჩუხი გააქვს ფეხქვეშ... მთვარე მალლა აზიდულა, მოკამკამებული ცა, არც ერთი ნისლი თვალმისაწვდენზე. შედგა ტატე, შუბლზე ხელი გადისო, ოფლი მოსდენია, მიბრუნდა სოფლისკენ, შორს არის აღარ მოსჩანს, სამაგიეროთ ცის დასავალს გაადევნა თვალი, აღარც მდეგეებით წამოჭიმული მთები მოსჩანან სოფლებს რომ ციხეებივით წამოჰყუდებიან თავზე. ეხლა თოვლს ყველაფერი წაუშლია, გაუერთიანებია...

თეთრ სუდარაში შეხვეულა არე მარე. ყინვა, მხოლოდ ყინვა მეფობს, ნიავი დაიძრა სახეში წაუსისინა ტატეს.

„ხომ არ დამგრილა ნაოფლარზე“?

შეაჟრჟოლა ბიჭს და ჩქარის ნაბიჯით გასწია წინ.

გათენებამდის ჩავიდა; პატარა ქალაქს ისევ ეძინა, ქუჩაზე, აქა-იქ აბუზულათ მიმოდიოდა ღამის დარაჯი.

ტატე გავიდა თეთრ ხიდზე, მივიდა სადგურში, სანამ მისი თანამგზავრნი მოატანდნენ მან უკვე დაიკავა სალაროსთან ბილეთის ჯერი.

დაეყრდნო ტატე ნიდაყვებზე და მისჩერებია მძინარე დარბაზს, სკამები დაჭერილია, იატაკი მოფენილია მძინარე ხალხით, ვინ არ არის იქ?..

სოფლიდან მოსული ტეტია ქართლელი, იმერელი, სომეხი, ოსი, ცხინვალელი ებრაელი, ქალამანით, „ბატინკით“, წალა, წულთ, ქეჩის ქუდი, განიერი ფაფახი, წოწოლაკა მთიური, ცილინდრი და „ჟოკე“, დაჭმუჭნული პალტო, მაზარა და ცხვრის დიდი ქურქი,

ბრტყელი ხანჯალი, ბოდჩით, ტომრით, პორთფელით, ყველას სძინავს, იატაკზე, სკამებზე, კალათებზე. ფხიზლობს მხოლოდ ტატე, და ბუფეთის გამგე თავის ორი თანამშრომელით. საკმაოდ ჟანგმოდებული დიდი სამოვარი ჩუხჩუხებს, დარბაზში ნახშირის სუნი დგას და ნახევრად მძინარა ბიჭი ჭუჭყიანის ტილოთი სწმენდს ჩაის სქელ ჭიქებს.

ირაქრაქა, ეტლებმა მოსვლას უმატეს, შემოდის ხალხი, სახე გათოშილნი, ნამძინარევი თვალები ფართოთ დაულიათ, უყურებენ კედლის საათს.

„ყველა საქმის ხალხია, ალბათ ყველანი ქალაქში მიდიან. ამ ქალებს რაღა სტანჯავთ, აუჩრიათ ყნაწვილები და წივილ კივილით ეშურებიან სადღაც, ალბათ მაგათაც საქმე აქვთ“.—ფიქრობს ტატე.

დილის ცხრა საათზე ქალაქში ჩამოვიდნენ. მატარებელი შორს დადგა სადგურიდან. ხალხი აიშალა, იწყო დენა. ტატე გაჰყვა ამხანაგებს, ეხლა იმათ უნდა იარონ წინ და ტატემ მათ მისდიოს, იქ გორში სხვა იყო, კარგად იცოდა იქაურობა მაგრამ აქ, ამ „მილეთ“ ხალხში დაიკარგება კიდევ, ზღვაა პირდაპირ, რა სივიწროვეა, ძლივს ადგამენ ნაბიჯებს, სადგურის ბაქანზე ყველა ირევა და ერთმანეთს ეჯახებიან...

— ხაბარდაა. — მოგორავს რკინის საგორველა ბარგით დატვირთული. ტატე მიეჭექყა რონოდის კედელს, მივიდნენ ერთ პატარა კარებთან, ყველა აქ მიძვრება.

— შენი ბილეთი? — შეაჩერა ტატე ბილეთის ჩამომრთმევმა დარაჯმა.

მან წაივლო ჯიბეს ხელი, „ვაი შენ ჩემო თავო“.—ბილეთი აღარა აქვს, ამხანაგები წინ წავიდნენ, ჩამორჩა ტატე.

— დამკარგვია ბილეთი.

— როგორ თუ დაგკარგვია? ვიცი. ასე მოდექი.

— აი აქა მქონდა, ალბად მატარებელში დამივარდა.

— უნდა დაგაკავოთ უბილეთო ხარ.

— რას ამბობ კაცო! დელეგატი ვარ.

— დელეგატი არა მე ვიცი...

— დელეგატი მააშ. აი, ჩემი ამხანაგები წინ წავიდნენ. გამიშვი კაცო, დავჰკარგავ მათ და გზას ველარ გავიგნებ.

— ვიცი თქვენი ოინები...—დარაჯმა შეჰხედა თვალებში, თითქოს რაღასაც ეუბნება.

— „იპ, შენი რჯული დაიქცეს როგორ მიყურებს, ქრთამი უნდა ნამდვილად არ მოგცემ შეილოსან, მექთამეობა გადავარდა, — არ გესმის კაცო, არ მიშვებ, ხომ არ უნდა დამაწნილო აქა?

— წარუდგინე მორიგ უფროსს — მიუბრუნდა მილიციელს, შეიქმნა მიწვევ-მოწვევა, ტატე არ მიჰყვებათ.

— რას აძბობ კაცო, როგორ უბილეთო, დელეგატი კაცი ვარ. დააყარეს სიცილი, გაიგდეს წინ.

ეს რა მოუვიდა ტატეს, ქალაქის ნახვისა და დელეგატობის მაგივრად, ციხეში უნდა ამოჰყოს თავი? მხარზე გადაგდებული აბგა გადმოიღო ხელში დაიჭირა და ისე შევიდა სადგურის უფროსთან.

—

მასწავლებელი და კოოპერატივის მოლარე უნებურათ გაიტანა ხალხის ტალღამ სადგურის უკან... ვინ მოერიდება დაბრეცილ შლი-აპიან გახუნებულ პალტოში შეხვეულ მასწავლებელს.

ვერც კოოპერატივის მოლარეს უშველა ახალმა იაფ ფასიანმა კოსტიუმმა და ლაზათიანად მიასრისეს კიბის მოაჯირს.

— მუშა ნე ნადა?

— მუშა.

— მუშა.

— მუშა — წაეტანა ხელებში ჩამოგლეჯილი ქურთი.

— სოლომონ! არ მისცე კალათი დაუძახა მოლარემ მასწავლებელს.

— ვიცი, ვიცი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შიშველი გამიშვეს კაცი, ჩემოდანი წამართვეს.

— მუშა... მუშა...

— მუშა ნე ნადა...

— დადექ უკან — დასჰყივლა ქურთს თავზე, მაღალ მხარ-ბეჭიანმა, თეთრის წინსაფარით და გულზე ნიშნით, მებარგულმა ჰკრა ხელი და მიაგდო განზე.

— კაცო ნიკო! ტატე რაღა იქნა?

შესდგა მასწავლებელი, ორთავემ აჰყიტეს თვალები, მიდგნენ-მოდგნენ, აქეთ-იქეთ აღარ მოსჩანს ტატე.

— ვაი შენ ჩემო თავო.

— რა მოგვივიდა კაცო ესა?

— სად წავიდოდა? ერთი ხამი კაცია.

— ჯერ მგონი ქალაქშიაც არ ჰყოფილა, არა?

— არ ჰყოფილა თურმე.

— ერთი იმთაუც, რა გასაგზავნია საქმეზე ისეთი კაცი, რომელმაც გზა არ იცის და კვალი.

— ეჰ, ამას თავი დავანებოთ ეხლა და მოვსძებნოთ ის კაცი.

მიბრუნდნენ უკან, ძირს ჩამომავალ ხალხის ტალღამ არ აუშვა მაღლა. დიდი ხანი გავიდა სანამ მგზავრები ჩამოთავდა; მასწავლებელს ხელები დაეფიჩხა, მოლარეს ყურები წაეწვა, ფეხებს აბაკუნებენ, მისჩერებიან გამომავალ ხალხს არსად არის ტატე.

როგორც იყო მიატანეს კიბეზე მაგრამ აქ კარები გადმოიკეტა. აბრაზუნა მასწავლებელმა არავინ გაუღოთ—წავიდეთ ბუფეთში იქნებ იქ გვიცდიდეს.

სთქვეს და გაემართნენ სადგურისაკენ.

* * *

— რა საკადრისია ამხანაგო უბილეთობა. რა ვქნა დამეკარგა, შენ არაფერი დაგიკარგავს თავის დღეშია ჰა? ეკითხება ტატე სადგურის მორიგ უფროსს.

— პირადობის ბარათი გაქვს?

— კაი გაგახსენდეთ აჰა, ჩემი ქალაქლები თუ არ დამიჯერებთ, ე მანდ სწერია ვინცა ვარ, თქვე დალოცვილო ასე რომ მიყურებთ ოხერი ვინმე ხომ არა გგონივართ.

ტატემ ამოიღო ხალათის უბიდან და გადასცა უფროსს თემკომისაგან მიცემული მოწმობა: რომ ის არის გლეხი და მიემგზავრება თბილისში დელეგატათ მთავრობასთან სასოფლო საქმეზე.

უფროსმა ჩაიკითხა ქალაქლები, ცალი წარბი ასწია, გადაიქნია თავი.

— მააშ... როგორა ფიქრობთ!.. მანეთი და ექვსი შაური ღირს გორიდან ბილეთი, მაგითვინ თავს შევირცხვენდი?.. ის-კი არა ჩემს ამხანაგებსაც მე აუღე ბილეთი.

— ვინ არიან შენი ამხანაგები?

— კოოპერატივის მოლარე და მასწავლებელი.

— სად არიან მერე ეხლა ისინი.

— რა ვიცი... ხალხში გამებნენ იმ თქვენმა ტოროჟმა რომ გამაჩერა დავცდით ერთმანეთს იქნება ეხლა მეძებდნენ.

— კარგი, წადი.

ტატე გამოვიდა, ისევ იმ გზით გაემართა საიდანაც მოიყვანეს, ეხლა იმ პატარა კარებთან არავინ არ იდგა, ტატემ საჩქაროდ გამოაღო, გავიდა, ჩაირბინა კიბეზე, მიიხედ-მოიხედა, აღარავინაა.

ტატემ ვერსაით დაინახა თავისი თანამგზავრნი. „რა ჰქნას ეხ-

ლა, როგორ მოიქცეს ამ უცხო ქალაქში? რას იზამს და წავა, როგორ იქნება არ შეჭხვდეს მათ, ნემსი ხომ არ არის ტატე რომ დაიკარგოს? წავალ აქ რას ველოდო“.

მივიდა ერთ მეეტლესთან და უთხრა საცა მიდიოდა.

— ორი მანეთი ეღირება.

-- ორი მანეთი?! ორი მანეთი ძვირია შე კაი კაცო, ცარიელად ვარ უბარგოთ.

— ეგრეა თუ გინდა, ნაკლებ არ იქნება.

— არ იქნება და ნუ იქნება, მე-კი ვერ წავალ?

გაემართა გზისკენ მაგრამ საით, საით წავიდეს, გზა რომ არ იცის?

— აჰა, მანეთ ნახევარს მოგცემ.

მეეტლე შეყოყმანდა.

— ჩაჯექი მე წაგიყვან მაგ ფასად.

დაეჯიბრა მეეტლეს სახე შემურვილი პატარა შოფერი.

— დუ დუ დუ დუ— აღუდუნდა ავტო.

— მოდი წაგიყვან, მიაგდო ეტლი მეეტლემ.

ტატემ აღარ იცის, რომელს მისცეს უპირატესობა.

— ჰო, კარგია ანტონობილი, მაგრამ რაღაც დაფხრეწილ დანჯღრეულია, ერთი არსად მიმჩეხოს. ან რას იტყვიან ანტონობილით მობრძანდო... არა ძმაო... ისევ...

მიუბრუნდა მეეტლეს, ჩაჯდა. მეეტლემ ცხენები გარეკა და გააქროლა...

რა განიერი ეტლია, გრიალით არ მიდის ეს დალოცვილი?... დაულეველი გზაა, მეჯვრის ხევი უფრო ახლო იქნება გორიდან... რა ვებერთელა ქალაქია ეს ვერანა. აი ტატატა, რამოდენა სახლებია, იჰ, კი არა ჰგავს ჩვენ ცინგლიან გორსა... უყუროს კაცმა როგორ დასრიალებს ეს კონკა უჰ, რა გრძელი ხიდია შენი სულისა. ეტლი დადგა, ტატე ფიქრისგან გამოერკვა.

— მოვედით...

— იცოცხლე... რომელია თუ ძმა ხარ?

— ეს მაღალი სახლი. ე, მაგ დიდ კარებში შეხვალ.

ტატემ წაიკითხა დიდი ასოებით დაწერილი.

„გლებთა სასახლე“.

დაადო თავი და თავის აბგიანათ შევიდა შიგ.

— მე ჩემო ძმაო დელეგატი ვარ, სხვა ამხანაგები გზაში შემცილდნენ, ალბათ ისინიც მოვლენ, აჰა, ჩემი ქალაქდები და მოწმობა...

უთხრა ვინც პირველი შეხვდა.

იმ კაცმა წაიყვანა სახლის კომენდანტთან, რომელიც აწარმოებდა მისულთა ჩაწერას თუ წასულთა გაწერას.

წაიკითხეს ტატეს მოწმობა, მიაკუთვნეს შესაფერ თანრიგს. გაატარეს სტუმართა დავთარში.

— ახლა წამობრძანდით ჩემთან, უთხრა ერთმა, გაუძღვა და შეიყვანა ღუმელით გახურებულ ოთახში.

— აგერ დაჯექი ბოშო და გეიხადე ტანზე.

ეუბნება მოსამსახურე.

— რათა კაცო?— გაუკვირდა ტატეს.

— უნდა აბანოში შეგიყვანო.

— რათაო?

— უნდა გაგბანოთ.

— გამბანოთ? კაცო აქ საბანებლად კი არ მოვსულვარ, საქმე მაქვს.

— უსაქმური აპა ბიძია, მიწაშია. ყველას საქმე აქ ვინც აქ მოდის.

— ჰო და, საბანებლათ-კი, არ მოვსულვარ.

— ბოშო! აქანეი ასეა წესი. შენ უნდა გაბანოთ, ე შენი ტანისამოსი ორთქლში უნდა გავატაროთ და ისე ჩაგაცვათ, თვარა ისე ვინ ჩაგაწვენს იმ სუფთა ქვეშაგებში.

ტატე შედგა, თითქოს შეკრთა კიდეც, ბევრი რამ გაუგონია ქალაქის შესახებ. ბევრი რამ ბნელი საქმეები ხდება დღესაცო ამბობენ მეგრამ აქ, ამ ჩვენ სასახლეში, გლეხის სახლში. როგორ იქნება ეშმაკობა. ვითომ რა უნდათ, გაქურდვას ხომ არ მიპირებენ, ი ცოტა ფული მაქვს თან სავაჭროთ წამოვიღე. არა, აქ რალაცაა.

იქნებ შემცდა, იქნებ იქ არ მოვედი საცა საჭირო იყო? იქნებ კარგა ვერ წავიკითხე ი ვივესკაი.

— ამხანაგო! ერთი ეს მითხარი თუ ძმა ხარ, ნამდვილათ გლეხის სასახლეა ესა...

— აპა რაია ბოშო... ნუ მაცდენ ერთი თუ ძმა ხარ. აწი სხვა საქმეზე დამიძახებენ.

— რას იცინი ამხანაგო! მართალია სოფლელი ვარ, მაგრამ მთლად გაგრია კი არ გეგონო. ჩვენც გვაქ ჩვენი ადათი... ჩვენ რამდენი სტუმარი მოგვივა თუ ყველანი ვაბანავით...

— სტუმარი-კი არა ხარ შენ ყმაწვილი პასაჟირი ხარ აქ...

— პასაჟირი ვარ თუ რაცა ვარ ჭუჭყიანი როდი ვარ.

— ჭუჭყზე არაა ამხანაგო საქმე, შენ კი არა ქრისტე რო მე-
ვიდეს იმას არ შეუშობთ დაუბანელს.

— ქრისტეს რა უნდა ძმაო...

— უჰ, დეიწყებს ახლა, რამდონი ლაპარაკი გცოდნია ბოშო,
აღბათ მაგიზა გამოგაგზანეს დელეგატათ.

— მცოდნია მა რაა, მუნჯი ხომ არა ვარ...

— გეიძვრე ამხანაგო გეიძვრე... შენისთანა დღეს ასი მოვა აქ
და თუ ყველამ ამდონი მალაპარაკა, ე თავი ქე გამითეთრდება მე და.

— მერე ის ასი კაცი ყველანი უნდა აბანაოთ?

— ისე დავქურჩნით რომე ტყავს გავაძრობთ.

— შენ ამხანაგო, იმერელი ხარ?

— რა გინდა მერე?

— აი, ფიცხი ხარ და.

— მე ფიცხი ვარ, მარა შენ ჯიუტი ხარ ვინცხა ხარ.. არ
იხდი? წავალ აპა და ვეტყვი კანტორაში არ ბანაობსთქვა და ქე მი-
გაბრძანებენ აქედან.

— როგორ მიმაბრძანებენ კაცო, დელეგატი ვარ, ასე ხომ არ
არის საქმე.

— იმე, არ გარამაყოლე ამ შენ დელეგატობას? შენ დელეგატი
ხარ მარა გეიგე რო აქანეი ამისანა წესია. შენ გინდა დაბანვა და ამ
შენ ტანისამოსს დიზინფექცია.

— ეს კიდო რაღაა, ტანისამოსს რა უნდა!

— უი უი, უჰ უჰ. წეილო ტვინი და ესაა. რაღაა ამხანაგო და
ე შენი ტანისამოსი ორთქლში უნდა გავატაროთ და თუ რამეა შიგ
ორ ფეხი ან ოთხ ფეხი ყორიფელი დეიხოცება.

— კაცო რა უნდა იყოს შიგ, ეს პაჭიჭები და წინდები პირვე-
ლათ ჩავიცვი ამ დილით, შარვალი სუფთა მაქვს და ხალათი, სა-
ცვლებიც წუხელის გამოვიცვალე, მა ჭუჭყიანი ხო არ წამოვიდოდი
უცხო ქვეყანაში, ამ შინელში რა უნდა იჯდეს?

— მაგას არ გეუნებიენ ამხანაგო შენ ჭუჭყიანი ხარო მარა, ახ-
ლა პოვეზდში რო იჯექი, არ შეიძლება იქ ყოფილიყო ვინმე ავად-
მყოფი, მას-კი ყოლოდა რამე, შეგლოლებოდა შენ, ხომ შეიძლება ასე
ყოფილიყოს? ჰო და ამიტომ ამხანაგო შენ გაბანებთ, შენ ტანისამოსს
გავვორთქლავთ, შენც უზრუნველყოფილი იქნები და ჩვენც.

გაიგე ახლა?

— კი გავიგე ძმაო, მაგრამ... ჩემი ამხანაგები მაინც მოსული-
ყვნენ.

— ნუ გეშინია, არ დაგწყვეტ გულს, იმ შენს ამხანაგებსაც ასე მოვექცევით.

ტატემ გაიქნია თავი და დაიწყო ტანზე გახდა.

როდესაც კარგა დამბალი და გახურებული გამოვიდა მისაღებ ოთახში აქ შეეხეჩა მოლარეს და მასწავლებელს, რომლებიც ეკამათებოდნენ კომენდანტს.

— კაცო ტატე! სად დაგვეკარგე მოაძახა მოლარემ.

— ბიჭოს... ეს კადეც უბანებიათ, სად იყავ კაცო.— ეკითხება სახე გაბრწყინებული მასწავლებელი.

— თქვენ სად მიმატოვეთ ეს ხამი კაცი თორემ, ხომ არ დავიკარგებოდი.

— ჩემო ტატე! ხამი კი არა შენ ყოფილხარ გამოცდილზე გამოცდილი.

— იმდენს ხანს გეძებეთ, დავიყინეთ სიცივეში, სად იყავი?

— იპ მე რომ ვიყავ მეყოფა, ეხლა წაღით, თქვენც ჩემსავით გაიფუფქეთ დულარეში და შემდეგ გეტყვით რაც შემემთხვა.

— რალა გავიფუფქოთ ჩემო ტატე! ბინას კი არ გვაძლევენ და.

— როგორ თუ არ გვაძლევენ?

— შენ-კი, ჩვენ არა თორემ,

— თუ არ გვაძლევენ არც ერთს არ გვაძლევენ, მე რალა წითელი კოჭი ვარ.

— წითელი კოჭი-კი არა ხარ მაგრამ გლები ხარ და გაქვს უფლება.

— რას ამბობთ კაცო! აკი ყველას ვაბანებთო იმ იმერელმა... ამხანაგო. ეს რაა... რათ არ აძლევთ ბინას ამ ამხანაგებს... ესენიც ხომ... სოფლის საქმეზე არიან მოსულნი?..

— ერთი სიტყვით მე მაგათ ველაპარაკე. შენთან სადაოდ არ მცალია... მიბრძანდით მესამე ოთახში და მოელაპარაკეთ მდივანს. გამგეც იქ არის და მისი თანაშემწეც. მე რა შემიძლია, მე რაც ბრძანება მაქვს იმას ვასრულებ.

— რათ ფიცხობ შე კაი კაცო, დინჯათ ვერ იტყვი.— და განოტრიალდა ტატე.

მასწავლებელმა და მოლარემ შეჰხედეს ერთმანეთს.

— რას დამდგარხართ ამხანაგებო, ვნახოთ ი ვილაც მდივანია, შევიდნენ დიდ და ნათელ ოთახში, ფანჯრის ახლოს მაგიდასთან იჯდა ქალი, რომელიც შეეკითხა მისულთ:

— რა გნებაეთ?

— მაზრიდან გახლავართ სოფლის საქმეზე ვართ გამოგზავნი-

ლი, გლახკომის მიმართვით, ერთი სიტყვით მათი ქაღალდები გვაქვს. აქ-კი ბინას არ გვაძლევენ.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მე მასწავლებელი გახლავართ, ეს მოლარე კოოპერატივის, ეს-კი გლახი.

— ალბათ მოგახსენეს, ამხანაგებო, რომ ჩვენთან იშვიათად ეძლევა ინტელიგენტს ბინა და ისიც იმ შემთხვევაში თუ დაგვრჩა თავისუფალი ზედმეტი ადგილი.

— ამხანაგო, მაშ ქუჩაში ხომ არ დარჩებიან?— წაუსწრო ტატემ.

— რათა ქუჩაში? ინტელიგენციისათვის, ასე ვსთქვათ კავშირის წევრისთვის არის სხვა ბინები.

— ეს რაღა გამოვიდა ამხანაგო...

ეს არის გაერთიანება? მაშინაც ხო ესე იყო. ცალცალკე ვიყავით.

როგორ, ნასწავლ კაცს არ ეკადრება ის ბინა საცა გლახი გაითევს ღამეს?

— არა ამხანაგო, თქვენ ვერ გაიგეთ. აქ ჩვენ კლასებათ-კი არ ვყოფთ საზოგადოებას, მხოლოდ ეს სახლი განსაკუთრებით გლახებისთვის არის მოწყობილი... მივიღოთ ინტელიგენტი და გლახი გარეთ დავტოვოთ არ ივარგებს.

— ჰო, გავიგე... გლახებისათვის არის რომ ისინი აბანაონ, გაორთქლონ როგორც ჭუჭყიანები და ნასწავლ კაცს ხომ ჭუჭყი არა აქვს...

მდივანი წამოდგა სკამიდან.

— დაჩუმდი ტატე, აბა რას ამბობ?

— რას ვამბობ და ქართულს.

აბა როგორ ქართულს ამბობ თითქოს დასტუქსა მოლარემ.

— როგორსა და ასეთს, აქ მარტოკინა არ მოვიცდი,— წამოვალ იქ საცა თქვენ წახვალთ, ბიჭებია და ნუ მიმიღებენ მაშინ მე კლუბის შესახებ-კი არ მივალ მთავრობასთან აი ამისთვის მივალ რომ ასეთი დაწყობილობა და ასეთი გარჩევა არ იყოს.

— მოითმინეთ, მოითმინეთ ჯერ ხომ სრული პასუხი არ გვქონდა გაცემული.

რამ ააღელვა ეს ამხანაგი?

ხმაურობაზე გამოვიდა გამგე.

მოილაპარაკეს და აღმოჩნდა, რომ ორი თავისუფალი ადგილი კიდევ არის...

— აი, ასე...—ჩაიდუღუნა ტატემ.

— თინა, მიეცით განკარგულება—უთხრა გამგემ ქალს და გავიდა.

მოსამსახურეთა თითქმის ნახევარი შტატი შეგროვილიყო ამ ამბავზე.

— ვაი დედა, თქვენ რა იცით მაგი რაია, თავი გამითეთრა წელან. სთქვა იმერელმა.

ტატემ ერთი გადახედა და არა უთხრა.

— გაუძეხ, ილიკო, ამხანაგებს კომენდატთან, შემდეგ აბანოში. უთხრა მდივანმა იმერელს,—თქვენ დარჩით ცოტა ხანს ამხანაგო შეაჩერა ტატე. წავიდნენ გაიხურა კარები. ქალმა ცოტა ხანს უყურა ტატეს, ბიჭს შერცხვა თითქოს და დაჰხარა თავი.

— ამხანაგო, თქვენ მაწყენინეთ, მაგრამ მაინც საინტერესო პიროვნება ხართ.

— როგორ საინტერესო?

— ნამდვილი რევოლუციონერი ხართ, ვერაფერი ვერ დაგაყენებთ, ვერ შეგაჩერებთ.

— როგორ დამაყენებს რამე, თუ-კი ჩემი გზა ესეა და ესე უნდა გავიარო, რას შეუძლია შემაჩეროს.

— წინააღმდეგობას.

— წინააღმდეგობას! მა ის ბრძოლა რაღათ არის?

— როგორა სთქვი ბრძოლაო? რა ბრძოლა?

— მა რა, ბრძოლაა ყველაფერი, ეხლა ჩვენ სოფელში თრი-ატრი წაგვართვეს და სხვაგან გადაიტანეს, ჩვენ არ დავთმეთ და წამოვედით, ბრძოლა არაა? ეს აი გზაზე ისე უჭერდა ყინვა და ქარი სულ ძვლებს ყინავდა, მაგრამ მე ტყვიასავით გამოვაპე გზა, ბრძოლა არ არის?

ეხლა ეს ჩემი ამხანაგები უნდა წასულიყვნენ სადღაც. მე აქ უნდა დავრჩენილიყავ, საქმე— ერთი გვაქვს, უნდა გვერბინა ერთმანეთში, ეგ ხელს შეგვიშლილა... რაღაც ვერ მოდიოდა თავს.

— და შენ შენი გაიტანე არა?..

შეუმჩნევლად გადავიდა თინა შენობიდ ლაპარაკზე...

— როგორც ხედავთ.

— არა ამხანაგო ეს— კი არ იფიქრო, რომ შენი შეგვეშინა. რა დგან იყო ადგილი მაინც მივიღებდით.

— ე შეილოსა, თუ-კი წავიდოდენ, იმ პირველ დატევაზე თქვენ იმათ არ გამოუდგებოდით დასაბრუნებლად.

გამგემ მიიხმო მდივანი, ქალმა აკრიფა ქაღალდები, წასასვლელად მოემზადდა.

— არა, შენ მაინც საინტერესო პირვლება ხარ, უნდა ახლოს გაგეცნო.

სალამოს კინო იქნება აქ.. მაშინ ვილაპარაკოთ...—გაულიმა და გავიდა.

II

ამხანაგებმა დასკვნეს, რომ ხვალიდან შეუდგებიან საქმის მოგვარებას, დღეს უკვე გვიან არის, ამდენ აყალ-მაყალს შემდეგ სამივე დაღლილია, ისაღილეს სასახლესთან არსებულ სასადილოში, ერთი ბოთლი კახური იკმარეს სამივემ.

მასწავლებელმა დაიძინა, მოლარე ნათესავებში წავიდა, ტატემ დაიხურა თავის ქეჩის ქუდი და გავიდა ქალაქში. რუსთველის გამზირზე გამოვიდა, მალაზიების წინ დადგა, თვალი აუჭრელა ფერადმა საქონელმა.

„შრომის“ წინ შეჩერდა, გაიტაცა ვიტრინებში გამოწყობილმა წიგნებმა.

— რამდენია, რა უთვალავია, როდის უნდა გადიკითხოს ეს კაცმა?..

სალამო მოახლოვდა... დაბინდდა, აენტო ოქროს სანათურები, გაჩაღდა ქალაქი... ტატემ გასწია ისევ ბინაზე... ჩაი დალია და მიწვა.

— ამხანაგებო, მოხსენება არის, მოხსენების შემდეგ კინოს გიჩვენებენ.—დაიარა მდივანმა ქალმა და უთხრა ყველა ოთახის მცხოვრებს...

ტატე დაფრთხა და წამოჯდა ლოგინზე, მდივანმა კიდევ გაულიმა.

— ხომ წამოხვალ შენ ბუნტოვჩიკო?!..

ვერ მოასწრო ტატემ პასუხი ქალი წავიდა.

ჩამოვიდნენ ძირს, შევიდა ტატე დიდ დარბაზში.. ბევრია სხვა და სხვა კუთხეებიდან მოსული ხალხი... დარბაზის კედლები შეჩითულა—სხვა და სხვა ნახატებით, სურათებით, პლაკატებით, განცხადებებით, განკარგულებით, წარწერებით, კედლის გაზეთით, ტატემ ყველა დაათვალიერა.

გაისმა ზარი. უნდა დასხდნენ, მომხსენებელი გამოვიდა... ტატემ მოსძებნა თავისუფალი ადგილი, უკან დაიჭირა სკამი, ეხამუშება წინ ჯდოდა.

მომხსენებელმა დაიწყო: მესაქონლეობას ეხება, მდაბიო გასაგების ერთ უხსნის, ტატე დანთქმით უყურებს მთელს არსებით. იქით აქვს ყური მიპყრობილი და ვერ გაიგო ვინ მიუჯდა გვერდით.

მომხსენებელმა წყალი დალია, ცხვირსახოცით სათვალე გასწმინდა, ისევ დაიდო ცხვირზე, ცოტათ შეისვენა.

ტატეს ვილაცამ დაადო მხარზე ხელი, ტატე შეკრთა მოიხედა, მდივანი ქალია, თითქოს დაკრთა სკამზე უკან დაიხია, უხერხულად გაიღიმა.

— მოგწონს მოხსენება?

უთხრა ქალმა ღიმილით და დაყვავებით, თითქოს ბავშს ელაპარაკებოდა,

— მომწონს, კარგად ლაპარაკობს... აი, სწავლა რა არის?... — გაიქნია თავი.

მოლაპარაკემ დაიწყო ისევ...

— კინო რომ დაიწყება, მაშინ მოვალ ეხლა საქმე მაქვს...

ტატე ისევ უგდებს ყურს მომხსენებელს, მხოლოდ ეხლა ხშირად უბრუნდება კისერი და გაექცევა თვალები იმ კარებისაკენ საიტაც ქალი მიეფარა, და ველარ გაიგო ტატემ, გამოეპარა ერთი წინადადება, მეორე, აზრი ერთი მეორეს მოსწყდა, აირია... გაჯავრდა ახალ გაზრდა, ნიდაყვებით ჩამოეყრდნო წინ მდგარ სკამს... ფარაჯიან მეზობელს ჩასძინებია, მეორეც სთვლემს, ვერც ის ფათახიანი იმერელი ფხიზლობს. ესენი ვილა არიან, რა გვარი ქუდები ხურავთ, ყალიონებს აბოლებენ, ბრგე ვაჟკაცები კი არიან... ეს ქალებიც ხევსურეთიდან ყოფილან, საექიმოთ არის ერთი მოსულიო, ეს მალალი ხევსურიც იმათ ახლავთ...

ყველაზე ყოჩალი ეს ჩაბალახიანია, როგორ დაუკვესია თვალები და ისე მისჩერებია... სხაპასხუპით ლაპარაკობდა წელან, ვერც-კი გაიგებს კაცი რიგიანად.

დასრულდა მოხსენება, ბალხი წამოიშალა, ერთი მეორესთან მივიდნენ ტატე გვერდზე მიდგა, კედელს მიაწვა, დაღლილი და უსიამოვნოა, რატომ ვერ გაიგო ეს მეორე ნაწილი, „ალბათ თავი თუ ეტკინა, წინ ღამის უძინარია, დაიღალა და ის არის თორემ, მოხსენებებს ხომ სოფელშიც ისმენდა. ცოცხალი შეკითხვების მიცემაც შეეძლო, კამათობდა, აქ-კი რა მოუვიდა...

— ტატე! რა განზე დადიხარ კაცო! მოდი ერთად დავსხდეთ, მიიწვია მასწავლებელმა.

— რა მიშავს.

— რა მოგივიდა კაცო! ავად ხომ არა ხარ? როგორღაც მე-
ჩვენები.

— ჰო, დავიღალე, წუხელის ხომ ფეხით ჩამოველი გორსა და..

— რად წამოხველი მერე ფეხით შე კაი კაცო.

— რა ვიცი.

აიწია ტატემ მხრები, კიდევ ილაპარაკეს, ისევ ფეხზე სდგას.
დაირეკა ზარი, ყველამ მოსძებნეს სკამები... ტატე არ ჯდება.

— დაჯე კაცო.— მიიპატიჟა მოლარემ, ტატემ თავი დაუქნია,
დაუკლეს სინათლეს, ტატემ მოსძებნა ქველი ადგილი და დაჯდა.
ისევ დაეყრდნო წინა სკამის ზურგს...

გაისმა მუსიკა, „ვიშ რა კარგია“.

— ასწიე თავი ამხანაგო დაიწყო სურათი.

დასჩურჩულა ვიღაცამ ყურთან, ტატე ისევ შეფრთხილდა, აი-
ლო თავი, მის გვერდით ისევ დაჯდა ახალგაზრდა ქალი, ტატე ისევ
დაიწია უკან თავაზიანად.

— კითხვა ხომ იცი ამხანაგო?

— დიახ, ვიცი.

— თავისუფლად კითხულობ, თუ ვერ ასწრობ ტილოზე წა-
კითხვას.

— დიახ, ვასწრობ...

ხედავს ტატე: ბახვა ფულავა რომ წყესავდა ცხვრებს, მატა-
რებლის ხმა რომ შეაჭრა სოფლის ყრუ ცხოვრებაში, გამოაღვიძა მი-
ძინებული სიცოცხლე, გაიტაცა ბახვა შორს, ახალ ცხოვრების გზა-
ზე, პირველი ნაბიჯი იყო ეს ქართულ ცხოვრებაში, დასავლეთ სა-
ქართველოს ზღვის ნაპირა ქალაქი პირველათ გამოდიოდა კაპიტალის
გზაზე... ბახვამ ვაჭრობა დაიწყო სიმინდით, თვითეული სიმინდის
მარცვალი ოქროებათ ელანდებოდა, გამდიდრდა, გასწორდა წელში,
ცხვრის ტყავწამოგდებული ფეხშველა ბიჭი, მდიდარ ვაჭრათ გადა-
იქცა, ნელ-ნელა გადადიოდა მის ხელში თავადიშვილების ქონება. და-
ვაჟკაცდა ბახვა და ლამაზ ესმას შეავლო თვალი.

— უჰ.— ამოისუნთქა ტატემ.

— მოგწონს?— ჰკითხა მეზობლათ მჯდომმა ქალმა.

ტატემ არა უპასუხა, გატაცებით მისდევს კინოს ლენტს.

იერემია წარბა გადაეღობა წინ ბახვას გზას.

ტატემ მუშტი მოკუმშა;

ბახვამ გაიმარჯვა, დაიწერა ჯვარი ესმაზე, ხარობენ ბედნიერები.

ნათელი ღიმილი ეფინება ტატეს სახესაც, მაგრამ ბოროტებამ
არ მოისვენა;

იერემიამ მოიტაცა ესმა, ქალი შეებრძოლა, მკლავზე უკბინა, იერემიამ მახვილი ჩასცა გულში ქალს.

ტატემ დაიფარა სახე ხელებით და გულიდან აღმოხდა გმინვა საშინელი.

თინამ ხელზე ხელი მოჰკიდა ამხანაგურათ.

— რა მგრძნობიარე ყოფილხარ ამხანაგო, ვაჟკაცს ამშვენებს ესეთი...

არ დაათავებინა ტატემ, ხელა გამოაცალა ქალს ხელი და დაიხედა ზედ, რაღაც დაეწო, გაუხურდა ხელის კანი. ისევ დაიწყო სურათი, და როდესაც ყველაფერი გათავდა, ესმა დაიმარხა, ბახვა გაუბედურდა.

ტატეს უკვე ცრემლი მოსდიოდა, ხოლო როცა ბახვამ ჯავრი ამოიყარა და იერემიას ხანჯალი ჩასცა, ტატემ აქაც ამოიქშინა.

— როგორია?— შეეკითხა კიდევ თინა.

— რა მოგახსენოთ, ლაჩრულად მიეპარა, პირდაპირ ვაჟკაცურად არ გადაუხადა და ეს ცოტათი ანელებს 'კაცის გულს, თითქოს ეხლა ის იერემია ეცოდებოდეს ადამიანს. არა ლაჩრულად მოჰკლა.

— გამოვიდნენ ლაპარაკით დარბაზიდან.

— შენ როგორ მოიქცეოდი ბახვას ადგილას.

— როგორ მოვიქცეოდი? რა ვიცი ამას მაშინდელი გული მეტყოდა.

— მაშ შენ ამბობ ლაჩრულად მოჰკლა?

— ეგრეა, მაგრამ სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. ის ბახვაი ხო ვაჟკაცი არასოდეს არ იყო... ის იყო ერთი ვაჭარი კაცი, ყოველგან ფულით და ქრთამით იკვლევდა გზას. აქაც ფული გაიღო.

თინა სახტად დარჩა. გაჰკვირდა ქალი. არ მოელოდა ქართლელი გლეხისაგან...

აი თურმე როგორი მოაზროვნენიც ურევია მათში.

ჯერ დილითვე დააინტერესა ქალი, გააკვირვა ტატეს ქცევამ. და გულში იფიქრა: რამდენი ნიჭი ილუპება უსახსრობით? რათ უნდა დარჩენილიყო უსწავლელად, ვინ იცის რა კაცი გამოვიდოდა მისგან. არა, იქნებ პირიქით, იმ სწავლას დაეფარა, დაეჩლუნგებინა, ეს საღი, მგრძნობიარე პიროვნება, სინდისი და სიმართლე გაექლიქა ქალაქს, კიდევ არ არის გვიან მათთვის? ესენი ისევ ბავშვები არიან თავის გაურყვნელობით და თუ ეხლა ისწავლიან რასმე, უფრომტკიცე იქნება, უფრო საფუძვლიანი“...

ბევრი ახალი რამე გაიგო თინამაც სოფლის გულიდან და პირიდან, ტატე სოფლის პირშიშო შეიღია და ყველაფერი იცის მან თავის მშობლის.

ექვსი დღე მოუხდათ ქალაქში გაჩერება, ის პირი ვინც უნდა ენახათ არ იყო ტფილისში და ელოდნენ.

სალამობით ყოველთვის თავისუფალი შეიქნა ტატე, მანაც ბევრი რამე შეიგნო და შეისწავლა ზეპირათ, ზერელეთ. სტუდენტ ქალიდან, სქელ ტანიანი ლექსების წიგნიც მიიღო საჩუქრად.

როდესაც დასამშვიდობებლათ მივიდა ქალს სხვათ ეჩვენა, მაღალ ყელიან წაღებში, მოკლე შუბასა და „ჟოკეს“ ქუდში გამოწყობილი ტატე.

— გამოცვლილხარ, ამხანაგო. ველარ გიცანი, აი, ასე კარგია, ეხლა სულ სხვა ხარ.

ტატეს შერცხვა, დაჰხარა თავი.

— ყოჩაღ, ასე უნდა, ორმა დღემ დაგაჩნია თავისი კვალი, მაშ აღარ ჩაიცვამ მეტად ქალამნებს?

— ვეცდები არ ჩავიცვა...

— ტატე კაცო, გვაგვიანდება—დაუძახა მოლარემ და ნიუბრუნდა მასწავლებელს.—ძლიერ კი დაუმეგობრდა იმ ქალს ეს ჩვენი ტატე. მასწავლებელს გაეცინა.

— რას გაუგებ ახალგაზრდობას. გრძნობამ ტოლი არ იცის.

— მშვიდობით ამხანაგო თინა! მშვიდობით, მივდივარ. მაღლობელი ვარ, ბევრი რამ შემაგნებინეთ ამ მცირე ხანში.

— ნახვამდის, ამხანაგო, ნახვამდის, ალბათ კიდევ ჩამოხვალ ქალაქში და კიდევ გვნახავ...

ჩამოართვა ხელი.

*
*
*

დედამ ველარ იცნო სახლში შესული შვილი.

— მობრძანდით... ტატე გნებავთ უთუოდ, შინ არ მყავ ქალაქში გეახლათ.

მიუთვალა თავ აუღებლივ, რაკი ერთი შეჰკრა თვალი უცხო კაცს, მერე თავი აღარ აუღია.

— რას ამბობ დედა! ტატე ვერ იცანი?

მიაძახა მაკამ კისკისით და ზედ მივარდა ძმას.

— უყუროს კაცმა როგორ გამოპრანჭულა.

— ტატე?! ბიჭო, შვილო! ველარ გიცან, პატიოსან ნასწავლ კაცს დამგზავსებიხარ, აი რომ ნეტა შენის სიმთელით... ხომ მშვიდობით მოიარე. რათ დაგიგვიანდათ, გული სულ მიქოთქოთებდა... ხომ მშვიდობით. ერთი შვილო კარგათ დაგინახო.

— აი შე ეშმაკო. ქალაქმა გაგაკუდიანა? შეავლო ხელი დამ.

— ბევრს დახარჯავდი შვილო.

— არც იმდენი დედი! რა უნდა მექნა, კაცი ვარ შემრცხვა, თავის დღეში სულ იმ ფარაჯაში უნდა ვიყვე შეხვეული? ო, ქალაქი, ქალაქი რა ყოფილა!

— შეგერგოს შვილო შენი ნაშრომი... გოგოსთვის არაფერი შეგხვდა?

— არა.—გვერდზე გაჰხედა დას.

მაკამ შალის ფოჩი დაგრიხა, ნაწყენი თვალები დახარა ძირს. ტატემ ენის წვერი გამოუყო და დაიწყო აბგის გახსნა.

— აი მაკას რა მოუტანე; მიხაკის ფერი მაღალ ყელიანი ფეხსაცმელი. პირისფერი აბრეშუმის კაბა, თეთრის არშიებით,—ბევრი არ გეგონოს დედი ექვსი მანეთი მივეცი ორთავეში.

მაკა აენტო, ათასმა ფერმა გადაურბინა სახეზე, ათვალერებს, თავს არ უჯერის, რომ ეს ყველა მისია.

— და აი კიდევ...

ნელა ამოაძვრინა აბგიდან რალაც ქალაღში შეხვეული, გახსნა; ყავის ფერი ტყავის ხელის ჩანთა, ჩინელების ხელობის და თმაში დასაბნევი თეთრი რქის სავარცხელი.

მაკამ დაჰხედა საჩუქრებს და სუროსავით შემოენასკვა ძმას ყელზე.

— ჰო, კარგი, არ დამალრჩო, გამიშვი, ეხლა დედას ვაჩვენოთ თავისი.

დედას მოეწონა მირინოზის შალი და რუხი ფერის საკაბე.

— სწორედ საჩემოა, ან-კი როგორ აარჩიე ასე კარგა, მაგრამ შვილო გაგიჩანაგებია ოჯახი, მთელი წლის შემოსავალი დაჰლუპე ამ ჩვრებში?

— არა უშავს დედილო, ორ სამ გზას მოვივლი გორს ან ცხინვალს და ის გაასწორებს დანახარჯს, თქვენ როგორ-ღა ხართ, ხომ არაფერი დაშავდა ჩემს არ ყოფნაში... საქონელი უკლებლათ გვყავს.

— კარგად შვილო!

დიდ ხანს ჰქონდათ ლაპარაკი. დამ და დედამ დაწვრილებით გამოჰკითხეს ქალაქის ამბავი.

სალამოზე სოფლის გოგო-ბიჭებმა მოიყარეს თავი, ყველა ათვალერებს ტატეს შუბას, წაღებს, მოუწონეს, ცოტა არაყიც გადაჰკრეს „მაყარიჩათ“.

მაკას ახალი კაბა ხელიდან-ხელში გადადის, ხან ერთი გოგო აიფარებს გულზე, დაიზომებს ხან მეორე, ულოცავენ, ბევრს გულიც სწყდება.

მეორე დღისთვის თემკომმა დანიშნა კრება, რომელზედაც მოხსნება უნდა გაეკეთებიათ ტფილისიდან დაბრუნებულთ. მოხსენების გაკეთება მიენდო ტატეს.

— : —

წ ე რ ი ლ ე ბ ი

პ რ ო ფ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე

ხ ე ლ ო ვ ა ნ ი დ ა კ ლ ა ს ი

(„სოციალურ შეკვეთის“ გამო დისკუსიასთან დაკავშირებით)

რუსულ მწერლობაში ანუ, უფრო სწორად, სალიტერატურო კრიტიკის დარგში, ჯერ კიდევ 1927 წელში წამოიჭრა საკითხი „სოციალურ შეკვეთის“ თეორიის შესახებ. დღეს-დღეობით ეს საკითხი, რომელიც თანდათანობით დიდ საკითხად იქცა ლიტერატურული კრიტიკის და ხელოვნება-შემოქმედების თეორიაში, უკვე დიდი ყურადღების ცენტრი გახდა და მის ირგვლივ გაცხოველებული დისკუსია გაიმართა. როგორც ითქვა, ჯერ კიდევ 1927 წელში ჟურნალ „Новый мир“-ში დაიბეჭდა ვი აჩ. პოლონსკის წერილი „ხელოვანი და საზოგადოებრივი კლასები“, სადაც ავტორი მიზნად ისახავდა „სოციალურ შეკვეთი“-ს თეორიის წინააღმდეგ გალაშქრებას და მისი ანტიმარქსისტულ, მისტიკურ და მეტაფიზიკურ ხასიათის დამტკიცებას. 1929 წელი გაიხსნა ამ საკითხის ირგვლივ ინტერესის გაღვიძებით. გამოეხმაურა საკითხს კომაკადემიაც, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენება ი. ნუსინოვის მიერ ამავე თემაზე და კამათში მონაწილეობას იღებდა ცნობილი მცოდნე ლიტერატურულ საკითხებისა — პერევერზევი. ცნობები ამ დისკუსიის შესახებ საკმაო მასალით თავმოყრილია ჟურნალში „Печать и революция“ 1928 წ. წიგნი I. ასეთია საკითხის, ასე ვსთქვათ, გარეგნული ისტორია.

არსებითად — „სოციალურ შეკვეთის“ თეორიის (თუ ლოზუნგის) ირგვლივ საკმაო სიცხადით ჩამოიქნა ორი მთავარი, ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმდინარეობა, თითოეულ მათგანს, ცხადია, თავისი საბუთი გააჩნია, რომლითაც ერთს შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს „სოციალურ შეკვეთის თეორიის“ ვარგისობა, მისაღებობა და აუცილებლობა მარქსისტულ ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით; მეორე შემთხვევაში კი საწინააღმდეგოთ. მდგომარეობის გარკვევა მოითხოვს თითოეულ მიმდინარეობის ანუ თვალსაზრისის დამახასიათებელ ნიშნების შერჩევას და ამას გარდა, თუ ეს შესაძლებელი აღმოჩნდა, ორივესათვის საერთო თვისებათა აღნიშვნა — დახასიათებას.

„სოციალურ შეკვეთის“ ცნება თავის თავად ცხადია, ბევრს არაფერს შეიცავს, მასში გამოთქმულია მხოლოდ ის აზრი, რომ ხელოვანი თავის შემოქმედებას უმორჩილებს, ანუ თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობს გარკვეულ სოციალურ იდეებით, რომლებიც მისი ნამოქმედარის თემატიკაში, კომპოზიციაში, ჟანრში ბატონობს და უკუიფინება. ამდენად ეს ცნება პირდაპირ უკავშირდება ხელოვნების გაგებას, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობისა. ხელოვნება, როგორც იდეოლოგია, კოლექტიურობის ერთი ფენომენთაგანია და უკუფენს იმ სოციალ ვითარებას, რომელშიაც იმყოფება კლასებად დაყოფილი საზოგადოება. ამდენად ამა თუ იმ კლასს თავისი, უკუმფენელი, მისი განმცდელი, ამსახველი, მამხილებელი ე. ი. ხელოვანი და ხელოვნება გააჩნია, რომელიც ამრიგად ასრულებს თავის სოციალურ როლს, თავის კლასს უკუფენს ანუ მის შეკვეთას ასრულებს.

ასეთი არის სრულიად ნათელი და მარტივი აზრთა კონტექსტი, რომელიც ბუნებრივად უკავშირდება ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების ცნებას, როგორც კი უკანასკნელი გაგებულია სოციალისტორიულად ე. ი. აღიარებულია იდეოლოგიურად. ეს სიმარტივე შეიძლება გართულდეს მხოლოდ მაშინ თუ გამოსარკვევი იქნება მდგომარეობა, როდესაც სოციალურად რთულდება დამოკიდებულება: როდესაც მწერალი ანუ ხელოვანი სოციალურად ერთ კატეგორიას ეკუთვნის, ხოლო „შეკვეთა“ მეორე კლასიდან მოდის. ცხადია, რომ ასეთ პირობებში „სოციალურ შეკვეთას“ როგორც სოციოლოგიური ძირი ისე მხატვრული იერი ეცლება და უფრო რთულ ფენომენად ისახება. თუ სოციოლოგიურად გაგებული ხელოვნება უკუფენს სოციალურს ნაირობას და მისთვის „სოციალური შეკვეთა“ ადექვატი ცნებაა ე. ი. სავსებით გამოხატავს მწერალსა და „მის“ კლასს შორის დამოკიდებულებას, ცხადია, რომ იგივე ცნება სხვა, სოციალურ (და მასთან სახელოვნო) დამოკიდებულებისათვის იმავე სახით ვერ გამოდგება. აი აქ დაიბადა პრობლემა, თუმცა მან ცოტა სხვა რედაქცია მიიღო თუნდაც იმავე ვ. პოლონსკის პირველ წერილში.

რუსეთში წარმოებულ პოლემიკისაგან განსხვავებით ჩვენს რედაქციას თავდაპირველი პრობლემისა ის უპირატესობა აქვს, რომ ფაქტიურად „სოციალურ შეკვეთი“-ს ცნება სწორედ იმ რთულ ვითარებაში შემუშავდა („ლეფი“-ს ბანაკში) სადაც სოციალურად ერთი კატეგორიის მწერლობა მეორე კატეგორიის სამწერლო ამოცანების ანუ შეკვეთის შესრულებას ლამობდა.

საკითხის ორივე ფორმას თუ ავიღებთ, ნათელია, რომ „სოციალურ შეკვეთი“-ს პრობლემა ორ მომენტს შეიცავს: ერთს, როდესაც ლაპარაკია „თავისი“ კლასის შეკვეთაზე და მეორეს—როცა „სხვისი“ კლასის შეკვეთაზეა ლაპარაკი. კამათის სიმწვავე დაუკავშირდა პირველ შემთხვევას, რადგან დისკუსიის ინიციატორმა ბოლოს და ბოლოს მეორე შემთხვევაც პირველს დაუახლოვა. ის გამოვიდა, თითქოს მაშინაც, როდესაც ლაპარაკია პროლეტარულ მწერალზე, მაშინაც კი „შეკვეთა“ აშორებს ხელოვანს თავის კლასს, უპირდაპირებს მას თავის კლასს და მათ შორის ქმნის წყვეტს, რომლის ამოსავსებათ მისტიურ და იდეალისტურ შემოქმედების გზა დარჩება. ასე დააყენა საკითხი მარქსისტულ კრიტიკის ერთმა ფრთამ, რომელიც „სოციალურ შეკვეთა“-ს მიუღებლად სთვლის.

ასეთმა გაიგივებამ (საბოლოოდ) ორივე ფორმისა შეუძლებელი გახადა და ყოველ შემთხვევაში გააძნელა უცხო კლასიდან გამოსულ და მეორე კლასის მხატვრულ იდეებისა და სახეობის შემთვისებელ მწერლის შემოქმედების ახსნა-გაგება. თუ „შეკვეთის“ მომენტი უპირისპირებს ხელოვანს მის კლასს და ამდენათ ის თითქო უცხო ხდება, ამ გაგებით, თავისი კლასისათვის, მაშინ სხვა კლასის მხატვრულ იდეოლოგიის შეთვისების სოციალური ახსნის გზა იმ თავითვე მოკვეთილია და პოლონსკის და მის თანამოაზრეებს სხვა გზა არა აქვთ, გარეშე ხელოვნების და შემოქმედების ზოგიერთ შემთხვევებში ზეკლასიური ბუნების აღიარებისა. კიდევ მეტი—ისინი იძულებული გახდნენ ამ ზეკლასიურობისათვის საბაბი და გამართლება ისეთ ირრაციონულ მოვლენაში დაესახათ, როგორცაა გენიალობა. პოლონსკის საფუძვლიანად უსაყვედურებენ, რომ იგი ვერ ამჩნევს ამ არგუმენტაციის აბსურდულ შედეგს: თითქოს გენიოსია ხმოლოდ-ის, ვინც „ზედროულ“ და „ზეკლასიურ“ მხატვრულ ღირებულებებს ქმნის, ხმოლოდ ის, ვინც თავისი კლასის ამსახველი ხელოვანია, აუცილებლად საშუალო ღირსების ხელოვანია უკეთეს შემთხვევაში.

„სოციალურ შეკვეთის“ მომხრეებმა მარქსისტულ კრიტიკაში მიიღეს და შეითვისეს ეს ცნება მისი პირდაპირი მნიშვნელობით ე. ი. იმის ხაზგასმით, რომ ხელოვნება იგივე იდეოლოგიაა, როგორც ასეთი იგი ყოველთვის კლასიურია და, მაშასადამე, ხელოვანი ასრულებს ნებას თავისი კლასისა ანუ მის შეკვეთას. ზოგიერთები კიდევ უფრო რადიკალურ ხაზს ატარებენ და შემოქმედებას პრინციპიალურად იმავე ხაზზე ათავსებენ, როგორც ყოველივე სხვა წარმოებას. ასეთია მაგ. ო. ბრიკის შეხედულება წერილში „Не теория, а лозунг“ იმავე ჟურნალში „Печат и револ.“ წიგნი I, 1929 წ. მასში „შეკვეთა“

კიდევ უფრო გამართულ და მარტივ მიმართებას ისახავს მიზნად ხელოვანისა და კლასის ურთიერთობაში.

ასეთი რადიკალიზმი მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისაა, იგი უფრო ახლო დგას სოციალური შეკვეთის იმ გაგებასთან, რომელიც „ლეფ“-ს ახასიათებდა, ვიდრე წმინდა მარქსისტულთან, სადაც „სოციალური შეკვეთა“ „სპეცური“ იდეოლოგიით არაა შენაცვლებული. როცა „ლეფი“ სოციალურ შეკვეთაზე ლაპარაკობდა, მას არ შეეძლო მხედველობაში ჰქონებოდა სხვა რაიმე მიმართება პროლეტარიატისადმი. გარეშე „სხვის“ კლასიდან „შეკვეთის“ გაღებისა. არ შეიძლება ითქვას, როგორც ეს პოლონსკის და მის მომხრეებს ჰგონიათ, რომ „ლეფის“ თვალსაზრისი აუცილებლად ხელოვნების ოსტატის და მოხელეს თვალსაზრისი იყოს. მემარცხენე მწერლობამ, უნდა ვიფიქროთ, ამ ტერმინით „შეკვეთისა“ ის კი არ გამოხატა, რომ თავისი თავი ოსტატად გამოეცხადებინა, რომელიც იღებს შეკვეთას ძალის მპყრობელ კლასიდან. ასეთი გაგება ხელოვნების უმართებულო პროფანაცია იქნებოდა და საეჭვოა კიდევ რომ ვისმე ასეთი სახელოსნოს გაღების ხალისი გაჩენოდეს, გაბატონებული კლასი გახდებოდა თუ არა მისი კლიენტი და მუშტარი. ეს უხეირო გაგება ყოველად მიუღებელია, მაგრამ ამით საკითხი არ მარტივდება. „ლეფისათვის“ „შეკვეთა“ დროისა და ვითარების მოთხოვნას ნიშნავს, რაც ისტორიული საფეხურის გარდუვალობის და მისი პერსპექტივების შეგნებას უნდა ემყარებოდეს. მაგრამ ერთია ამის შეგნება სოციალურად უცხო ელემენტისათვის და მეორე--სოციალურად შესისხლხორცებულ ხელოვანისათვის. ამის არ განსხვავება შეცდომაა და ამდენად „სოციალურ შეკვეთის“ მომხრეებს მისგან თავის დაცვა უნდა მოეთხოვოს.

ლიტერატურისა და პოლიტიკის საკითხები ერთი მეორესთან გაცილებით უფრო დგანან, ვიდრე ეს ერთის შეხედვით სჩანს, რადგან ორივე კლასისა და იდეოლოგიის საკითხს არკვევს. ამიტომაცაა „ლიტერატურულ პოლიტიკაზე“ ლაპარაკი დღის წესრიგში რომ აგრე ბუნებრივად შემოიჭრა. აქ კი უდავოა, რომ ადვილად შეიძლება სხვა კლასიდან გამოსულმა, ინტელიგენტმა შეითვისოს, როგორც საერთოდ პროლეტარიატის იდეოლოგია და ამოცანები, ისე მისი მხატვრული მისწრაფებანი და განცდები. მაგრამ, როგორც ერთს შემთხვევაში ე. ი. პოლიტიკაში, ისე მეორე შემთხვევაშიაც ე. ი. ხელოვნებაში ინტელიგენციის გზა ამ მდგომარეობამდე მისვლისა არსებითად განსხვავდება, პროლეტარიატის მიერ საკუთარ კლასობრივ იდეებისა და ამ ამოცანების შეგნების გზისაგან. ეს კარგად უნდა ახსოვდეს, როგორც „ლეფს“, ისე იმათაც, ვინც მათგან

შემოღებულს ამა თუ იმ ცნებას—ამ შემთხვევაში „სოციალური შეკვეთის“ ცნებას ითვისებს და გამოიყენებს. ამიტომაც „სოციალურ შეკვეთი“-ს თეორიაზე მსჯელობის დროს უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს შეკვეთა კლასობრივად გარკვეულ სიტუაციაში უნდა იქნეს მოფიქრებული და მიღებული და რომ „სხვისი“ კლასის და „საკუთარი“ კლასის მომენტების განსხვავება სწყვეტს საკითხს იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ნამდვილი მნიშვნელობით აღებული ცნება „სოციალური შეკვეთისა“.

ამ რიგად, უნდა აღიარებულ იქნას, რომ ორივე მიმართულებას ახასიათებს ესა თუ ის ნაკლი რომელიც კერძოდ მხოლოდ მის კუთვნილებას შეადგენს. ამით, ცხადია, საქმე არ ამოიწურება.

ამის გარდა ორივე შეხედულებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს და ამ თავის დაღს ამჩნევს საერთოდ მთელი საკითხის დასმა-გადაჭრას. ვსცადოთ ამ საერთო ნაკლის და მისი ძირის გარკვევა.

პ. კოგანი და პერევერზევი თითოეული თავისებურად და განსხვავებული მიდგომით ამხელენ იმ გარემოებას, რომ „სოციალურ შეკვეთი“-ს ცენტრი და მისი გაგება შემოქმედების ბუნების გაგებაშია მოთავსებული. განსხვავება მათ შორის იმაშია, რომ პ. კოგანი მომხრეა „სოციალურ შეკვეთის“ თეორიის და პერევერზევი არ იღებს მას ისეთი სახით, როგორც ეს მოცემულია ამ თეორიის პირვანდელ ფორმაში. პერევერზევს ეშინია იმ დაშორების, რომელიც თითქოს მართლა სჩანს „შეკვეთაში“ და სურს მას რა ალაღინოს, ანუ უფრო სწორედ, განამკვიდროს კავშირი ხელოვანსა და მის კლასს შორის, „სოციალურ ბრძანებას“ ამჯობინებს („ИРИКАЗ“ ნაცვლად „ЗАКАЗ“-ისა), თავის მხრივ პ. კოგანი ამ დაშორებაზე ლაპარაკს ანაცვალებს იმ მორიგებაზე მითითებას, რომელიც უნდა მოხდეს შემოქმედების პროცესში, რათა პროექტმა და ხელოვანმა არ იგრძნოს ის აუცილებლობა, რომელიც მას გარედან (შემოქმედების თვალსაზრისით) მოსულმა შეკვეთამ უნდა წინ დაუყენოს. ამ რიგად ნათელია, რომ ორივე თვალსაზრისით შემოქმედებაზე და მის ანალიზზე ლაპარაკობს, მას გულისხმობს, ხოლო ისე უნდა საქმე წარმოადგინოს, რომ შემოქმედება თავის სოციალურ მასას არ გასცილდეს.

აქედან ნათელია, რომ ეს ორი ფრთა მარქსისტულ კრიტიკისა ნათლად გრძნობს, რომ საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად საჭიროა სწორედ შემოქმედების გარკვევა. იმის და მიხედვით, თუ რომელი თვალსაზრისი უფრო არკვევს შემოქმედების პროცესს, სწყდება საკითხიც ხელოვანსა და კლასის მიმართებისათვის. და აი სწორედ

აქ ე. ი. შემოქმედების ბუნების გარკვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფრთა მის საჭიროებას გრძნობს და აღნიშნავს, ორივე თვალსაზრისით ვერ მიდის ბოლომდე, შემოქმედების სრულს და ნამდვილ ანალიზს ვერ აწარმოებს და სრულიად ბუნებრივად, ყველა იმ შეცდომებს ითვისებს, რომელიც აქედან ლოდიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს.

შემოქმედება დიალექტიკური ფენომენია - არა მარტო იმისათვის, რომ იგი მოძრავი და დენად პროცესია არამედ იმიტომაც, რომ იგი თვით შეიცავს განსახიერებულ წინააღმდეგობას: ეს წინააღმდეგობა ამოძრავებს და აცხოველებს შემოქმედებას. ერთის მხრივ ხელოვანი თავისუფალია თავის შემოქმედებაში ეს შემოქმედების თავისუფლება ნებელობითი ფენომენი ე. ი. ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური ცნება არაა. აგრე რომ იყოს იგი არამეცნიერული და მისტიური ამბავი იქნებოდა, რომელიც არა თუ სხვა რამის გასარკვევად გამოდგებოდა, არამედ თვით იქცეოდა ამ უცნობ საიდუმლოებად. ხელოვანის თავისუფლება ნიშნავს მის რაობას, მის ნაირობას, მის თავისებურებას. ძველად, ჯერ კიდევ ჰერბარტის წინა დროში, როცა „ნიჭის“ ფსიქოლოგია არსებობდა, ამ თავისებურობას მისტიური ცნებით - პოეტური „ნიჭით“ გამოხატავდნენ. დღეს „ნიჭის ფსიქოლოგია“ უარყოფილია, მაგრამ ამით არაა მოხსნილი და გაუქმებული ის უბრალო, ფაქტიური, სრულიად ხელსახები ამბავი, რომ არ არსებობს ორი ხელოვანი, რომელიც ერთი მეორეს სავსებით ეთანაბრებოდეს. მიდგომის, კომპოზიციის, ჟანრის, გემოვნების (სახვითი გაგებით) სხვაობა - ლიტერატურული და საზოგადოდ ხელოვნებისა და შემოქმედების ფაქტია. ხელოვნება კონკრეტული მოვლენაა და როგორც ასეთი თვით ფაქტით თავის არსებობისა სხვადასხვა რაობის დემონსტრაციაა. ამას და მეტს არაფერს შეიცავს ცნება შემოქმედების თავისუფლებისა.

თუ ხელოვანი იმას არ აკეთებს, რის გაკეთებაც მას შეუძლია იგი ოსტატი კი არა ფინაჩია, ხელოსანია და არა ხელოვანი. ამიტომაც ხელოვანისათვის „შეკვეთის“ ცნება განსაზღვრულია მისი რაობით. ნაწვალები იქნება სატირიკოსის ელეგია, პროზის ოსტატის სონეტს ოფლის სუნი ასდინდება.

მეორეს მხრივ პოეტის რაობა და ხელოვანის გასაქანი სოციალურობაში იშლება. სოციალურობა ხელოვნებისათვის ამოსავალი წერტილიცაა, რამდენადაც ის სოციალურობის პლასტიურ მიღწევას - ენას გამოიყენებს და მისივე სახეებითა და იდეებით სარგებლობს. მეორეს მხრივ - სოციალურობა ხელოვანისათვის მიზანია - რადგან

ხელოვნება, როგორც გამოსახვა სოციალურობისათვის არის განკუთვნილი. დღეს ხელოვნების თეორიისათვის ეს გარემოება უკვე სადაო აღარაა. შემოქმედების ანალიზი ნათელჰყოფს, რომ პოეტს ისევე ესაჭიროება გამოსახვა, როგორც მოაზროვნეს სიტყვა, როგორც აზრის გამოსავლენი საშუალება, მაგრამ ორივე შემთხვევაში სწორედ ეს გამოვლენა და გამოსახვა სოციალურობისათვის, კოლექტივისათვის არის განკუთვნილი. ამდენად ცხადია, ხელოვნება და შემოქმედება განსაზღვრულია გარკვეული ფარგლებით და ჩარჩოებით, როგორც ამოსავალ წერტილში (სოციალური მასალა), ისე დასასრულში (სოციალური მიზანი). ამას ერთვის ის გარემოება, რომ საზოგადოებაც კონკრეტული და არა განყენებითი ფენომენია, ხელოვანი გარკვეულ დაჯგუფებას — კლასს ეკუთვნის თავისი „სოციალური ცდია“ და იქ ისახება ის ფარგლები, რომლებიც ზევით დავინახეთ, ამდენად შემოქმედება მეორე ელემენტის — აუცილებლობის შემცველია, რაც პირველთან — თავისუფლებასთან შეფარდებით ამთავრებს წინააღმდეგობის იმ დიალექტიურ სახეს, რომელსაც შემოქმედება წარმოადგენს.

დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით დისკუსია „სოციალურ შეკვეთის“ შესახებ მხოლოდ მაშინ გადაწყდება სწორად, თუ ამ „წინააღმდეგობაში“ აღმოჩენილი იქნება „მთლიანობა“. ეს კი მოხერხდება მაშინ, როდესაც თავისუფლება შემოქმედებისა გაიჭედება აუცილებლობით და აუცილებლობა გაიშლება თავისუფლებად, ამ შემთხვევაში „შეკვეთა“ აღარ იქნება გარედან მოსული ამბავი, იგი აღარ დაარღვევს ხელოვანის თავისუფლებას, იგი განცდილი იქნება, როგორც შიგნიდან მომქმედი ძალა, რომლისთვის თეორიას აქვს უფრო მოხდენილი ცნება იმპერატივისა. სოციალურ იმპერატივს არ ახასიათებს გაორების მომენტი, რომელიც „შეკვეთა“-ს ახლავს, როდესაც იგი „თავისი“ და „სხვისი“ კლასის შეკვეთას ერთნაირად ნიშნავს და არც პერვეერზევისებური „ბრძანება“ (приказ) რომელიც მექანიკური დისციპლინის შეტანა იქნებოდა მექანიკური რევიზიონიზმიდან მარქსისტულ სამხატვრო კრიტიკაში.

— : —

ახალი სალიტერატურო ქართული

(პროექტი სადავო ფორმების მოსაწესრიგებლად)

წინასიტყვაობა.

ამ პროექტის ერთგვარს ისტორიულ შესავალს ჩვენივე გამოკვლევა: „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“ წარმოადგენს, რომელიც „მნათობში“ დაიბეჭდა; ¹⁾ ხოლო მთავარი პრინციპები, რომელთაც ეს პროექტი ემყარება, თავის დროს გამოქვეყნებული გვქონდა ნაშრომში: „ქართული მართლწერა“. ²⁾ რაც შეეხება სადავო ფორმების მასალებს, რომელიც ამ პროექტის მეოთხე თავში იქნება წარმოდგენილი, ამ მასალების ერთი ნაწილი ამოღებულია „ქართული მართლწერიდან“, ხოლო მეორე ნაწილი ჩვენი უახლოესი თანამშრომლობით შეგროვილის მასალებიდან კონფერენციისათვის, სათაურით: „სალიტერატურო ქართულისათვის“. ³⁾

წინამდებარე პროექტი ზემოხსენებულ ნაშრომთა ერთგვარს დასკვნასა და კომპლექსურ წარმოადგენს. ამიტომ ზოგი რამ, რაც ამ პროექტში მკითხველს შეიძლება გაუგებრად ეჩვენოს, მისთვის სავსებით გასაგები გახდება, თუ ზემოხსენებულ ნაშრომთ მიმართავს, განსაკუთრებით გამოკვლევას: „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“.

ვინც ამ უკანასკნელ ნაშრომს გაიცნობს, ის უეჭველია დაგვეთანხმება, რომ სალიტერატურო ენის სადავო ფორმების მოწესრიგების საქმეში თავიდათავია არა კონკრეტული მაგალითების სიმრავლე, არამედ ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც სადავო ფორმების მოწესრიგება უნდა ემყარებოდეს. ამიტომ ჩვენც პრინციპებიდან დავიწყებთ.

1) „მნათობი“ 1925 წ. №№ 1 და 3; 1926 წ. №№ 5—6.

2) მთავრიშვილის გამოცემა. ქუთაისი. 1916 წ.

3) პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ. სახელგამის გამოცემა. 1921 წ. ტფილისი.

პ რ ი ნ ც ი პ ი ბ ი .

1. გრაფიკულ-ფონეტიკური პრინციპი.

ჩვენში გავრცელებულია შეხედულება, ვითომც ქართული მართლ-წერა წმინდა ფონეტიკური იყოს, ე. ი. ვითომც ჩვენ, ქართველები, სწორედ ისე ვწერდეთ, როგორც ვლაპარაკობთ, და ამიტომ მთავარი საორთოგრაფიო პრინციპი უნდა იყოს: „სწორე ისე, როგორც ვლაპარაკობო“.

მაგრამ, ასე ლიტონად და შეუზღუდველად აღებული, ფონეტიკური პრინციპი უვარგისია პრაქტიკულად და სწორე არაა არსებითად.

რომ ეს პრინციპი არსებითად სწორე არ არის, ამას გვიმტკიცებს აუარებელი შემთხვევა ქართული წერის პრაქტიკიდან, როცა ესა თუ ის სიტყვა ბუნებრივს, ძალდაუტანებელ გამოთქმაში სხვა ბგერითი შემადგენლობისაა და დაწერილი კი სხვა სახეს ღებულობს. აი პირველშეხვედრილი მაგალითები:

ჩვენ ვამბობთ: „გვერძე“, ხოლო ვწერთ: „გვერდზე“;

ან კიდევ ვამბობთ: „ზღვას“, ვწერთ-კი: „სღვას“;

ვამბობთ: „ჩიტეფს“, ვწერთ-კი: „ჩიტებს“;

ვამბობთ: „ქწერ“, ხოლო ვწერთ: „გწერ“;

ვამბობთ: „ჭკერავ“, ვწერთ-კი: „ვკერავ“ და სხვა.

ასე ვწერთ ამ სიტყვებს და, რასაკვირველია, ასეც უნდა ვწეროთ, მაგრამ გამოთქმით კი, თუ გვინდა ბუნებრივი ქართული გამოთქმა დავიცვათ, ჩვენ მუდამ იძულებული ვიქნებით ეს სიტყვები ისე გამოვთქვათ, როგორც ზემოთ ნაჩვენები გვაქვს, და არა ისე, როგორც წერაშია მიღებული. ამგვარად, ცხადია, არსებითად შეუწყნარებელია ის აზრი, ვითომც ქართული მართლ-წერა წმინდა ფონეტიკური იყოს, ე. ი. სავსებით გამოთქმას შეეფარდებოდეს.

მაგრამ წმინდა ფონეტიკური პრინციპი ყოვლად უვარგისია პრაქტიკულადაც სალიტერატურო ენის სადავო ფორმების მოწესრიგების საქმეში, რადგან თანამედროვე სალიტერატურო ქართული მარტივი და განუვითარებელი დიალექტი როდია, რომელსაც არც წარსულისაგან მიეღოს მდიდარი მემკვიდრეობა და არც აწმყოში მოეპოვებოდეს ფორმათა მრავალგვარობის შემომტანი ნაკადულები. დღევანდელი სალიტერატურო ქართული ორის მთავარი ცოცხალი დიალექტის (ქართლ-კახურისა და იმერულ-გურულის) და ძველის (და

საშუალო) სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ ნაყოფს წარმოადგენს. ამასთანავე როგორც ძველად ისე დღესაც სალიტერატურო ქართული უხვად საზრდოობდა და საზრდოობს მონათესავე და უცხო ენათა ლექსიკით და, მაშასადამე აუცილებლად განიცდიდა და განიცდის ამ უკანასკნელთა გავლენას. ერთი სიტყვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის შემადგენლობა ფრიად რთული და მრავალ სახოვანია, თანამედროვე სალიტერატურო ქართული მრავალგვარ ფაქტორთა ნაყოფს წარმოადგენს; და ამიტომ ყოველად შეუძლებელია მისი სადავო ფორმები მარტივი შაბლონური პრინციპით მოწესრიგებულ იქნეს: სწერე ისე, როგორც ლაპარაკობო. მართლაც ამ პრინციპს რომ მივდიოთ, როგორ უნდა მოვაწესრიგოთ შემდეგი ცოცხალი ფორმები, რომელნიც ჩვენს დიალექტებში გვხვდება:

მოიტანეს, მაიტანეს და მეიტანეს,
წაულეს, წოულეს და წუულეს,
აღვიარებ, ვაღვიარებ და ვაღვიარებ,
დაწყება და დაწყობა,
დასწრება და დასწრობა,
აკეთებდენ და აკეთებდნენ,
ჩასდვა და ჩასდო,
სთქვა და სთქო,
საჭამადი და შეჭამადი,
ძლიერი და ძრიელი,
სჩაგრავს და სჩაგრამს,
სტანჯავს და სტანჯამს,
გწერსთ და გწერთ,
მქვიან და მქვია,
მშია და მშიან,
კლასში და კლაში,
ფოსტა და ფოშტა,
სკოლა და შკოლა
და მრავალნი სხვანი?

დღევანდელი ინტელიგენტის და არა ინტელიგენტი ქართველის გამოთქმაში ეს (და მრავალი ამათი მსგავსი) ფორმები ხომ ერთნაირად გვხვდება? ამიტომ რას გააწყობს ამ ანარქიულ მდგომარეობაში მარტივი ფონეტიკური პრინციპი: „სწერე ისე, როგორც ლაპარაკობო?“ თუ, პირიქით, უმჯობესი იქნება დღევანდელმა ქართველმა ყველა ფერი ისე არ დასწეროს, როგორც ლაპარაკობს? ერთი სიტყვით, თანამედროვე ქართული ენისათვის წმინ-

და ფონეტიკური პრინციპი სავსებით და შეუზღუდველად მიღებული გამოუსადეგარია, თუმცა საზოგადოდ რომ ვთქვათ, ფონეტიკურ პრინციპს ქართულ მწერლობაში მუდამ საპატიო ადგილი ჰქონდა და კიდევაც ექნება. მხოლოდ აუცილებელია—მას გვერდში სხვა პრინციპებიც ამოუყენოთ და ამასთანავე თვით ფონეტიკური პრინციპი ჯეროვანად შევზღუდოთ.

და პირველ შეზღუდვას ფონეტიკური პრინციპი ბუნებრივად ჰპოებს იმ გრაფიკული საშუალებების მხრით, რომელნიც დღევანდელი სალიტერატურო ქართულის განკარგულებაში მოიპოება. ვგულისხმობთ ქართულ ანბანს, ე. ი. გრაფიკულ ნიშნებს ამა თუ იმ მარტივი ბგერის გამოსახატავად (ასოებს).

გრაფიკული მხრით მწერლობა იმდენად უფრო მალლა დგას, რამდენადაც მას ყოველი მარტივი ბგერისათვის შესაფერისი საკუთარი ნიშანი მოეპოება. ამ მხრივ ქართული მწერლობა შედარებით ბედნიერ პირობებშია: თითქმის ყოველ მარტივ ბგერას, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ისმის, მისი შესაფერისი საკუთარი ასო მოეპოება:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ.

მხოლოდ ეს 33 ასო, რომელნიც წარსული საუკუნის 60-იანი წლების რეფორმატორებმა ახალ ქართულ მწერლობას შეანარჩუნეს, ყოველთვის საკმაო არ იქნება ყველა იმ მარტივი ბგერის გამოსახატავად, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში შეიძლება შეგვხვდეს. ვგულისხმობთ უმთავრესად ნასესხებ სიტყვებს, კერძოდ საკუთარ სახელებს, რომლებშიაც გვხვდება ეგრეთწოდებული „იოტი“ ანუ „იოტიანი დიფტონგი“; ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება უსამართლოდ განდევნილი „ჟ“ ასო, მაგალითად სიტყვებში: ნჟუ-ჯორკი, მჟულერი, ჰაჟნრიხ, ჰაჟნე და სხვანი. საკუთრივ ქართულ სიტყვებში კი ამ ასოს (ჟ) ხმარება ისე ხშირად არ იქნება საჭირო. რაც შეეხება დანარჩენ განდევნილ ასოებს (ღ, ჳ, კ, ჴ და სხვ.), ესენი თანამედროვე მწერლობას დასჭირდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელდობრ: ა) როცა მოსაყვანი იქნება ძველი ტექსტები მათი ორთოგრაფიით, უცვლელად, ბ) როცა ამა თუ იმ მეცნიერს ან ბელეტრისტს სურვილი ექნება ფონეტიკური სისწორით ჩასწეროს ესა თუ ის დიალექტური ფორმა (მაგალითად ხევსურული: „კელი“, „კარი“ და სხვ.) და გ) როცა რიცხვების გამოსახატავად ციფრების მაგიერ ქართული ანბანი იქნება გამოყენებული. დანარჩენ შემთხვევებში-კი თანამედროვე სალიტერატურო ქართულს სავსებით დააკმა-

ყოფილებს ის 34 ასო, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ამ 34 ნიშნის ფარგლებში, ყოველი მარტივი ბგერა უნდა გამოიხატოს მისი შესაფერისი ერთი ასოთი (არც მეტი არც ნაკლები) და, რომელი ბგერაც ლიტერატურულ გამოთქმაში არ არსებობს, ის არც მწერლობაში უნდა იქნეს გამოხატული განსხვავებული ნიშნით.

ასეთია პირველი საორთოგრაფიო პრინციპი, რომელსაც ჩვენ გრაფიკულ-ფონეტიკურს დავარქმევთ. მაგრამ ამ სახითაც განსაზღვრულს ამ პრინციპს სჭირდება სხვა პრინციპებით შეზღუდვა და შესაფერისი ადგილის მიჩენა თანამედროვე ქართული ორთოგრაფიის სისტემაში.

2. ეროვნულ-პოლიტიკური პრინციპი.

ერთ-ერთი მთავარი გარემოება, რომელიც უსათუოდ უნდა გათვალისწინებულ იქნეს, როცა სალიტერატურო ქართულის ნორმების მოწესრიგება გვაქვს მიზნად დასახული, არის შემდეგი:

თანამედროვე ქართველობა უბრალო სატომო მასა როდია, რომლისთვისაც სულ ერთი იყოს, რამდენი ენაც გინდა ექნეს. დღევანდელი ქართველობა საერთო ჩამომავლობით, ერთის ტერიტორიით, ერთი ისტორიული წარსულით, საერთო კულტურით, საკუთარი ეკონომიური ვითარებით, საერთო პოლიტიკური წყობილებით და საერთო ნაციონალური „მეობის“ შეგნებით შეკავშირებული ეროვნებაა, რომელიც როგორც ერთი მთლიანი ერთეული ღებულობს მონაწილეობას თანამედროვე სოციალისტურს მშენებლობაში და რომლის ეროვნულ-პოლიტიკური მთლიანობის ინტერესი მოითხოვს, რომ მისი სალიტერატურო ენა ერთი და საერთო იქნეს ყველა ქართველი ტომისათვის. ეს გარემოება კი საჭიროდ ხდის სალიტერატურო ქართულში, რამდენადაც კი შესაძლოა, დაცულ იქნეს ფორმათა ერთსახეობა.

ამ პრინციპის ძალით, სასურველი არაა სალიტერატურო ენაში ვიხმაროთ და ვწეროთ შემდეგი წყვილ-წყვილი, სამ-სამი ან ოთხ-ოთხი და მეტი ფორმა:

„კარგათ“ და „კარგად“;

„ადგენ“ და „ადგნენ“;

„ტფილისი“, „თფილისი“ და „თბილისი“;

„სახლითგან“, „სახლიდგან“, „სახლიდან“ და „სახლიდამ“;

არამედ ან ერთი, ან მეორე, ან მესამე, ან მეოთხე; თუ სახელ-
დობრ რომელი, ეს შემდეგმა პრინციპებმა უნდა გამოგვიჩვენოს.

3. ევოლუციური პრინციპი. თანამედროვე სალიტერატურო
ქართული მკვდარი ენა არ არის: იგი ცოცხალი ერის ცოცხალი ატ-
რიბუტი და მისი პოლიტიკურ-კულტურული თვითშემოქმედების ერ-
თი უძლიერეს იარაღთაგანია; როგორც ასეთი, ქართული ენა ქართ-
ველ ერთან ერთად ცოცხლობს და ვითარდება. ამიტომ მას არ შე-
უძლია—ერთ წერტილზე გაიყინოს, მკვდარ ფორმებში ჩაკვდეს,
მკვდარი ფორმების საწყობად გადაიქცეს. იგი ცოცხალი ენაა და
ამიტომ მწერლობაშიაც ცოცხალ ფორმებს უპირატესობა
უნდა მიეცეს მკვდარი ფორმების წინაშე. ამ გზას დიდი
ხანია დაადგა სალიტერატურო ქართული და ზოგიერთ შემთხვევაში
შესაძლოა კიდევაც აჭარბებდეს, როცა, მაგალითად, სდევნის ჯერ
კიდევ ცოცხალი ძველ ფორმას და მის ადგილას ახალ ფორმას აბა-
ტონებს, მაგრამ ისეთი შემთხვევაცაა, როცა ნამდვილად მკვდარი
ძველი ფორმისაგან ვერ განთავისუფლებულა. ასეთია მაგალითად
ფორმა „სახლითგან“, „შიგნითგან“, „ზემოთგან“, „ქვემოთგან“, რო-
მელიც დიდი ხანია მკვდარია ქართულ გამოთქმაში და მისი ადგილი
შემდეგს ცოცხალ ფორმებს დაუჭერია:

სახლიდგან, სახლიდან; სახლიდამ;

შიგნიდგან, შიგნიდან, შიგნიდამ;

ზემოდგან, ზემოდან, ზემოდამ;

ქვემოდგან, ქვემოდან, ქვემოდამ.

ევოლუციური პრინციპი მოითხოვს, ფორმა „სახლითგან“ თა-
ნამედროვე სალიტერატურო ქართულიდან გაძევებულ იქნეს, როგორც
მკვდარი ფორმა, და მის ნაცვლად ხმარებულ იქნეს ერთ-ერთი მისი
ცოცხალი ექვივალენტი: სახლიდგან, სახლიდან ან სახლიდამ; თუ სა-
ხელდობრ რომელი, ეს შემდეგმა პრინციპებმა უნდა გამოარჩვიოს.

**4. კულტურული პრინციპი, ანუ პრინციპი ძირითად ცოცხალ
კილოთა ფორმების უპირატესობისა სალიტერატურო ენაში** (იხ.
გვ. 11). როგორც ყოველი სალიტერატურო ენის შემოქმედი, ისე
ქართულისაც ერის მხოლოდ უკულტურესი ნაწილია და არა მთელი
ერი კულტურული მდგომარეობისა და ტომობის განურჩევლად. კერ-
ძოდ თანამედროვე სალიტერატურო ქართულს საფუძვლად უძევს,
ძველ და საშუალო სალიტერატურო ენასთან ერთად, ორი მთავარი
ცოცხალი დიალექტი: ქართლ-კახური და იმერულ-გურული.
ქართველ მწერალთა უდიდესი ნაწილი მე-19-ე საუკუნის ნახევრიდან
მოკიდებული (გიორგი ერისთავის კომედიების გამოქვეყნებიდან) ქარ-

თველი ერის იმ ტომთაგან გამოდიოდა, რომელნიც ზემოდასახელებულს ორ ცოცხალ კილოს ლაპარაკობენ: ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულს. თავისი მხრით ამ უკანასკნელთა შორის უპირატესობა ქართ-კახურ კილოს უჭირავს და ეს ასეც იქნება, რადგან მესამე საფუძველი თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა, სახელდობრ ძველი და საშუალო სალიტერატურო ქართული, უმთავრესად ძველის ქართლური დიალექტის პირმშო შვილია და სწორე სალიტერატურო ფორმების უმეტესი ნაწილიც თანამედროვე ქართლ-კახურ კილოში უფრო კარგად არის შენახული, ვინემ იმერულ-გურულში; თუმცა სიმართლე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ მთელი რიგი სწორე ძველი ფორმებისა იმერულ-გურულ დიალექტში უკეთ დაცულია, ვინემ ქართლ კახურში. როგორც ქართველობის უდიდესი და კულტურულად უფრო დაწინაურებული გავლენიანი ნაწილი, აღნიშნულის ორი კილოთი მოლაპარაკე ქართველი ტომები (ქართლელნი, კახელნი, იმერელნი და გურულნი), აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, სათავეში უდგანან ახალ ქართულ მწერლობას და მძლავრად აწარმოებენ თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარებას. დანარჩენ ტომთაგან გამოსული ინტელიგენცია კი (ორიოდე გამონაკლით) იძულებულია მხოლოდ მხარში ამოუდგეს და მისდიოს იმ მთავართომთაგან გაკვალულ გზას. ეს მოვლენა მთელის ჩვენი წარსულისა და აწმყო კულტურული ცხოვრების აუცილებელი შედეგია, და ამიტომ სხვაგვარად საქმის შეტრიალება არც სასურველია და აღარც მოსახერხებელი: ისტორიამ თავისი ჰქმნა, და ქვეყანაზე არ მოიპოება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი ჩარხი უკუღმა შეატრილოს. ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში უპირატესობა უნდა მიეცეს ენის ცოცხალ ფორმებს მკვდარი ფორმების წინაშე, სწორედ იმ ფორმებს ვგულისხმობთ, რომელნიც ამ ორ ძირითად კილოში (ქართლ-კახურში და იმერულ-გურულში) დღეს ცოცხალნი არიან ან აღარ არსებობენ, მომკვდარან, სულერთია, სხვა ქართულ კილოებში (მაგალითად ინგილურ, ფშაურ, თუშურ, ხევსურულში) და მონათესავე ენებში (მეგრულ-ჭანურსა და სვანურში) ცოცხალნი არიან იგივე ფორმები, თუ არა. ამგვარად: რომელი ფორმაც თანამედროვე ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში ცოცხალი აღარაა, ასეთი ფორმა, თუნდაც ძველ ქართულშიაც მოიპოებოდეს და სხვა კილოებსა და მონათესავე ენებშიაც ცოცხალი იყოს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ უნდა ვიხმაროთ, როგორც ქართველი ერის უუკუტურე-

სი ნაწილისათვის მკვდარი ფორმა. მაგალითად ძველი ქართული ფორმები: კარი, კელი, მოვიდის, წავიდის,— დღესაც ცოცხალია ფშავ-ხევსურულში, მაგრამ მკვდარია ორ ძირითად კილოში (ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში) და ამიტომ ველარც თანამედროვე სალიტერატურო ენაში მივიღებთ. მით უმეტეს სალიტერატურო ენის ნორმებად ვერ მივიღებთ ისეთს პროვინციალურ ფორმებს, როგორცაა მაგალითად ფშაური „წამამილოდი“, „არა დ“ (<„არა და“) და სხვანი.

დასასრული იქნება.

— : —

ლევ ტოლსტოის სოციალური მოქმედება

I. ორი მოაზროვნე

წელს რუსეთის ორი დიდი მოაზროვნის დაბადების ასი წლის თავი შეხვდა ერთმანეთს: ლ. ტოლსტოისა და ნ. ჩერნიშევსკის. ორივე ამ დიდი პიროვნების დაბადების ასი წლის თავი დიდი ზეიმით გადაიხადა საბჭოთა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ. რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ტოლსტოი და ჩერნიშევსკი ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლიუსზე დგანან: ტოლსტოი სულ სხვა ტიპის მწერალი და მოაზროვნეა, ჩერნიშევსკი კიდევ სხვა ტიპის. ლ. ტოლსტოი უდიდესი მხატვარია, ნ. ჩერნიშევსკი—ენციკლოპედიურად განვითარებული მოაზროვნე; პირველის ძალა მხატვრულ შემოქმედებაშია, მეორესი კი—მეცნიერებაში. ლ. ტოლსტოი როგორც მოაზროვნე ვერ შეედრება ყოველმხრივად განვითარებულ ჩერნიშევსკის; ნ. ჩერნიშევსკი, თავისი მხატვრული ნაწერების ტენდენციებით უაღრესად რევოლიუციონური და სოციალისტურია, მაგრამ როგორც მხატვარი ვერ აღწევს ტოლსტოის სიმაღლემდე.

მაგრამ განსხვავება მათ შორის ამით არ ამოიწურება. ჩერნიშევსკი წარმომადგენელია ა. წ. „რაზნოჩინური“ ინტელიგენციისა, იგი დემოკრატიული შთამომავლობისაა; ტოლსტოი კი—რუსეთის უმაღლესი წოდების პირში შვილია—არისტოკრატი და მემამულე. ჩერნიშევსკის ფილოსოფიურს მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს ფეიერბახის მატერიალიზმი, იგი პირველი ღრმად მოაზროვნე პიროვნება იყო რუსეთში, რომელმაც საფუძვლები ჩაუყარა მატერიალისტურს ფილოსოფიას და ამით რუსეთის მარქსისტების წინამორბედი გახდა; ტოლსტოი მთელი თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში ებრძოდა მატერიალიზმს და ორივე ფეხებით იდეალიზმის საფუძვლებზედ იდგა; უკეთ,—ტოლსტოიმ ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნება რელიგიას დაუმორჩილა და თავისი მსოფლმხედველობა ქრისტიანული მორალიზმის ძირეულ საფუძვლებზედ ააგო. ჩერნიშევსკი რევოლიუცი-

ონური სოციალიზმის თეორიას ამუშავებდა რუსეთში და მრავალ რამეში უახლოვდებოდა მარქსიზმს; ტოლსტოი მშვიდობიანი ქრისტიანული ანარქიზმის მქადაგებელი იყო, რომელიც თავის შინა-არსში უკვე ატარებდა რეაქციონურ ელემენტებს. ჩერნიშევსკი იდგა რევოლუციონური ტაქტიკისა და კლასთაბრძოლის ნიადაგზე, იგი პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას იცავდა და დიქტატურის მომხრე იყო; ტოლსტოი უარყოფდა კლასთა ბრძოლას და აპოლიტიკური მოაზროვნე იყო თავისი მსოფლმხედველობით; იგი ადამიანის „შინაგანი გარდაქმნის“ გზით ცდილობდა ცხოვრების განახლებას, უარყოფდა ყოველგვარ ძალდატანებას და „непротивление злу“-ს ტაქტიკას აყენებდა.

ამ ლაკონური დაპირისპირებიდანაც მკითხველი ნათლად ხედავს, თუ როგორი გარდაუვალი უფსკრული ძევს ლევ ტოლსტოის აზრებსა და ნ. ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს შორის: და სრულიად ბუნებრივი იყო ის მოვლენა, რომ 60-იან წლებში, როდესაც ჩერნიშევსკისა და „Современник“-ის გავლენა, მაშასადამე, გავლენა რევოლუციონური დემოკრატიული აზროვნებისა, ელექტრონის ტოკის სიჩქარით ვითარდებოდა რუსეთის ახალგაზრდობაში, ტოლსტოიმ ლიბერალურ თავადაზნაურულ წრეებთან ერთად სასტიკად გაილაშქრა ჩერნიშევსკის წინააღმდეგ და სასტიკი სახელწოდებით მონათლა მისი მიმდინარეობა. ეს არ იყო პიროვნული შეტაკება: აქ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმდინარეობა და ორი მოწინააღმდეგე სოციალური ფენების აზროვნება ებრძოდა ერთი მეორეს: ჩერნიშევსკი სასტიკი მოწინააღმდეგე გამოვიდა იმ წრისა და იმ მიმართულების, რომლის წარმომადგენლადაც 50—60-ან წლებში ითვლებოდა ლ. ტოლსტოი; ხოლო ამ უკანასკნელს თავის მხრივ არ შეეძლო თანაგრძნობით შეხვედროდა იმ სოციალისტურსა და რევოლუციონურს მიმდინარეობას, რომელსაც გამოსახავდა ჩერნიშევსკის მაღალი ნიჭი და საქმიანობა.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დიამეტრალობისა, ტოლსტოისა და ჩერნიშევსკის აზროვნებაში და პრაქტიკულ საქმიანობაში მაინც მოიძებნება ისეთი მუხლი, სადაც ისინი უნათესავდებიან ერთი მეორეს, სადაც მათ შორის შეთანხმების ხიდის გადება არის შესაძლებელი: რუსეთის ეს ორი დიდი მოაზროვნე თავისებურ პროტესტს წარმოადგენდენ მაშინ არსებულ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ. როგორც ტოლსტოის აზროვნებაში (80-იან წლებიდან), ისე ჩერნიშევსკის საზოგადოებრივ იდეალებში (60-იან წლებში) მძლავრი პროტესტის ხმა გაისმა იმ დახავსებული წყობი-

ლების წინააღმდეგ, რომელიც ბორკავდა საზოგადოებრივ განვითარების საქმეს და ახშობდა ყოველივე ახალ აზრს. ტოლსტოიც და ჩერნიშევსკიც წარმოადგენდნენ მძლავრ პროტესტს, აღმოცენებულს სხვადასხვა სოციალური წრეებიდან. ჩერნიშევსკი წარმოადგენდა ჯერ კიდევ მშობარობის პროცესში მყოფ მუშათა ფენებისა და ფართო დემოკრატიული წრეების რევოლუციონურ პროტესტს, მიმართულს თვითმყრობელურ რუსეთის და კაპიტალისტური ექსპლოატაციის განსაზღვრებლად; ნ. ჩერნიშევსკი, გამოსული დემოკრატიულ ფენებიდან, მატარებელი იყო თავისი კლასის რადიკალურ რევოლუციონური განწყობილებისა; მისი მძლავრი რევოლუციონური სიტყვა მაშინ გაისმა რუსეთის საზოგადოებაში, როდესაც, ერთის მხრივ, ნათელი გახდა ყირიმის ომის ზეგავლენით ძველი საზოგადოებრივი წყობილების რღვევის პროცესი; ხოლო, მეორეს მხრივ, ამოძრავდნენ და აღორძინდნენ ფართო დემოკრატიული წრეები. ჩერნიშევსკი იყო აღორძინების ეპოქის შვილი, მისი ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი, რევოლუციონური და ოპტიმისტური განწყობილების მატარებელი.

80-იან წლებიდან მძლავრად გაისმა ტოლსტოის პროტესტიც არსებულ წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ეს პროტესტი გამოხატავდა გლეხურ ნიადაგზე გადასულ ყოფილ არისტოკრატისა და ყოფილ მემამულის პროტესტს. 80-ანი წლები, როდესაც ლ. ტოლსტოიმ შეიმუშავა თავისი ახალი მსოფლმხედველობა და სოციალური იდეალები, რეაქციისა და დაცემის ეპოქას გამოხატავდა: ერთის მხრივ, დამარცხება რევოლუციონურ ნაროდნიკულ მოძრაობისა და სახელოვანი „ნაროდნაია ვოლიას“ საბოლოოდ განადგურება, ხოლო მეორეს მხრივ, ალექსანდრე მე-III-ის თავადაზნაურული რეაქციონური პოლიტიკა, თავის-თავად გამოხატავდნენ იმ სულიერ განწყობილებას, რომელმაც შეიპყრო 80-იან წლებში რუსეთის საზოგადოება. ასეთს ეპოქაში შემუშავდა ტოლსტოის სოციალური თეორია, რომელიც პასივიზმისა და პესიმიზმის მატარებელი იყო და რომელიც წვრილ-ბურჟუაზიის მშვიდობიანი პროტესტი იყო არსებულ წყობილების წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ტოლსტოისა და ჩერნიშევსკის სოციალურ მოძღვრებათა ნეგატიური ნაწილი—უარყოფა არსებული წყობილებისა—დაუნათესავდა ერთი მეორეს, სამაგიეროთ მათი მოძღვრებათა პოზიტიური ნაწილი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნათესავობა არის ექსპლოატატორულ წყობილების უარყოფაში, წინააღმდეგობაა ახალი წყობილების ფორმებისა და მისი განხორციელების მეთოდებს შორის. აღსანიშნავი არის სწორედ ის ფაქტი,

რომ ტოლსტოისა და ჩერნიშევსკის თავიანთი აზროვნებისა და მოღვაწეობის გამო სასტიკად სდევნიდა, როგორც თვითმპყრობელობა, ისე უმაღლესი წოდება: 60-ის წლებში ჩერნიშევსკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს მემამულეებმა, რომელნიც მთავრობისაგან მოითხოვდნენ მის სასტიკად დასჯას: თვითმპყრობელობამ იგი 21 წლის ციხითა და კატორღით დასაჯა. ტოლსტოი გამორიცხა თავისი წრიდან უმაღლესმა წოდებამ, განდევნა „უწმიდესმა“ სინოდმა, ხოლო თვითმპყრობელობა არ ასვენებდა მასა და მის მიმდევრებს.

II. ტოლსტოიზმის სოციალური საფუძვლები.

საერთოდ როდესაც ტოლსტოისა და ტოლსტოიზმის შესახებ სწერენ, ზოგიერთი პირები ერთ დიდ შეცდომას უშვებენ: ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ იმ დიდ გარდატეხას, რომელიც ტოლსტოის აზროვნებაში მოხდა 80-იან წლების დასაწყისიდან. ტოლსტოი 80-იან წლებამდე და ტოლსტოი 80-იან წლების შემდეგ ორი სხვადასხვა ტოლსტოია; შეიძლება ტოლსტოის ამ ორ პერიოდის მოღვაწეობის შორის მოიძებნოს მრავალი რამ საერთო, მაგრამ დამოუკიდებლად აღებული ეს ორი პერიოდი მაინც ძირეულად ჰყოფს ტოლსტოის საზოგადოებრივ აზროვნებას ორ დიდ ხანად.

ვინც ამ გარემოებას არ მიაქცევს ყურადღებას იგი აუცილებლად დიდ შეცდომას დაუშვებს და ვერ მოგვცემს ტოლსტოის მოძღვრების სწორ სოციალ-კლასიურ დაფასებას.

1903-06 წლებში თავის „ყრმობის მოგონებაში“ ტოლსტოიმ მთელი თავისი ცხოვრების განვითარება ოთხ დიდ პერიოდად დაჰყო: 1) ბავშობის პერიოდი 1828-42 წ., 2) 1842-62 წ. დამოუკიდებელი პერიოდი, 3) ოჯახური ცხოვრება 1862-80 წ. და 4) 1880 წლებიდან შემდეგი პერიოდი, რომელიც ხასიათდება მისი „სულიერი გარდაქმნით“. ტოლსტოის ცხოვრების ასეთი დაყოფა საუცხოვო გასაღებს იძლევა ტოლსტოის სულიერი ევოლიუციის, თანდათანობით ზრდის გასაგებად და მხატვრული შემოქმედების ანალიზის გასაკეთებლად; მაგრამ თუ ჩვენ ტოლსტოიზმს სოციალ-კლასიური საზომით განვიხილავთ და შევეცდებით გამოვარკვიოთ მისი სოციალური იდეალები მაშინ დავინახავთ, რომ ტოლსტოის დასაყრდენი სოციალური ბაზა და მისი საზოგადოებრივი იდეალები 80-იან წლებამდე სხვა იყო, ვინემ 80-იან წლების შემდეგ პერიოდში: დაახლოებით 80-იან წლებამდე, ტოლსტოი გარკვევით იდგა თავადაზნაურულ წოდების ნიადაგზე და წარჩინებული კლასის კონსერვატულ სულის კვებას გამო-

ხატავდა. მთელი მისი აზროვნება, სოციალური მსოფლმხედველობა და დიდი მხატვრული პროდუქცია ემსახურებოდა ამ უმაღლესი წოდების ინტერესებს და უმთავრესად მათი ცხოვრება გადაჭკონდა მწერალს თავის მხატვრულ შემოქმედების ტილოზე. 70-ან წლების მიწურულში და 80-იან წლების დასაწყისში ტოლსტოის აზროვნებაში ხდება რადიკალური გარდატეხა: ძველი მემამულე გრაფი, კონსერვატულ აზროვნების მატარებელი, ძირითად რევიზიას უკეთებს თავის მდგომარეობასა და მსოფლმხედველობას და გადადის გლეხურ ბანაკში, ხდება გლეხური იდეოლოგიის მატარებელი და თავისებური გლეხური სოციალიზმის მქადაგებელი. აი სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძვლები ტოლსტოის მოძღვრებას, სწორედ ამ ხნიდან ხდება იგი ახალი მიმართულების შემქმნელი. ამ პერიოდიდან ჩამოყალიბებული „ტოლსტოიზმი“ განსაკუთრებულს ეტაპს წარმოადგენს არა მარტო თვით ტოლსტოის აზროვნებაში, არამედ რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაშიაც.

ორიოდე სიტყვით თვალი გადავაგლოთ პირველი პერიოდის ტოლსტოის სოციალურ აზროვნებასა და საზოგადოებრივ მისწრაფებებს. ამ პერიოდის ტოლსტოი, როგორც ვთქვით, ტიპიური არისტოკრატის შვილია, არა მარტო თავისი ეკონომიურ-საზოგადოებრივ მდგომარეობით, არამედ თავის მსოფლმხედველობითაც. შთამომავლობით უდიდეს არისტოკრატის შვილი იგი მთლიანად ითვისებს ამ წოდების მისწრაფებებს და ეყრდნობა უმაღლესი კლასის ინტერესებს. „ომისა და ზავის“ ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წინასიტყვაობაში ტოლსტოი სწერდა: „ჩემს თხზულებაში მოქმედებენ მხოლოდ თავადები, რომელნიც ლაპარაკობდენ და საუბრობდენ მხოლოდ ფრანგულად, თითქოს მთელი მაშინდელი რუსეთის ცხოვრება ამ ხალხზე ყოფილიყოს დაყრდნობილი. მე მჯერა, რომ ეს არც სწორია და არც ლიბერალური და შემოქმედია ერთი, მაგრამ უდავო პასუხი ვსთქვა: მოხელეების, ვაჭრების, სემენირისტების და გლეხების ცხოვრება არ მაინტერესებს და ნახევრად გაუგებარიც არის ჩემთვის; მაშინდელი არისტოკრატის ცხოვრება, მაშინდელი ძეგლების წყალობითა და სხვა მიზეზებით, ჩემთვის გასაგები, საინტერესო და სასიამოვნოა“¹⁾

ამ ციტატაში მოცემული არის აღნიშნული პერიოდის ტოლსტოის სწორი პორტრეტი, მისი მსოფლმხედველობის ძირითადი ხასიათი, რომელიც არისტოკრატის ინტერესების დაცვაში გამოიხა-

1) Л. Львов—Рогачевский: От усадьбы к избу, гл. 143,

ტება. ტოლსტოის თავიდანვე აინტერესებდა თავისი წოდება და სრულიად არ ცდილობდა ეს პრივილეგიური მდგომარეობა გაეცვალა სხვა რაიმე კლასის მდგომარეობაზე. ტოლსტოის ცოლის ძმა, სტეფანე ბერსი, 60-ნი წლების ტოლსტოის შესახებ სწერს თავის მოგონებებში: „ის იყო გაუყენთელი არისტოკრატი, თუმცა ყოველთვის უყვარდა ხალხი, მაგრამ უფრო მეტად უყვარდა არისტოკრატები. ამ ორი წოდების შუათანა წრე მას არ მოსწონდა და სძაგდა. თანახმად მისი (ტოლსტოის) თქმისა, ის სიამოვნების შეგნებას განიცდიდა, რომ ის იყო მწერალი და არისტოკრატი.“²⁾

1852 წ. ტოლსტოი თავის დღიურში სწერდა:

„ჩემს რომანში მე გამოვხატავ რუსეთის მმართველობის სიბოროტეს და თუ კი მას დამაკმაყოფილებელს ვნახავ, მაშინ ჩემს დანარჩენ ცხოვრებას მოვანდომებ გეგმის შედგენას, რომლის მიხედვითაც არისტოკრატიული საარჩევნო სისტემა შეერთებული იქნება მონარქიულ მმართველობასთან. აი მიზანი კეთილ ღმობიერ ცხოვრებისა.“³⁾ იმავე დღიურში ჩვენ ვკითხულობთ: „შეეცადეთ დადგეთ სრულიად ერთ დონეზე ხალხთან, -- ის (ხალხი) ზიზლით დაგიწყებს ცქერას. დაე წავიდეს წინ უმაღლესი წრე (ე. ი. თავად-აზნაურობა, ს. ხ.) და ხალხიც არ ჩამორჩება. იგი არ შეედუღება უმაღლეს წრეს, მაგრამ მაინც განვითარდება“ (იქვე).

საინტერესო არის ტოლსტოის შეხედულება ბატონ-ყმობაზე. როდესაც ტოლსტოის უსაყვედურეს, თუ რატომ მან თავის რომანში „ომი და ზავი“ არ გამოხატა ბატონ-ყმური წყობილების სისაძაგლე, ტოლსტოიმ „წინასიტყვაობაში“ შემდეგნაირად იმართლა თავი: „მას არც სურდა მათი გამოხატვა, რადგან არ მიაჩნდა ასეთი შეხედულება რეფორმის წინაპროის ცხოვრებაზე სწორად“. აქ უკვე სჩანს ტოლსტოისებური იდეალიზაცია, რეფორმის წინაპროის რუსეთის რეჟიმისა მთელი თავისი სოციალური ინსტიტუტებითა და წოდებათა წინააღმდეგობით. „ომსა და ზავში“ ანდრია ბოლკონსკი ეუბნება პიერ ბეზუხოვს: „შენ გწადია გამოიყვანო გლეხი თავის ცხოველურ მდგომარეობიდან, მე კი მგონია, რომ ერთ-ერთი შესაძლებელი ბედნიერება არის ბედნიერება ცხოველისა, და შენ კი გინდა ესეც გამოაცალო მას (გლეხს). შენ გინდა გაანთავისუფლო გლეხობა. ეს ძლიერ კარგია, მაგრამ არა შენთვის, მით უფრო ნაკლებ გლეხობისათვის“. „უკვე 1868 წელს — სწერს რ. ლევინფელდი —

²⁾ იქვე, გვ. 122.

³⁾ ДНЕВНИК МОЛОДОСТИ, გვ. 147.

ტოლსტოი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიდ რეფორმას ცუდი მხარეებიცა ჰქონდა: იგი ნაადრევად იყო გატარებული ცხოვრებაში, და თავისი წარმოშობით ხალხის მოყვარულ თეორიტიკოსების თეორიის ნაყოფი იყო და არა ხალხის ჭეშმარიტი მოთხოვნებისა და აუცილებლობის, როგორც ეს იყო ევროპაში. ტოლსტოის გლახთა განთავისუფლება მათი მატერიალური კეთილდღეობის საზომით საზარალოდ მიაჩნდა“.

ასე მსჯელობდა ტოლსტოი ბატონ-ყმომის შესახებ და ამ მსჯელობაში ნათლად სჩანდა წარჩინებული გრაფისა და დიდი მემამულის მსოფლმხედველობა. მაგრამ ტოლსტოი ამ პერიოდში არა მარტო ითვისებს მემამულის თვალსაზრისს, იგი ცდილობს თავის პირად ოჯახურ ცხოვრების ძველი ფეოდალის ყაიდაზე მოწყობას; უარყოფს რა ქალაქსა და ქალაქურ ცხოვრებას, იგი 1862 წლიდან იმის ცდაში არის, რომ აღადგინოს თავისი ძველი მამაპაპეული ოჯახი, შეიძინოს დიდძალი მიწა და განავითაროს თავისი პატრიარხალური მეურნეობა. ამ შემთხვევაში იგი ანხორციელებდა რეალურად თავისი ახალგაზრდობის ოცნებას: „მთელი სახლი მოწყობილი იქნება იმავე წესით, როგორათაც იყო მამაჩემის დროს, და ჩვენ დავიწყებთ იმავე ცხოვრებას, მხოლოდ როლების შეცვლით“.—სწერდა თავის დეიდას ტოლსტოი. ოჯახურმა ცხოვრებამ და ძველი პატრიარქალური მეურნეობის აღდგენამ დიდი ბედნიერება მოუტანა ტოლსტოის, არა მარტო ეკონომიურად, არამედ სულიერადაც. მისი ოცნება განხორციელდა, იგი დიდი მემამულე და დიდი მწერალი გახდა; ტოლსტოი სწერს: „მე ბედნიერი და დამშვიდებული მამა და ქმარი ვარ, არავითარი საიდუმლოება არა მაქვს არავის წინაშე და არც სხვა სურვილი გარდა იმისა, რომ ყოველივე მიდიოდეს ძველებურად“.⁴⁾ როგორც ვხედავთ ტოლსტოის ოპტიმიზმი უმაღლეს წერტილს აღწევს, მისი კონსერვატიულ-არისტოკრატიული განწყობილება უდავოა. ტოლსტოი მემამულის არა მარტო იდეოლოგიის და მსოფლმხედველობის მატარებელია, არამედ თავისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობითაც მსხვილი მემამულე და არისტოკრატია.

როგორი არის ამ პერიოდის ტოლსტოის პოლიტიკური მსოფლმხედველობა? ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ 1852 წ. იგი ოცნებობდა არისტოკრატიულ საარჩევნო სისტემის შეუღლებას, შეერთებას მონარქიულ წყობილების სისტემასთან. 50—60-ან წლებში იგი ზიზღით

⁴⁾ ლვოვ-როგაჩევსკის წიგნი გვ. 113.

უცქეროდა არა მარტო რევოლუციონურ-დემოკრატიულ მოძრაობას, არამედ კუდშეკვეცილ თავად-აზნაურების ლიბერალიზმსაც კი. ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი მისთვის ერთნაირად მიუღებელი იყო. ამ მხრივ ტოლსტოი შეურყევლად იდგა მონარქიულ პრინციპის ნიადაგზე და სრულიად არ ფიქრობდა რაიმე ცვლილების გამოწვევას თვითმპყრობელურ წყობილებაში. აქედან სრულიად ბუნებრივი იყო ის დაუსრულებელი მძულვარება, რომლითაც ტოლსტოი შეხვდა ნ. ჩერნიშევსკისა და „Современник“-ის მოღვაწეობას 50-იან წლებში. ტოლსტოის მსოფლმხედველობით საზოგადოებრივი წყობილების ხელმძღვანელი კლასი მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატია იყო და ცხადია ძალა-უფლებაც მას უნდა ჰქონოდა ხელში. ამ მხრივ იგი პოლიტიკოსობასაც იჩენდა იმდენად, რამდენადაც იგი მონარქიულ წყობილების ნიადაგზე იდგა და სრულიად არ ცდილობდა არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლას. 1802 წ. ტოლსტოი სწერდა თავის მეგობარს: „თუ კი თქვენ გახსოვართ პოლიტიკურის მხრივ, თქვენ გეცოდინებათ, რომ ყოველთვის და განსაკუთრებით სკოლისადმი ჩემი სიყვარულის დასაწყისისას, მე სრულიად გულგრილად ვუცქეროდი მთავრობას, და კიდევ უფრო გულგრილად ვარ თანამედროვე ლიბერალების მიმართ, რომელნიც მე მეზიზღებიან მთელი არსებით... ეს ფაქტია... მე ერთხელ მთელი თვე მეწყო ყველა ეს მშვენიერება—პროკლამაციები და „კოლოკოლი“—და მე არ წამიკითხავს ისინი ისე დავაბრუნე. ჩემთვის ყველა ეს მოსაწყენია, ყველა ეს მე ვიცი და მეზიზღება არა ფრაზისათვის, არამედ მთელი ჩემი არსებით“⁵⁾. ამ რიგად იმ თავად-აზნაურულ ლიბერალიზმსა და ოპორტიუნისტულ ოპოზიციასაც კი არ უთანაუგრძნობდა ტოლსტოი, რომელსაც მეთაურობდა საზღვარგარეთ ა. ი. გერცენი და მისი „კოლოკოლი“, ტოლსტოისათვის ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობა, მიმართული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მიუღებელი იყო.

ასეთი სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის ნიადაგზე იდგა ტოლსტოი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში; იგი გაუღწეველი იყო თავად-აზნაურული იდეოლოგიით და მისი მხატვრული პროდუქციაც იმავე იდეოლოგიურს საფუძვლებზე იყო აგებული. 1865 წ. კერძო წერილში ტოლსტოი სწერდა; „ხელოვნების მიზნები შეუთანხმებელი არის სოციალურ მიზნებთან. ხელოვნის მიზანი იმაში კი არ არის, რომ უდავოდ გადასწყვიტოს საკითხები, არამედ

⁵⁾ იქვე გვ. 112.

იმაში, რომ შეაყვაროს ცხოვრება თავის უამრავ, ამოუწურავ მოვლენებით“ ტოლსტოიც პირნათლად და გენიალურად ემსახურებოდა ამ მიზანს: იგი აყვარებდა საზოგადოებას იმ ცხოვრების ძირითად საფუძველს, რომელიც მემამულეთა ბატონობაში გამოიხატებოდა. სრულ სიმართლეს სწერდა 1871 წ. თ. დოსტოევსკი ერთ თავის კერძო წერილში: „უნდა იცოდეთ, რომ ეს სულ მემამულეთა ლიტერატურაა. მან სთქვა ყოველივე რის თქმაც შეეძლო (რასაკვირველია, საუცხოვოა ლევ ტოლსტოის ნაწერები) მაგრამ ეს უაღრესად მემამულეთა უკანასკნელი სიტყვა იყო. ახალი სიტყვა, მემამულეთა სიტყვის შემცვლელი, ჯერ არ თქმულა და ნაადრევიცაა“.

მაგრამ თ. დოსტოევსკი მაინც სცდებოდა: ახალი სიტყვა უკვე ნათქვამი იყო; იგი უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაიმეორა იმავე ტოლსტოიმ 80-ის წლებში, როდესაც ტოლსტოის მსოფლმხედველობამ განიცადა ძირითადი გარდატეხა.

„ჩვენი წრის—მდიდართა, მეცნიერების—ცხოვრება—არამც თუ საზიზღარია ჩემთვის, არამედ მან დაჰკარგა ყოველივე აზრი,—სწერს ტოლსტოი.—მთელი ჩვენი მოქმედება, მსჯელობა, მეცნიერება—ყოველივე ეს ჩემს წინაშე წარმოსდგა ახალი მნიშვნელობით. მე შევიგნე, რომ ყოველივე ეს იყო ფუფუნება, მასში აზრის ძებნა შეუძლებელია. მთელი მშრომელი მასის ცხოვრება, მთელი მშრომელი კაცობრიობა, რომელიც ქმნის ცხოვრებას, ჩემს წინ გადაიშალა თავისი ნამდვილი მნიშვნელობით. მე შევიგნე, რომ ეს ნამდვილი ცხოვრებაა და აზრი გამართლებული ამ ცხოვრებით—არის ჭეშმარიტება და მე მივიღე ეს ცხოვრება“⁶⁾.

ამ „აღსარებაში“ ტოლსტოი ნათლად გამოსთქვამს თავის ახალ მსოფლმხედველობის ძირითად დებულებებს: ერთის მხრივ იგი უარყოფს ძველს არისტოკრატიულს შეხედულებებსა და თვით წარჩინებულ წოდებას: მას აღარ მოსწონს ის წრე, რომელშიაც აღიზარდა და რომლის იდეოლოგიც იგი იყო. უფრო მეტი, ტოლსტოი ზიზღით უცქერის თავის წარსულსაც და არისტოკრატიულ ცხოვრებასაც; მეორეს მხრივ ტოლსტოი გადადის მშრომელი გლეხობის თვალსაზრისზე და ამ მშრომელთა მასებში ხედავს ცხოვრების აზრსა და ჭეშმარიტებას. ამრიგად ლ. ტოლსტოი მემამულის იდეოლოგიიდან გადადის გლეხურ იდეოლოგიაზე; ძველი არისტოკრატი და მემამულე იცვლის არა მარტო თავის მსოფლმხედველობას, არამედ მუდმივად იმის ცდაშია შესცვალოს თავისი პირადი

⁶⁾ Л. Толстой: т. XV, гл. 37.

ცხოვრებაც და ნამდვილი გლეხი გახდეს, გაგლეხდეს, თავის ახალ მსოფლმხედველობას შეუფარდოს თავისი პირადი ცხოვრებაც.*)

კითხვა იბადება: სად უნდა ვეძიოთ ტოლსტოის აზროვნების ასეთი ცვლილებების მიზეზები; რამ გამოიწვია ამ დიდი მხატვრისა და დიდი არისტოკრატის მსოფლმხედველობის კრიზისი და მისი გადასვლა მოწინააღმდეგე წოდების თვალსაზრისზე.

ტოლსტოიში განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში. იგი იმ ტიპის მოაზროვნეთ უნდა მივაკუთვნოთ, რომელნიც ნ. კ. მიხაილოვსკიმ „მონანიებელ აზნაურების“ სახელწოდებით მონათლა. მაგრამ ტოლსტოიმ თავისებურად განიცადა ეს „მონანიება“ და თავისებურს ფორმებში გამოხატა იგი. აქედან წარმოსდგა ტოლსტოის მოძღვრების თავისებურობაც.

ტოლსტოის ახალი მოძღვრების წარმოშობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლები უნდა ვეძიოთ, ერთის მხრივ რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაში, ხოლო მეორეს მხრივ, იმ ღრმა სოციალურ-კლასიურ ცვლილებებში, რომელიც გამოიწვია კაპიტალიზმის განვითარებამ, უწინარეს ყოვლისა კი მემამულეთა პატრიარქალურ ცხოვრების დარღვევაში. ტოლსტოი მტკიცედ იდგა პატრიარქალურ-არისტოკრატიულ აზროვნების ნიადაგზე და ამ პრინციპის თანახმად ცდილობდა იგი თავისი პირადი ცხოვრების მოწყობასაც. მაგრამ რუსეთის ახალმა სამეურნეო განვითარებამ, კაპიტალისტური ეკონომიკის შემოჭრამ რუსეთის მოდუნებულ ცხოვრებაში მეტისმეტად ღრმა მნიშვნელობის სოციალური პროცესები გამოიწვია. მან დაშალა ნატურალური მეურნეობის ფორმები, დაარღვია ძველი პატრიარქალური ურთიერთობა, დასცა ეკონომიურად თავადაზნაურობა და ახალი სოციალური წრე წამოაყენა ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად. მანვე გაანადგურა გლეხობა და სააშკარა-ოზე გამოიტანა ის წინააღმდეგობანი, რომელიც ახასიათებს საერთოდ კაპიტალისტურ საზოგადოებას. ახალმა ცხოვრებამ უკვე მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისიდან დაუნდობლად დაარღვია პატრიარქალურ ბატონყმური წყობილების საფუძვლები და მოსპო მემამულის დამოუკიდებლობის ეკონომიური არსებობა. აქედან ერთის მხრივ ეკონომიური კრიზისი პატრიარქალური მეურნეობისა, მეორეს მხრივ თავადაზნაურული იდეოლოგიის კრიზისიც. ეკონომიურსა და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ გამოიწვია ძველი პატრიარქა-

*) Н. Бирюков. „Биография Л. Н. Толстого“ т. II გვ 169—226.

ლური იდეოლოგიის კრიზისი, ახალი ძიება და მსოფმხედველობა. ამ მემამულეთა ახალი თაობა 1825 წ. აჯანყებამდე მოვიდა (დეკაბრი-სტები), შემდეგი თაობა საფუძვლებს უყრის ნაროდნიკულ აზროვნე-ბასა (გერცენი) და თავადაზნაურულ ლიბერალიზმს (ტურგენიევი).⁷⁾ უფრო უახლოესი თაობა 70-ინ წლებში გლეხური რევოლუციის გზას დაადგა: გლეხურად გამოწყობილი „ხალხში გავიდა“ გლეხობის ასაჯანყებლად არსებულ წყობილების წინააღმდეგ. ტოლ-სტოი პირველ პერიოდში კონსერვატულ მემამულეთა ბანაკში მოხვ-და: მან მოიწადინა ახალ საზოგადოებრივ და სამეურნეო პირობებ-ში უცვლელად შეენარჩუნებია ძველი თავად-აზნაურული პატრიარ-ქალური ცხოვრება, იგი პრაქტიკულად შეეცადა დაეცვა თავისი ეკო-ნომიური სიძლიერე და დამოკიდებულობა; მაგრამ ახალმა ეპოქამ იგი გაანადგურა და თავადაზნაურობის სამეურნეო ცხოვრებას ძირი გამოუთხარა. ტოლსტოიც მემამულის პატრიარქალურ იდეალიდან პატრიარქალური გლეხობის ნიადაგზე გადავიდა; უკეთ, ლენინის გა-მოთქმით—ტოლსტოი-ბეზუხოვი გადადის ტოლსტოი-კარატაევის „მსოფმხედველობაზე“.

ტოლსტოის მოღვაწეობის ეპოქა მრავალის მხრივ არის შესა-ნიშნავი: თუ ერთის მხრივ კაპიტალისტური ურთიერთობის განვი-თარება ანადგურებდა ძველი წყობილების ნაშთებს რუსეთში, მეო-რეს მხრივ ტოლსტოი მოწამე იყო მთელი რიგი სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებისა: ახალგაზრდობაში მან განი-ცადა 1848 წლის რევოლუციის ქარტეხილები ევროპაში, 60-იანი წლების რევოლუციონური და სოციალისტური აღორძინება რუსეთ-ში, მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური აზროვნების გამოცოც-ხლება ევროპაში, 1871 წლის პარიზის კომუნის სისხლიანი დღეები, 70-იან წლების ნაროდნიკულ-რევოლუციონური მოძრაობა და 80-იანი წლების „ნაროდნაია ვოლიას“ ტერორისტული აქტები: ამ რევოლუცი-ციონურმა ქარტეხილებმა შეარყიეს ტოლსტოის ძველი პატრიარქა-ლური განწყობილება, მსოფმხედველობა და იგიც შეუდგა ახალი აზ-როვნების შემუშავებას.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებამ არა მარტო მემამულეთა წოდება დასცა, არამედ მან ძირიანად შეარყია ძველი პატრიარქა-ლური გლეხის-კარატაევის ცხოვრებაც და გადააქცია იგი უმიწაწყ-ლო პროლეტარად; ინდუსტრიისა და ქალაქური ცხოვრების განვი-თარებამ, ბოგანო, გალატაკებული მასების წარმოშობამ ნათლად დაა-

7) Л. Аксельрод „Л. Н. Толстой“ 1922 г.

ნახვეს ტოლსტოის თანამედროვე ცხოვრების უკულმართობანი. თავის შესანიშნავ წერილში „Так, что же нам делать“ (1886 წ.). ტოლსტოი სწერდა:

„მე მთელი ჩემი ცხოვრება ქალაქს გარეთ ვავატარე; როდესაც 81 წელში მოსკოვში გადავედი საცხოვრებლად, მე განმაცვიფრა ქალაქის ლატაკთა ცხოვრებამ; მე ვიცნობდი სოფლის სიღარიბეს, მაგრამ ქალაქის სიღარიბე ჩემთვის სრულიად ახალი და გაუგებარი იყო“. ქალაქურის ცხოვრების გაცნობამ, მისი გალატაკებული ფენების მდგომარეობის დანახვამ ტოლსტოი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. „ქალაქის (მცხოვრებთა) სიღარიბე — განაგრძნობს ტოლსტოი, — იყო ნაკლებად სამართლიანი, მეტად დიდი და მეტად სასტიკი, ვინემ სოფლის სიღარიბე. და რაც უმთავრესია, ეს სიღარიბე ერთადგილას იყო ისე ბლომად თავმოყრილი, რომ მან ჩემზე მოახდინა მეტად მძიმე შთაბეჭდილება. ლიაპინსკის სახლში ჩემ მიერ განცდილმა შთაბეჭდილებამ პირველადვე მაგრძნობინა ჩემი ცხოვრების სისაძაგლე“.

მოყვანილი ციტატა ნათლად ააშკარავებს ტოლსტოის ახალ მოძღვრების სოციალურ წყაროს: მან დაკარგა რწმენა ძველი წოდების სიძლიერესა და სამართლიანობაში, ეს წოდება დაეცა და ტოლსტოის ნიადაგი გამოეცალა ქვემოდან. „აღსარებაში“ ტოლსტოი პირდაპირ სწერდა: „მე ვიგრძენი რომ ის, რაზედაც ვიდექი, დაიმსხვრა, რომ მე დგომა აღარაფერზე აღარ შემოძლია, რომ ის, რითაც მე ვცხოვრობდი, უკვე აღარ არის, რომ მე ცხოვრების შესაძლებლობა აღარ მაქვს“. ⁸⁾ განა ეს ციტატა გარკვევით არ ამბობს იმ სულიერ ტრაგედიის წყაროს შესახებ, რომელიც განიცადა დიდმა მწერალმა და დიდმა მოაზროვნემ „დასადგომ საფუძვლების დამსხვრევის“ ზეგავლენით? ტოლსტოიმ იგრძნო ეს დამსხვრევის პროცესები ყველაზე გვიან, მაგრამ ყველაზე მძლავრად: მან უკუაგდო იგი და ახალი ცხოვრების საფუძვლებისა და ფორმების ძებნას შეუდგა, საზოგადოებრივი წყობილების ახალ ნიადაგზე ჩამოყალიბება მოინდომა და ტოლსტოის გაახსენდა მაგარი გლეხი კარატაევი, და ამ თავის მოწინააღმდეგე სოციალურ ფენაში ეძებს ტოლსტოი ახალი ცხოვრების შემქნელ ძალას. მაგრამ ტოლსტოის ახალი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ეს გლეხური ცხოვრებაც უკვე დაერღვია კაპიტალიზმის ძლევამოსილ განვითარებას და კარატაევიები უმიწაწყლო პროლეტარებად გადაექცია. ტოლსტოი გადადის რა

⁸⁾ ტოლსტოი ტ. XV გვ. 113.

გლახურ იდეოლოგიაზე, ითვისებს ამ კლასის მსოფლმხედველობას და მისი საზომით სჭვრეტს ყოველივე მოვლენას: პატრიარქალურ მემკვიდრეობიდან იგი პატრიარქალურ გლახის თვალსაზრისზე გადადის. ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს კაპიტალისტურ განვითარებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებს; იგი ცდილობს გადაარჩინოს გლახი განადგურებას და უზრუნველყოს მისი ეკონომიური დამოკიდებულება. აქ სჩანს ტოლსტოის ახალი მოძღვრების პროგრესიული და კონსერვატიული მხარეები, მაგრამ ამაზე ქვევით.

აღსანიშნავი არის ის ისტორიული ფაქტი, რომ ტოლსტოის საუკეთესო მეგობრად გახდენ კომუნისტი-გლახები სიუტაევი და ბონდარიოვი, რომელთაც ტოლსტოი თავის მასწავლებლად სთვლიდა. ამ პირებმა ნათლად შეიგნეს მთელი მაშინდელი წყობილების სისაძაგლე და უარყოფითი მხარეები და ტოლსტოის აზროვნების შემუშავებაზედაც დიდი გავლენა მოახდინეს. ზემოდ დასახელებულ წერილში ტოლსტოი სწერდა: „მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ორმა რუსმა მოაზროვნემ მოახდინა ჩეაზე დიდი გავლენა, გაანაყოფიერეს ჩემი აზროვნება და ნათელყვეს ჩემი მსოფლმხედველობა. ეს პირები იყვენ რუსეთის არა პოეტები, მეცნიერები, მქადაგებელნი-ესენი იყო ორი შესანიშნავი პიროვნება, რომელნიც მთელი თავიანთი ცხოვრებას ატანებდენ გლახურ მუშაობაში: სიუტაევი და ბონდარიოვი“).

ასე შეითვისა ტოლსტოიმ გლახური აზროვნება და გახდა წვრილბურჟუაზიის იდეოლოგი.

როგორც ზევით ვსთქვით, ტოლსტოი ზემოთაღნიშნულ ეტაპს წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებაში. ტოლსტოიზმს აუცილებლად აქვს ნათესაური კავშირი ნაროდნიკულ იდეოლოგიასთან, წვრილ-ბურჟუაზიული გლახური საშო ამ ორი მოძღვრებისა ნათესავურ-იდუურ დამოკიდებულებას ამყარებს მათ შორის: კაპიტალიზმის კრიტიკა გლახური საზომით, გლახური შრომის გაღმერთება და თემური წყობილებისადმი ქედის მოხრა არის ის საკითხები, რომელიც ტოლსტოიზმსა და ნაროდნიზმს ანათესავებენ¹⁰⁾.

9) ტოლსტოი — ტ XIII. „Так что же нам делать“.

10) ლ. აქსელროდი ფიქრობს, რომ „არსებითად ტოლსტოი წარმოადგენს ნაროდნიკების დადებით იდეალების პრინციპიულ მოწინააღმდეგეს მაგრამ ეს არ არის სწორი. ნაროდნიკობა არის სოციალური სისტემა, რომელიც ერთი მომენტით არ ამოიწურება; მეორე ის, რომ თვით ნაროდნიკობაში მრავალგვარი მიმდინარეობა ი.ე. თვით აქსელროდი არ უარყოფს ნაროდნიკების გავლენას ლ. ტოლსტოიზე. თუ ტოლსტოი არ ეთანამება ნაროდნიკული სისტემის მომავალ იდე-

აღსანიშნავია აგრეთვე ტოლსტოიზმის და ნაროდნიზმის ნათესაობა ხალხთან დაახლოვების, ხალხში გასვლისა და „ხალხური ცხოვრებისაკენ“ მისწრაფებით; როგორც 70-იანი წლის დასაწყისში ინტელიგენციამ მოინანია რა თავისი ცოდვები და ხალხში ჩასახლდა, ისე ტოლსტოიც შეეცადა გლეხური ცხოვრების წარმოებას, გაგლეხებას, გრაფის ცხოვრებიდან გლეხურ ცხოვრებაზე გადასვლას. მეორეს მხრივ ტოლსტოიზმი უკანასკნელ ეტაპად, რგოლად უნდა ჩაითვალოს 70-იან წლების ნაროდნიკულ მოძრაობის განვითარებაში; რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში ვიღებთ ისტორიულ-საზოგადოებრივ მომენტსაც და არა მხოლოდ იდეურს ნათესაობას. 70-იან წლების ნაროდნიკულ მოძრაობას სამი უმთავრესი ეტაპი აქვს: პირველ პერიოდში ლავრიზმის ზეგავლენით ინტელიგენცია „ხალხში გასვლითა“ და პროპაგანდით ცდილობდა სოციალურ რევოლუციის მოხდენას; მეორე პერიოდში ბაკუნიზმის თეორიის ზეგავლენით „მოქმედებითი აგიტაციით“, ბუნტის ტაქტიკით ცდილობდა არსებულ წყობილების დარღვევას; მესამე პერიოდში ტკაჩოვიზმმა გაიმარჯვა, როდესაც „ნაროდნაია ვოლია“-ს პარტია ბომბებით, დინამიტებითა და ტერორით ახდენდა თავდასხმას თვითმპყრობელობაზე; მაგრამ ეს ტაქტიკაც დამარცხდა, ალექსანდრე მე-III-ის რეაქციამ გაანადგურა რევოლუციონური ნაროდნიკობა; უკეთ, უკანასკნელის ტაქტიკა სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა ცარიზმთან საბრძოლველად: ვერც პროპაგანდამ, ვერც „საქმით აგიტაციამ“, ვერც ტერორმა ვერ მიაღწია თავის მიზანს. ისტორიულ საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით ტოლსტოიზმი იყო შემდეგი მეოთხე ეტაპი ამ ბრძოლისა; ეტაპი, რომელიც რეაქციას წარმოადგენდა რევოლუციონური მეთოდის საწინააღმდეგოდ. ტოლსტოიზმი გამოხატავდა იმ სულიერად დაცემას, პესიმიზმსა და სასოწარკვეთილებას, რომელმაც შეიპყრო რუსეთის საზოგადოება, „ნაროდნაია ვოლია“-ს დამარცხების შემდეგ; ტოლსტოიმ აღიარა არა ტერორითა რევოლუციის მეთოდით ცხოვრების განახლება, არამედ მშვიდობიანი შინაგანი სულიერი გარდატეხითა და ამაღლებით; არა ბრძოლით ბოროტების აღმოფხვრა არამედ განზე გადგომით, „Непротивлением злу“. ასეთი ფილოსოფია და ტაქტიკა თითქოს შეესაბამე-

ალების ფორმებს, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ ამ სისტემის პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო. თვით ნ. მიხაილოვსკიც კი სწერდა: „Только за точку зрения гр. Толстого я и стаю“ (Соч. т III გვ. 459) არ არის შემთხვევითი მოვლენა, რომ ნაროდნიკს ნ. მიხაილოვსკის არ ეთაკილებოდა ტოლსტოის თვალსაზრისზე დგომა.

ბოდა იმ სულიერ განწყობილებას, რომელმაც შეიპყრო რუსეთის საზოგადოება რევოლუციონური მოძრაობის დამარცხების შემდეგ, რეაქციის პერიოდში (80-იან წლებში) ტოლსტოის ფილოსოფია ეპოქის განწყობილებას შეესაბამებოდა: რევოლუციითა და ტერორით კი ვერ ვიხსნით თავს ბოროტებისაგან, არამედ შინაგანი გარდაქმნის გზით და სხვა. ამით აიხსნება ტოლსტოიზმის გავლენის სწრაფი ზრდა რუსეთში 80-90-იან წლებში. მაგრამ თავისი ისტორიულ საზოგადოებრივი მნიშვნელობით ტოლსტოიზმი უკვე რეაქცია იყო მიმართული რევოლუციონური მეთოდის წინააღმდეგ. ამ მხრივ ტოლსტოიზმს მეტად სამწუხარო როლი ხვდა რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების განვითარების ისტორიაში.



თეატრალური მოსკოვის გამოყენება.

(წინადადების სახით)

მოსკოვი მსოფლიო თეატრალური კულტურის ცენტრია. მოსკოვში მოდიან თეატრალური კულტურის შესწავლის მიზნით ევროპიდან და ამერიკიდან. მოსკოვის თეატრების გავლენის ქვეშა სდგას საბჭოთა თეატრები. ქართული თეატრიც როგორც ძველად, ისე ეხლაც, მოსკოვში აღზრდილ და ზოგი მოსკოვში გამარჯვებულ რეჟისორების ხელმძღვანელობის ქვეშ ვითარდებოდა და ვითარდება.

დღემდე ჩვენი თეატრი იღებდა მოსკოვიდან მხოლოდ რეჟისორებს. რეჟისორები ადგილობრივად სცდილობდნენ მსახიობთა გაწვრთნას. მსახიობზე მუშაობა ხდებოდა და ხდება თვით თეატრში, გარკვეული წარმოდგენის ჩატარების მიზნით. გამონაკლისის სახით იყო ორი ცდა (ჯაბადარისა და ფალაკას ხელმძღვანელობით არსებული სტუდიები). რომლებიც მიზნად ისახავდნენ მსახიობთა გაწვრთნას. მაგრამ ორივე ცდა ბოლომდე ვერ იქნა გატარებული.

მოსკოვში ქართული სტუდიის შექმნა მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავდა თეატრალური მოსკოვის გამოყენებას ქართველი მსახიობის აღზრდის საქმეში. მაგრამ მჭედლიშვილის უდროვო გარდაცვალების გამო, ეს ცდაც ვერ იქნა დასრულებული.

სამივე წამოწყებამ უეჭველათ მოგვცა ერთგვარი სარგებლობა. დღეს თეატრში მომუშავე ახალგაზრდა ძალები უმთავრესად წარმოადგენენ რომელიმე ამ სამ წამოწყებაში ნამუშევარ რეჟისორებს თუ მსახიობებს. მაგრამ საერთოდ, ჩვენს თეატრს აქვს დიდი ნაკლი, მასში არ არის ერთი სისტემითა და მეთოდით აღზრდილი მსახიობები. ზოგჯერ ჩვენს საუკეთესო დადგმებში, ზოგჯერ კი არა, ყოველთვისაც, ადგილი აქვს არტისტიულ შემოქმედების მხრით ყოველად დაუშვებელ მოვლენებს, ერთსა და იმავე წარმოდგენაში ხვდება სულ სხვადასხვა „ენაზე“ მოლაპარაკე მსახიობები.

ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ დიდ მიღწევას ქართულ თეატრში, რომელიც არ იყო დაფლეთილი მსახიობთა შემოქმედების სკოლური თუ „უსკოლო“ სხვადასხვაობით. შესანიშნავი წარმოდგე-

ნა, ერთ სცენას მაინც დაიტევს, რომელიც „ჩაგამწარებთ“ მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს ხდება იმიტომ რომ ერთსა და იმავე თეატრში შეგროვილია ან მსახიობური დახელოვნების გარეშე მდგომი ძალები, ან უკეთეს შემთხვევაში, სხვადასხვა სკოლური აღზრდის მსახიობები, რომლებიც მოკლებული არიან საშუალებას შექმნან ერთი მხატვრული ფაქტი, როგორც მთლიანი ნაწარმოები.

ჩვენ შევეჩვიეთ ამ მოვლენას და ველარ ვგრძნობთ მის უარყოფით მხარეებს. კორედჟოს შემოქმედებაში რომ პიკასოს ხაზები აურიოთ, ან ბოტიჩელის სურათში გუდიაშვილს უყურო სახეები შევამჩნიოთ საპროტესტო ყვირილით ქვეყანას შევძრავთ, მაგრამ თეატრში როცა ერთ წარმოდგენაში ენათა აღრევაა, ჩვენ ვსდუმვართ, — თითქო ეს თეატრალურ შემოქმედებაში ბუნებრივი და კანონიერი მოვლენა იყოს.

რატომ ხდება ჩვენს თეატრში ენათა აღრევა?

იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს სათეატრო განათლება, იმიტომ რომ ჩვენ არ გვყოფნის მოთმინება წლობით ვიმუშაოთ თეატრალური ძალების აღზრდისთვის. სეზონის ჩამტარებელი რეჟისორები ვერ შესძლებენ ამ პედაგოგიური როლის შესრულებას.

დიდი ხელოვანის განუწყვეტელი მუშაობა მსახიობებზე, წლების განმავლობაში, კიდევ შესძლებს ამ ნაკლის ნაწილობრივ დაძლევას, მაგრამ ჩვენში სად გაგონილა წლობით ვისმეს მიეცეს საშუალება იმუშაოს მსახიობებზე. სამხატვრო თეატრის რეორგანიზაცია რომ ჩატარებულიყო ყოველ ორ-სამ წელში, არ იქნებოდა სამხატვრო თეატრი. და განა მართო სამხატვრო თეატრი? არ იქნებოდა ვახტანგოვის სახელობის თეატრი, მეიერხოლდის სახელობის თეატრი, საკამერო თეატრი, გერმანეთში რეინჰარდის თეატრი და სხ. და სხ.

ამ მხრივაც ჩვენში, თეატრების ცვალებადი შემადგენლობის გამო, არ არის შესაძლებლობა მივალწიოთ გარკვეულ მთლიან თეატრს. ერთის ნაშენებს მეორე ანგრევს, ერთის აღზრდილის გადაკეთებაზე მეორე ზრუნავს, სკოლურ მიმართულებათა ჭიდილს ერთ თეატრში, ერთვის რეჟისორთა პიროვნული შემოქმედების ხასიათი, საკუთარი სისტემის შექმნის ცდები და სხ. ყოველივე ეს ხელს უწყობს ისედაც დაფლეთილი სცენა დააქუცმაცოს, დააკნინოს მსახიობს დაუკარგოს თავის ადგილი, გახადოს ის რეჟისორის შემოქმედების უვარგის და მეორე მნიშვნელობის მქონე მასალათ.

სად არის გამოსავალი?

ვფიქრობთ, თეატრალური მოსკოვის გამოყენებაში. ჩვენის მხრით ბოროტმოქმედებას უდრის არ გამოვიყენოთ ის ბუმბერაზული

თეატრალური კულტურა, რომელიც არის კავშირის ცენტრში. ჩვენს გარდა, ყოველი ქვეყანა იყენებს ამ კულტურას. ევროპიდან და ამერიკიდან ისწრაფვიან, რომ მოსკოვში ისწავლონ თეატრალური ხელოვნება. კავშირის ყოველი ერი სცდილობს გამოიყენოს მოსკოვი, როგორც სათეატრო ხელოვნების მასწავლებელი. მოსკოვში აქვს სტუდია ბელორუსებს, უკრაინელებს, სომხებს, უზბეკისტანს. იხარჯება დიდი თანხები, ენერგია, ყურადღება, რომ გამოიყენონ მოსკოვის თეატრალური კულტურა, ეროვნულ თეატრის აღორძინების—დარგში.

რატომ არ ვიყენებთ ჩვენ მოსკოვს? ან იმიტომ, რომ ჩვენ მას გავასწარით და ის ჩვენს მასწავლებლათ არ გამოდგება. ან იმიტომ, რომ გვაკლია ინიციატივა, თაოსნობა, შეგნება, რომ დავაყენოთ საკითხი მოსკოვის თეატრალურ-კულტურის გამოყენების შესახებ, მოვაგვაროთ ეს საქმე პრაქტიკულათ.

მართალია, ზოგიერთი ჩვენი დადგმები დიდ სიმაღლეებს ახწვენ. ჩვენი თეატრი გასაბჭოების შემდეგ დიდად გაიზარდა, მაგრამ მსახიობთა აღზრდის კულტურის მხრით ჯერ არ არის ისეთი მთლიანი კოლექტივი, რომელიც მტკიცე საფუძველს უქმნიდეს ამა თუ იმ თეატრის აღორძინებას.

მსახიობთა სტუდიური წესით აღზრდის საქმეში მოსკოვს არა ჰყავს მეტოქე მსოფლიოში. ამ დარგში ჩვენ, მით უფრო, ვერ გაუწევთ მას შეჯიბრს.

თუ გსურთ აღზარდოთ მსახიობთა ახალი კადრი უნდა გამოიყენოთ მოსკოვი.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვენახა საუკეთესო ფორმა მოსკოვში ჩვენი მსახიობების აღზრდისათვის. ვახტანგოვის სახელობის თეატრთან მივალწიეთ შეთანხმებას, რომელიც სავსებით მისაღებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის. თეატრი თანახმაა მიიღოს თავის სტუდიაში 20-მდე ქართველი ახალგაზრდა, შექმნას ქართული სტუდიური ჯგუფი და ორი წლის განმავლობაში იმუშაოს მასზე იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი მუშაობისათვის თეატრალური კოლექტივი. თეატრი ამ კოლექტივს, გარდა სტუდიური მუშაობის სცენებისა, მისცემს ერთ მთლიან დადგმას. თეატრი ღებულობს მხატვრულ პასუხის მგებლობას ქართულ სტუდიური ჯგუფის მუშაობაზე. აგრეთვე ადმინისტრაციულ-საფინანსო მმართველობას იმ წესდებისა და ბიუჯეტის ფარგლებში, რომელიც ორივე მხარის შეთანხმებით იქნება მიღებული.

რას მოითხოვს თეატრი ჩვენგან? მხოლოდ ჩვენს სტუდიურ—

ჯგუფზე მომუშავე მასწავლებელთა ჰონორარს. თეატრის ინტერესი განისაზღვრება მით, რომ მის პოლიტიკურ—საზოგადოებრივ მუშაობაში, რომელსაც მისგან მოიხივებს ხელისუფლება და საზოგადოებრიობა, მათთვის ყველაზე უფრო მისაღებია, შექმნან საქართველოსთვის საკუთარი თეატრის მგზავსი თეატრი, ვიდრე გასწიონ სხვა შემთხვევითი მუშაობა.

ვახტანგოვის სახელობის თეატრთან ჩვენს შეთანხმებას აქვს მთელი რიგი დადებითი მხარეები:

1. ვახტანგოვის სახელობის თეატრი წარმოადგენს მემარცხენე თეატრს, დიდი არტისტიული კულტურით დატვირთულს. თეატრი როგორც მოსკოვში და კავშირში, ისე უცხოეთშიც (მისი გასტროლები პარიზში გასულ წელს) სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და მხატვრული წონით. ამავე დროს ეს თეატრი არ წარმოადგენს რაიმე ცალმხრივ გადახრის თეატრს, როგორც საკამერო, ან მეირხოლდის სახელობის თეატრი, რომლის მგზავს თეატრს საქართველოში შეიძლება არ ექნეს სათანადო ნიადაგი. ვახტანგოვის სახელობის თეატრი აერთებს ისეთ პოლიუსებს, როგორც არის „ტურანდოტი“ და „რღვევა“, ან „სისხლზე“. ჩვენს პირობებშიც, აუდიტორიის სიმცირის გამო თეატრს უეჭველად დასჭირდება ფართო და მრავალმხრივი რეპერტუარი. ამ მხრივაც ვახტანგოვის სახელობის თეატრის მუშაობა, ქართული თეატრალური კოლექტივის ჩამოყალიბებაზე, უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე რომელიმე სხვა თეატრის—გამოყენება ამ მიზნით.

2. ვახტანგოვის სახელობის თეატრის პასუხისმგებლობა ქართული სტუდიური ჯგუფის მუშაობაზე, ამ თეატრის მუშაკების უშუალო ხელმძღვანელობა წარმოადგენს მეტად სერიოზულსა და მტკიცე გარანტიას იმისთვის, რომ მუშაობის შედეგები იქნება სავსებით დამაკმაყოფილებელი. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვერც ადგილობრივ და ვერც მოსკოვში, ჩვენ ვერ შევძლებთ დამოუკიდებლად ისეთი სერიოზული სტუდიის შექმნას, ისეთი სპეციალისტების მოწვევას, სტუდიისათვის როგორც არის ვახტანგოვის სახელობის თეატრის სტუდია თავისი მუშაკებით.

მაშასადამე, ვახტანგოვის სახელობის თეატრთან კავშირი სავსებით უზრუნველყოფს ქართული სტუდიური ჯგუფის მხატვრული სიმაღლით მომზადებას.

3. მოსკოვში ქართული სტუდიური ჯგუფის მუშაობა საშუალებას მისცემს ამ ჯგუფს, რომ ის გაეცნოს არა მარტო ვახტანგოვლების მუშაობას, არამედ მთელი მოსკოვის თეატრალურ კულტურ-

რას. ამ მხრივაც ჩვენს სტუდიურ ჯგუფს ექნება დიდი უპირატესობა. მოსკოვში მუშაობით ის მიიღებს დიდ გამოცდილებას, გაეცნობა თეატრალური მუშაობის საკითხებს, გამოიმუშავეს თავის ზოგად კულტურულ-თეატრალურ ფიზიონომიას.

4. ვახტანგოველების მუშაობასთან დაკავშირებით ჩვენს სტუდიურ ჯგუფზე იმუშავეს რამოდენიმე (ორი ან სამი) ქართველი რეჟისორი—პედაგოგები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ქართული თეატრის სპეციფიურ საგნებს (ქართული ენის დიქცია, ქართული თეატრის ისტორია, ქართული ლიტერატურა და სხ.)

ამ მიმართულებით მუშაობა სავსებით უზრუნველყოფს ქართული თეატრისათვის გამოსადეგი მსახიობების აღზრდას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესანიშნავი ებრაული თეატრი „გაბიმა“ შეიქნა ვახტანგოვისა და მჭედლიშვილის დადგმებით, რომლებმაც არც ერთი სიტყვა არ იცოდენ ებრაული ენის. ქართულ სტუდიურ ჯგუფს, გარდა საერთო საგნებისა, ექნება სპეციალური საგნებიც ქართული თეატრის თავისებურობასთან დაკავშირებით. ამით მოხსნილი იქნება ყოველგვარი საშიშროება ქართული სტუდიური ჯგუფის „გადაგვარების“ შესახებ.

5. ვახტანგოველები მოამზადებენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის თეატრალურ კოლექტივს. როგორ შესძლებს შემდეგ ის არსებობას და ვინ გაუწევს მას ხელმძღვანელობას? საჭირო იქნება თუ არა ამ ჯგუფის წევრთა დანაწილება არსებულ ქართულ თეატრთა შორის? ვფიქრობ ამ ჯგუფის მუშაობას მხოლოდ მაშინ ექნება მნიშვნელობა თუ ის შესძლებს მთლიანი თეატრალური სახის შენარჩუნებას. ამ კოლექტივის ხელმძღვანელებათ გამოდგება ის ახალგაზრდა ქართველი რეჟისორები, რომლებიც დღეს მუშაობენ მოსკოვის სხვადასხვა თეატრებში, რომლებსაც აქვთ საკმაო კულტურა, უნარი და სურვილიც იმუშაონ ვახტანგოველებთან ერთად ქართული სტუდიური ჯგუფის მოსამზადებლათ. ამას გარდა, თვით ჯგუფში, მუშაობის პროცესში, უეჭველად გამოიყოფა სარეჟისორო ძალები, რომლებიც თავის მუშაობას წამართავენ სარეჟისორო ცოდნის შეძენისაკენ.

როგორც ვხედავთ, მეტად ხელსაყრელი პირობები გვაქვს, რომ ქართველ მსახიობთა ახალი კადრი მოვამზადოთ დიდი მხატვრული თეატრის პასუხისმგებლობითა და ხელმძღვანელობით. თვით თეატრის გასამრჯელო წარმოადგენს დაახლოებით თვეში 450 მანეთს, რაც უდრის სტუდიურ ჯგუფზე მომუშავეთა ჰონორარს. ადგილობრივ რომ გავხსნათ თეატრალური ტექნიკუმი, ან სტუდია და მოვიწვიოთ თუნდ მხოლოდ ერთი სპეციალისტი მოსკოვიდან. (მოწვევა—

აუცილებელი იქნება, რადგან თეატრალური პედაგოგებით ჩვენ ძალზე ღარიბი ვართ) ერთი სპეციალისტის მოწვევაც კი დაგვიჯდება დაახლოებით ისეთი თანხა, რაც ჩვენ უნდა გავილოთ ვახტანგოველების გასამრჯელოთ, სადაც 12 საუკეთესო სპეციალისტი ეწევა მუშაობას.

განათლების კომისარიატის ხელოვნების მთავარმართველობაში და სხვა სათანადო ორგანოებში წარდგენილია დაწვრილებითი გეგმა ქართულ სტუდიური ჯგუფის შესაძლებელი მუშაობის შესახებ ვახტანგოვის თეატრთან. ვფიქრობ ეს საკითხი ღირსია, რომ მის ირგვლივ გაიმართოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა როგორც თეატრალური დარგის მოღვაწეთა, ისე მწერალთა შორისაც.

თუ ჩვენ შევძლებთ ამ საქმის მოგვარებას, უკვე შეგვიძლია— შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას და სექტემბრიდან ვახტანგოვის სახელობის თეატრის სტუდიაში ჩამოვაყალიბოთ ქართული სტუდიური ჯგუფი.

— : —

უახლოესი გერმანული ლიტერატურა.

ამ თაობას სხვა ვერაფრით დაუქადნია, თუ არ თავისი ახალგაზრდობის კულტით. როცა ახალგაზრდობა თავის ახალგაზრდობით ყოყლოჩინობს, ეს აშკარად ძველი თაობის მნიშვნელობის დაქვეითებას მოასწავებს. ახალ-გაზრდობის იმედი ეს არის გაკოტრებული და თავის ხვედრისადმი დაქვემდებარებული თაობის ერთად ერთი ხელმოსაჭიდი. ამას ამბობს მწერალი ბელა ბალაშ დღევანდელი გერმანიის ლიტერატურის ხელმძღვანელობის შესახებ. (იხ. Weltbühne).

ეს ტენდენცია ეტყობათ ისეთ დიდ გამომცემლებსაც, როგორცაა ს. ფიშერი და ფ. რეველაში. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან ახალ მწერლებს.

ხოლო ცნობილი მწერლები მაგ. ვერფელი და შპაიერ პროპაგანდას ეწევიან ახალგაზრდა ლიტერატორების და დამწყები მწერლების სასარგებლოდ. მწერალი ვ. ჰაიზე ათავეს მთელს სერიებს წერილებისას, ახალთაობისადმი მიძღვნილს.

უნდა ითქვას, ბელა ბალაში მაინც ვერ ეხება საქმის არსებით მხარეს.

იგივე ავტორი განმარტავს: ახალი თაობის ოპოზიციონური განწყობილება არა ბუნებრივია, მაგრამ იგი ასე თუ ისე სოციალური ხასიათის კონფლიქტს უნდა მიეწეროსო.

ამგვარი მტკიცება მით უფრო საყურადღებოა, რომ ზოგიერთ წრეებში ხელმეორედ სცადეს მწერლების კრიტიკულ-ლიტერატურული შეთვისების დროს დიდი მნიშვნელობა მიერწყოთ თაობრივი განსხვავებისა და ლიტერატურული დაჯგუფების და ფრონტების საკითხებისათვის.

ამგვარი ცდების მიზანი ხელისგულივით ნათელია: ამ კრიტიკოსებს სწადიათ გონება დაუბნელონ მათ, ვინც ლიტერატურული სხვაობის მთავარ ღერძად კლასობრივ შეგნებას ასახელებს.

ჟურნალ „Literarische Welt“—ახდენს ანკეტას ახალ თაობაში: „რა საყვედური გვეთქმის ჩვენ ახალგაზრდებს მოზრდილების მიმართ?“

ამ საკითხზე პასუხს იძლევა 20 წ. კაბუკი ვინმე ფელიქს ბრაუნი:

„ის ვინც მხოლოდ წლოვანობის ახალგაზრდობას გრძნობს, თუ უაზროდ აპყვა ახალ თაობაში გადასროლილ სიტყვას, მოჩვენებებთან ბრძოლას მოუხდება სავსებით უსაზმნოს. მათ შეუძლიათ საკუთარი ჟურნალები დააზვიანონ საკუთარ მაღაზიებში, შეუძლიათ თავმჯდომარეები და მდივნები აირჩიონ, შინ ზრდილი პოეტების მთელი ლეგეონი გაიჩინონ, მაგრამ ამ ვაჟბატონების თავში ვერ შევა ის უბრალო აზრი რომელიც დღეს ყოველმა ქარხნის შევირდმაც კარგად იცის.

ფრონტების გამმიჯვნელი ხაზი არსებითად ჰორიზონტალი მიმართების როდია, არამედ ვერტიკალურისა, იგი თაობიდან თაობას სწვდება. შესაძლოა ხნიერ მწერლებში მრავალი იყოს ლაქია, პირმოთნე, გაიძვერა, მატყუარა და შტრეიკბეხერი, მაგრამ ამგვარ ადამიანებს განა ცოტას დავითვლიდით ახალი თაობის წრეშიაც?

ხოლო მოზრდილთა შორის შესაძლოა ბევრი აღმოჩნდეს კარგი ამხანაგი და თანამებრძოლნი.

ამას ვეუბნები მე ოცი წლის ჭაბუკი „ამ უდღეურ ესთეტებს, რომელთაც წამდაუწუმ „თაობა“ აკერიათ პირზე“.

ეს საკმაოდ მკათიო აზრი უცნობი ჭაბუკის ფელიქს ბრაუნისა უფრო ფერმკრთალად გამოთქმულია ჟურნალ „Literarische Welt“-ის ერთ ერთ ნომერში ალფრედ დებლინის მიერ. „როცა ახალი ავტორების ნაწერებს ვფურცლავთ, ძალაუნებურად თავს ვეკითხებით: თუ არის ახალი ტონი ამ ნაწერებში, რა არის აქ ახალი და დამახასიათებელი, ისეთი რამ რაც ძველში არ შეგვხვედრია?“

„ჩვენ ომი განვიცადეთ, ევროპა ძლიერ გამოიცვალა, მაგრამ საინტერესოა ეს ცვლილება მათ ნაწერებში თუ აღიბეჭდა?“

„პასუხი?—თითქმის არაფერი. ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს (ან ცდილობს დაამტკიცოს,) იგი უთუოდ სცდება“. დებლინი უთუოდ მართალია. დღევანდელი გერმანიის ახალი თაობა ვერ არის ახალი სულის მესაყვირე. მაგრამ არც ძველის მესაყვირეა იგი. იგი საერთოდ არარაობას უდრის. არარაობას, ვამბობ, რადგან მას მთლიანობა აკლია, იგი კოლექტიურ შესხეულებას მოკლებულია. იგი დაქსაქსულია და ათასგვარი წინააღმდეგობით დაცარულია მისი ერთობა, ესევე როგორც თანამედროვე ცხოვრება თავად.

ეს გახლავთ მიზეზი იმ უაღრესი წინააღმდეგობისა, რომლითაც სავსეა თანდროული გერმანული ლიტერატურა. ამ წინააღმდეგობათარკალი მოცემულია იმ უამრავ მანიფესტებში, კრიტიკულ წერილებში და საერთოდ მთელ შემოქმედებაში, რომელსაც აცხობს ეს ახალი თაობა თანამედროვე გერმანიისა.

ერთი რამ უდავოა, ყველა ლიტერატურულ დაჯგუფებას, ლი-

ტერატურულ ნაუანებს და ბანაკებს ერთი უეჭველი ატრიბუტი ან-სხვავენს ეს არის თანადროულობისადმი დამოკიდებულება. ერთნი თავიანთ ნაწერებში ჰოს ამბობენ თანამედროვე გერმანიის სოციალურ ყოფაზე, მეორენი უარისყოფით ეკიდებიან მას.

გერმანიის უახლესი ლიტერატურის წარმომადგენელი მსოფლიო ომის დღეებში ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ. მათ იმ ხანებში დიახაც უგრძენიათ მსოფლიო კატაკლიზმების სუსხი, მაგრამ იმ დიდი სოციალური კონფლიქტების შეფასება ჯერ არ შეეძლოთ.

ეს შეფასება შეეძლოთ მათ გვიან მოეცათ, როცა პროლეტარული რევოლუციის ტალღა ყალყზე დადგა მთელ ევროპაში, როცა გააფთრებული კაპიტალიზმი კვლავ შეუდგა წესრიგის დამყარებას.

ბურჟუაზიამ ვალდუტის ინფლაციით ხელი მოითხო, ხოლო ამავე ინფლაციამ უფსკრულის კიდებზე მიაგდო როგორც წვრილი მესაკუთრეები, ისე მუშათა კლასიც.

მერმე ამ ახალმა დრომ ერთნი დააშინა. სინამდვილით დაშინებულნი მისტიციზმში გადაიჭრნენ. მეორენი ამბობდნენ: ბრძოლისკენ ხმოზა დაიწყეს.

ორი ძალა აღიმართა ახალ თაობაში,

ორი ძალა დაუპირდაპირდა ისევ ერთი მეორეს.

ერთნი ღებულობენ თანამედროვე გერმანიის სინამდვილეს ისე როგორც ის არის, მეორენი უარჰყოფენ მას.

ვალაპარაკოთ თვით ამ თაობის წარმომადგენელი.

კლაუს მანი.

„ასე რა თქმა უნდა, რევოლუცია არამც და არამც არ გახლავთ ჩვენი დროის ახალი პათოსი“. („ახალგაზრდული ფრაგმენტები“).

ერის ებერმაიერ.

„დიდებულება და სისადავე. ფორმათა სიმკაცრე. ზუსტი განსახიერება ნივთიერი სამყაროსა—ავტომობილიდან ყვავილების ვაზამდის“. („წესრიგი“, იხ. ალმანახი „ახალი თაობის შემოქმედება“. 1927 წ.).

ჰერბერტ შლდუტერ.

„ახლა ვნებით აღტყინებული უნდა იყო და მარადყამს მზად. მე მგონია ამაშია ანი და ჰოე. წარსულმა თაობამ ჩვენ მცირეოდენი საყვედური შემოგვკადრა: ნაკლებადრეგო ლდუციონური ხართო. მე მგონია ჩვენ ახალი საუკუნის პიონერები ვართ, ჩვენ ზედ უფსკრულის კიდებზე ვართ მისული და გვწადის ხიდი გადავისროლოთ ამ უფსკრულს გადაღმა. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის რევოლუციას,

ამ დაუსრულებელ ომებს წარსულის წინააღმდეგ?“ (ახალი თაობის აღსარება და მისი პერსპექტივები“. Neue Rundschau. 1918).

გერჰარტ პოლ.

„თანამედროვე ხელოვნების სოციალური როლი გახლავთ ცხოვრების საბოლოო აზრის მოძებნა.

ამ სინამდვილის დაჯერება ბურჟუაზიის მომავლის დაჯერება იქნებოდა“. („ხელოვნება და კლასი“ ჟურ. ფრონტი. 1927).

კლაუს ჰერმან.

„იმ ხელოვნების ნაცვლად, რომელიც ბურჟუაზიის კლასობრივ იდეალს ემსახურებოდა, დღეს უნდა აღორძინდეს ისეთი ხელოვნება, რომელიც პროლეტარიატის პოლიტიკურ-ეკონომიურ მიზნებს უნდა ემსახუროს“. („სიკვდილი და აღორძინება“ იმავე ჟურნალში).

იოსებ ბრაიტბახ.

„კმარა ანგელოზებზე წერა. კმარა სინამდვილიდან გაქცევა. კმარა ავანტიურული ამბები. მეგობრებო საკუთარ თავს მოებლაუკეთ. ჯერ საკუთარი პიროვნების განსახიერება ასწავლეთ“. (ალმანახი „ახალგაზრდობის შემოქმედება“).

რიხარდ გაბელი.

„თვით უბრალო თხრობა ამ მკაცრი სინამდვილის შესახებ ჰქმნის თავისთავად ახალ სტილს. ხოლო სტილი ესე დღევანდელი ყოფის გაფორმებას წარმოადგენს.

მექანიზაცია და ავტომატიზაციაქმნილ ადამიანებისათვის, ჩვენი ეპოქის ადამიანებისათვის. ამგვარი თხრობა უფრო სანუკველია“. („პოეზია, პროზა, და კლასობრივი სახელმწიფო“. Die neue Rundschau. 1928 წ. იანვარი).

ვგონებ ეს მაგალითებიც კმარა.

ეს მაგალითებიც საკმაოა ორი, ერთი და იმავე უფსკრულს გაღმა-გამოღმა მდგარ ბანაკის დასახასიათებლად. ეს გარემოება თვალსაჩინოა როგორც ახალი თაობის შემოქმედებაში, ისე კრიტიკულ აზროვნებაშიაც. აქაც იგივეა: ერთნი ჰოს ამბობენ, მეორენი უარს.

შლახტერი, რომლის თეორეტიკულ აზროვნებას ჩვენ ქვემოთ გავეცანით, აქვეყნებს ნოველლების წიგნს: „ნაგვიანევი შემოქმედება“. ეს წიგნი უკანასკნელი თაობის უუსუსტესი ნაწარმოებია. ამ წიგნში აუარებელი სამუხეუმო ნაგავია დაზვინული. აქვე დიდი პრეტენზიებია გამჟღავნებული, გონებამახვილობისა და აფორისტული აზროვნების პრეტენზიები. ამ აფორიზმების წამკითხველს თმა ყალყაზე დაუდგება უცილოდ.

მაგალითები: „ცივი კვერცხი, გაყინულ ცოდვასა ჰგავს“.

კიდევ:

„და თქვენ გგონიათ ჩვენს მინისტრს მართლაც რამე ესმის გასტრონომიაში? მე მგონია იგი საამისოდ საკმაოდ „რადიკალია“.

რას შეიცავენ ეს ნოველები? ლაყბობას, დაუსრულებელ ლაყბობას? ვინ ლაყბობს? მოარისტოკრატო ბებრუხანები და ახალგაზრდა მხატვრები. მისი ჰომოსექსუალისტი პენსიონერები კლაუს მანის ნაწერების პლაგიატებია.

კლაუს მანი სახელოვანი მამის სახელის მამებარი შვილი გახლავთ.

კლაუს მანი! უცებ წამოგცდა დიდი სახელი.

იგი თავისი თაობის ლოზუნგების ავტორი გახლავთ. მის კალამს ეკუთვნის უახლესი თაობის ცხოვრების რომანი. ამ რომანს დიდი და სასიქადულო სახელი აქვს.

„ღვთის მოსაობის ცეკვა“. ავტორი ძლიერ მოწადინებულია თანდროული ახალთაობის პრობლემები გადასჭრას. ამ ხელალებით დაწერილ რომანში უმთავრესს როლში გვევლინება ისეთი გმირი, რომელიც „საბედისწერო ხორცის“ აღვირახსნილობაში ეძლევა თავდავიწყებას. ბევრია ამ წიგნში როგორც ეროტიკა, ისე ფანტასტიური ბოდვაც. დიდ აღვირახსნილ ცხოვრებაში იხრჩობა გმირი. ზომაზე მეტია აქ მისტიურ-რელიგიური ფერადიც.

სამეხის შესავსებად ჩვენ ვახსენებთ მაიზელსაც, რომელმაც კლავსტის პრემია მიიღო. ეს ჭაბუკი მწერალი მოწადინებულია ფრიად მწვავე პრობლემებს შეეხოს. იგია ავტორი ცნობილი წიგნისა: „ერთი დიქტატურის წარმოშვების ისტორია“.

მაიზელის მაგალითიც ნათელჰყოფს თუ რა უმწეოა ის ახალი, გერმანული ლიტერატურა, რომელსაც არსებული წყობილების წინააღმდეგ არ მოუმართავს ჯერაც ისარი.

ერთი ვიკითხოთ: სად აღმოცენდა ეს დიქტატურა? ბალტიის მხარეში. მისი გმირები? უსულო მარიონეტებია, (მათ აშკარად ეტყობათ, რომ ახალგაზრდა მწერლის მაგიდასთან უნდა იყონ დაბადებული).

ჩვენ ამას ვიტყვით მისტიურ-რელიგიურ წინასიტყვაობის შესახებ; ამ წინასიტყვაობაში საბჭოთა რუსეთი წარმოდგენილია ისეთ ქვეყანად, სადაც უუსაშინელეს რელიგიურ ფანატიკოსებს მოყრილი აქვთ თავი.

ამავე ავტორის მეორე რომანში „მესამე კლასის მგზავრები“ მოცემულია ღარიბი მგზავრების მწარე ხვედრი.

საყურადღებოა ახალგაზრდა ნოველისტი ვერნერ ტიურკ, რომელიც ნატურალისტური სკოლის ზედგავლენას განიცდის. მისი რომანი „Der Arbeitslöwe“ („შრომის ლომი“) პროლეტარების ლატაკურ ცხოვრებას გვიხატავს.

თვალსაჩინოა ერიკ კესტნერიც, რომელმაც თავის ლირიკაში თანამედროვეობა რეალური სარკაზმით ასახა.

დასასრულ უნდა მოვიხსენოთ ჰერბერტ ბეკერი, რომელმაც ახალი ნოველისტიკის შედეგური მოგვცა თავის ნოველების წიგნის — „Gripse“¹⁾-ს სახით.

ეს წიგნაკი საკმარისი საბუთია რომ ჰერბერტ ბეკერი დიდ მწერლად ვიცნოთ. გესლიანი სატირით თავს ესხმის იგი ფილისტერების აშმორებულ ყოფას.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ დაგვესახელებია რამოდენიმე საკმაოდ პოპულიარული მწერალი: აუფრიხტ რუდა, დობიე, ზილბერ, კესტენ, ჰანს ლორბერ, ჰინკელი და სხვები, მაგრამ აქ მრავალი სახელისა და წიგნის დასახელებას არა აქვს იმდენი მნიშვნელობა.

დასასრულ კიდევ ერთი სახელი უნდა ვახსენოთ ჩვენს მიერ დახატულ სურათისათვის უკანასკნელი შტრიხის მისამატებლად.

ეს გახლავთ უკანასკნელი რაინდი, რაინდი მომაკვდავი რომანტიზმისა. ეს გახლავთ გეორგ ფონ დერ ვრინგ. იგი მომავლისაკენ რომ იყურებოდეს ძლიერ საყურადღებო რომანისტი დადგებოდა. კარგადაა დაწერილი მისი სამხედრო რომანი „ჯარისკაცი ზურენ“.

საერთოდ უნდა ითქვას: გერმანიის ახალი მწერლობა ძლიერ კარგს იზამდა, ემილ ზოლას სიტყვებს, სიჭაბუკეში ნათქვამს, რომ დაიწერდეს თავის საწერ მაგიდასთან:

„მე სავსებით უმეცარი ვარ, კიდევ დიდხანს, დიდხანს არაფერს გამოვაქვეყნებ და სამაგიეროდ ვისწავლი“.

— : —

1) მახლას.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

3. კ.

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია

ტ. I—II, 1928 წ. რედაქტორი ია ეკალაძე.

ჩვენი სალიტერატურო ქვეყნის ერთი მთავარ ნაკლთაგანი ის არის, რომ მეტად მდიდარი განძეული, ჯერ ისევ ხელთნაწერებად ალაგია მუხეუმში და საზოგადოებისათვის მიუწვდამელი რჩება. ხოლო რაც დაბეჭდილია, ბევრი მათგანი წიგნის ბაზარზე ხომ არ იშოვება, და წიგნთ-საცავებშიც ძალიან იშვიათად შეჭვდებით. დაინტერესებული მკითხველი იძულებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ ნიმუშებით, რომელიც თითო-ორილა გამოკვლევაში თუ სახელმძღვანელოშია მოყვანილი; მეტ წილათ კი, ქართული ლიტერატურის შესახებ უფრო ყურ-მოკრულადა მსჯელობენ.

თუ ამ მხრივ შევხედავთ ჩვენს სარენცენზიო წიგნს, უნდა ითქვას, რომ იგი მართლა დროზე და მიზანშეწონილად არის გამოსული. მართალია, ნაწილობრივ უკვე დაბეჭდილი მასალა არის მოცემული, მაგრამ მისი დაბეჭვდა პირველ გამოქვეყნებას უდრის, რადგან დიდი ხანია, რაც ეს დაბეჭდილი ტექსტები აღარ იშოვება. დიდი ნაწილი კი, პირველად იბეჭდება, და მკითხველთა წრეს საშუალება ეძლევა გაიცნოს ჩვენი ლიტერატურის დღემდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტები. ამ მხრივ, „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია“ უეჭველად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. მაგრამ აქ მეორე მხარეც არის საინტერესო: თუ ეს მასალა როგორ არის შერჩეული, რამდენად აჩვენია ხსენებულ წიგნს მცოდნე ხელი.

პირველ შეხედვით, ანთოლოგიების შედგენა, შეიძლება ადამიანს მეტად ადვილ საქმედ ეჩვენოს: რა დიდ სიძნელეს უნდა გულისხმობდეს ეს მუშაობა, ერთი ადგილი აქედან, მეორე—იქიდან და ანთოლოგია გამოვაო. მაგრამ ეს მოჩვენებითი სიადვილე ძალიან დიდ სიძნელეს წარმოადგენს. აქ არჩევანია და სწორედ ამ არჩევანში უნდა გამოჩნდეს შემდგენელის ნიჭიც, ცოდნაც და გემოვნებაც. ხოლო თუ „წმინდა ანთოლოგიურ მიზნების“ გარდა, შემდგენელი სხვა მიზანსაც ისახავს, როგორც ამ შემთხვევაში, „პედაგოგიური მოსაზრებებია“, საქმე უფრო რთულდება. ვნახოდ, როგორ უწარმოებიათ არჩევანი ჩვენი „ანთოლოგიის“ შემდგენელთ, და რამდენად აღწევენ დასახულ მიზნებს? ზოგადად უნდა ითქვას ორივე ნაწილის შესახებ, რომ შემდგენელთ საკმაოდ დიდი მუშაობა გაუწევიათ. კერძოდ კი შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ მეორე ნაწილი უფრო აკადემიურად არის შესრულებული, ვიდრე პირველი. ეს გარემოება გასაგებია, რადგან პირველი წიგნის მასალები შეურჩევიათ „ჩვენი მწერლობის მოყვარულთ“ პატივც. ი. ეკალაძეს და ონორე შუშანიას, მეორე წიგნს კი „დაჭმარებია“ ძველი მწერლობის ახალგაზრდა სპეციალისტი ალ. ბარამიძე. აქედან გამომდინარეობს პირველი და მეორე ნაწილ-

თა შორისი განსხვავება, როგორც შერჩევისა-ისე რედაქციის მხრივაც. პირველი ნაწილის რედაქტორი ია ეკალაძე, როგორც თვით ამბობს ცდილა „რომ მის მოწაფეებს, მოზარდ თაობას, მომავალ მწერლობას და საზოგადოდ წიგნის მოყვარულ კაცს ხელში ჰქონოდა საკმაოდ და ერთად თავ-მოყრილი მასალა“. თვით ტექსტების რედაქცია კი. როგორც სჩანს, არა ყოფილა პირველ პლანზე. „სიტყვა-სიტყვით გადმოწერილნი არიან ჩვენ მეცნიერთაგან უკვე დამუშავებულ და გამოცემულ ტექსტებიდან“-ო. ასეთი რედაქცია კი რასაკვირველია არა კმარა. პირველი წიგნისთვისაც აუცილებელი იყო დედნების შესწავლა და მათზე დამყარება; საჭირო იყო „ტექსტისათვის“ ისეთივე ხასიათის მუშაობის გაწევა, როგორც ეს მეორე წიგნისათვის გაუწევია და დიდის გულმოდგინებითაც ალ. ბარამიძეს.

თანაც საჭირო იყო, ძველი მწერლობის „მოკლე მიმოხილვის“ გარდა. რაც ი. აბულაძეს ეკუთვნის, ერთგვარი განმარტებაც, თუ რა მოსაზრებით იბეჭდება ესა თუ ის ტექსტი იმ სახით, რა სახითაც დაბეჭდილია და სხ... ამ მხრივ, პირველ წიგნს აკადემიური ხასიათი არა აქვს. (თუმც ამის პრეტენზიას რედაქტორი არც აცხადებს). ამას გარდა უნდა აღინიშნოს რამოდენიმე ნაკლი, რაც ქართ. ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება. სახელდობრ. ცუდად არის შემოკლებული „აბდულ მესია“. ტაეპები უთანასწოროდ არის დაბეჭდილი, რასაც ჩვენ ტექსტში ვერა ვნახავთ. ასევე ცუდად არის შემოკლებული „თამარიანიც“ ამას ზედ ერთვის ადგილების გაუმართლებელი გადასხმა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგ. მაგ. „მტკიცედ აქვს სჯული... და სხ... რაც შეეხება „ვეფხვის ტყაოსანს“, არ ვიცით რა მოსაზრებით, მოცემულია ი. აბულაძის მიერ დადგენილი ტექსტი, იმ „შესწორებით“, რაც უეჭვოდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, წიგნში კი, ეს „შესწორებები“ საგანგებოდ ასოებით არის დაბეჭდილი, როგ. მაგ. „გასტეხს ქვასაც მაგარსა, გარდემლი სიტყვისა ლბილისა.“ იქნებ რედაქციას ჰქონდა რაიმე მოსაზრება, როცა ასეთი „შესწორებით“ ჰბეჭდავდა ხსენებულ ტექსტს. მაგრამ ეს აღნიშნული უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მეორე წიგნს, გვგონია, რომ შემდგენელს კარგად შეუსრულებია წინასწარ მიღებული განზრახვა: „მიუხედავად მისი (ე. ი. წიგნის) პოპულიარული ხასიათისა და დანიშნულებისა, ყოველი ღონე იქმნა ხმარებული, რომ კრებული ერთგვარ სამეცნიერო ინტერესსაც არ ყოფილიყო მოკლებული; ყოველ შემთხვევაში, აკადემიური ხასიათის დაცვას შემდგენელი უცილობლივ სცდილობდა“—ო. წიგნი აკადემიურად დადგენილია და სერიოზული მუშაობის შედეგი. შემდგენელი ალ. ბარამიძე მეტ წილად პირველ-წყაროებს ემყარება, და ყოველი ცალკე ტექსტისათვის იძლევა შესაფერ ჩვენებასა და განმარტებას, რითაც მკითხველს ორიენტაციის საშუალება ეძლევა. შესაძლებელია ბევრში არც ვეთანხმებოდეთ, მაგრამ რედაქტორის საფუძვლები ვიცით და ამას მნიშვნელობა აქვს, ამ მოკლე ბიბლიოგრაფიულ წერილში რასაკვირველია ძნელია ყველა ღირსებისა თუ ნაკლის აღნუსხვა, მხოლოდ ერთი ორი შენიშვნა გვინდა ვუთხრათ შემდგენელს. მუშაობა ბევრი აქვს გაწეული ალ. ბარამიძეს, მაგრამ აქა-იქ ამ მუშაობით გატაცებული, ჰიპერბოლურად იწუნებს ზოგიერთ ძველ გამოცემებს.

აი თუნდ მაგალ. ზ. გაბაშვილის „კატის ომი“ შემდგენელი აღნიშნავს რომ ეს ნაწარმოები პირველად დაგ. ჩუბინაშვილმა დაჰბეჭდა, მაგრამ „გამოცემაში ტექსტი ძალზე გადაამუშავებულია, გადაკეთებულია ცალკე სიტყვები და ფრაზებიც კი (ზოგი რამ ცენზურული მოსაზრებითაც). გამოშვებულია სათაურები, ტაეპები და ერთი მთელი ხანაც კი.“ ჩვენ შევადარეთ სხვათაშორის ეს ტექსტიც, და ვერა ვნახეთ ვერც „ძალზე გადამუშავებული“ ადგილები და ვერც გა-

მოშვებული ტაეები, გარდა მე-52-ისა' რომელსაც შემდგენელი „ხანას“ უწოდებს. არის კორექტი. შეცდომები, ოთხ ადგილას „უცენზურო“ სიტყვის გადაკეთება და ორი სიტყვის შეცვლა: მეფის ნაცვლად—მამა, და „ჩინლარის“ ნაცვლად „ჩინს ლორი.“ („ჩინლარი“ სიტყვა არ არის შეცდომაა, რაც ალ. ბარამიძეს კარგად შეუსწორებია).

არის კიდევ ჩუბინაშვილის გამოცემაში ერთი გამოტოვებული სტრიქონი მე-52 ტაეისა, უცენზურობის გამო, მაგრამ ეს სტრიქონი ანთოლოგიაშიაც გამოტოვებულია. ისე რომ სინამდვილეს არ შეეფერება ის გადაჭარბებული სიტყვები; რომელიც ჩვენ ზემოდ ამოვწერეთ.

რაც შეეხება ე. წ. უცენზურო სიტყვებს, შემდგენელი ყველგან არ იცავს ერთსა და იმავე პრინციპს. თუ აკადემიური გამოცემაა, ყველაფერი უნდა იყოს ისე, როგორც დედანშია, თუ გამოვტოვებთ და ყველგან უნდა განვტოვოთ. ანთოლოგიაში კი, ზოგან გამოტოვებულია, როგ. მაგ. გვ. 234—237 და სხ... ხოლო დატოვებულია, დ. სააკაძის ლექსებში უფრო „მაგარი“ სიტყვები (გვ. 223) გადაჭარბებულია აგრეთვე „მიჯნურთ-ბადის“ შესახებ სარედაქციო შენიშვნა:

„მიჯნურთ-ბადე“ ნაწყვეტებად დ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიაში დაიბეჭდა ჩვენი ტექსტი ორიგინალთან შედარებით ოდნავ შემოკლებულია“-ო. თუ დ. ჩუბინაშვილის 82 ტაეის ნაწყვეტები ეწოდება, ასეთივე „ნაწყვეტებია“ ანთოლოგიაში შესული ტექსტიც. „ოდნავ შემოკლება“ კი დ. ჩუბინაშვილზედაც ისევე ითქმის, როგ. ანთოლოგიის შემდგენელზე. „ანთოლოგიაში“ შესულია სულ 96 ტაეები, ჩუბინაშვილისაში კი—82, ანთოლოგიაში არ არის შესული ჩუბინაშვილის 26 ტაეები. გვგონია, რომ მთლად უნდა დაბეჭდილიყო, ასე მცირედისათვის ნაწარმოების დაგლეჯა არა ღირდა. კიდევ შეიძლებოდა რამოდენიმე ადგილას გამოდავება, მაგრამ შორს წაგვიყვანს. მით უმეტეს რომ ამ შენიშვნებს ამჟამად აქტიური მნიშვნელობა არა აქვთ. საერთოდ მეორე წიგნი, როგორც ვსთქვით მოსაწონია როგორც მასალის შერჩევით, ისე რედაქციის სერიოზობით. როგორც ჩვეულნი ვართ, კორექტურა აქაც სუსტად არის ნაწარმოები. ბევრგან მარცვალ მეტობაც არის, როგ. მაგ. „მაჯამაში“, რაც უსიამოვნო შთაბეჭდილებასა სტოვებს. საერთოდ კი, ორივე წიგნი დიდი შემატებაა ქართული ლარიბი ბიბლიოთეკისათვის. გვგონია, რომ მკითხველი სიამოვნებით ელის შემდეგ ტომებსაც.

ქ. რ.

და ვ ი თ კ ა რ ი ქ ა შ ვ ი ლ ი. ქართულ წიგნის ბეჭდვის ისტორია. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე. წ. 6×10. გვ. 119. სახელგამი. 1929. ფ. 1 მ. 50 კ.

წელს სამასი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ქართულმა წიგნმა სტამბა პირველად იხილა. ისტორიული ქარტეზილების გამო ბეჭდვის საქმე ჩვენში ევროპისას 175 წლით ჩამორჩა. ხოლო სტამბა ტფილისს მე-18 საუკუნის დამდეგს ეღიროსა. პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი კი გამოვიდა 1629 წელს შორეულ რომში ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

სტამბის სამასი წლისთავი, უეჭველია, სათანადოდ უნდა აღინიშნოს, როგორც უდიდესი დღესასწაული და საზეიმო თარიღი. ამ მხრით, ჯერჯერობით ცოტა რამ სამზადისი გვეტყობა. იმედია, საბიბლიოგრაფიო წიგნი პირველი და უკა-

ნასკნელი არაა და ჩვენ კიდევ ვიხილავთ გამოკვლევებს მე-19 ს. წიგნთა ბეჭდვის შესახებ.

განსვენებულ დ. კარიჭაშვილს წინამდებარე წიგნი დაუწერია 1925 წელს. ავტორი, როგორც წერა-კითხვის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწეთაგანი, როგორც ისტორიკოსი, კარგა დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ხსენებულ საზოგადოებათა მუზეუმებში და მისი გამოკვლევა ფრიად სერიოზული, კეთილსინდისიერი და ობიექტიურია, სავსებით სანდო წყაროებზე დამყარებული. მას გულდასმით გადაუსინჯავს წიგნსაცავები: 1. ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, 2. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, 3. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და 4. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. გამოუყენებია აგრეთვე მთელი ლიტერატურა, რომელიც კი ამ დარგში არსებობს, ზოგი ცალკე წიგნად გამოსული, ზოგი კიდევ ჟურნალ-გაზეთებში ვაპნეული.

ავტორის გამოკვლევაში ფრიად საინტერესო და დამაჯერებელია მისი მოსაზრება რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის ავტორთა შესახებ. აქამდე ცნობილი იყო, რომ ქართულ-იტალიური ლექსიკონი შედგენილია სტეფანე პაოლინის მიერ „ქართველის, წმინდა ბასილის წესის ბერის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით“. როგორც ეს სათაურშია აღნიშნული. დ. კარიჭაშვილი ამტკიცებს, რომ ნიკიფორე ირბაქი, საქართველოს დესპანი ევროპაში, არ იყო არა თუ ჩოლოყაშვილი (პროფ. კ. კველიძის აზრი) ან ირრუბაქიძე (როგორც ამას ჰფიქრობს პროფ. გრ. წერეთელი), არამედ იგი ქართველიც არ ყოფილა. ლექსიკონში სრულიად არაა დაცული ქართული გამოთქმა (მაგალითად, სწერია „აგმო-საულეტი“, „აგმოზენებული“, და ასე შემდეგ) ბევრგან ჩაწერილია ბერძნული სიტყვები ვითომც, როგორც ქართული. სჩანს, ნ. ირბაქს ქართული ხეირიანად არ სცოდნია. ამიტომ განსვენებული დ. კარიჭაშვილი ჰფიქრობს, რომ ნიკიფორე ირბაქი — იყო ბერძენი, რომელმაც დასავლეთში ელჩად მყოფობის დროს დიპლომატიურის მოსაზრებით თავისი ბერძნობა არ გაამხილა. ეს ირბაქი უნდა იყოს, დასძენს ავტორი, სწორედ ის ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ) მიტროპოლიტი, რომელიც იმავე თეიმურაზის ელჩად იყო მოსკოვში და სადაც მას უკვე აღარავითარი დიპლომატია აღარ უკარნახებდა კათოლიკედ მოსხვენებოდა ვისმე, როგორც ეს მან რომში ჩაიდინა.

დ. კარიჭაშვილის წიგნი, მიუხედავად მისი სავსებით მეცნიერული ხასიათისა, დაწერილია მარტივად და კარგი ენით. ავტორი შედარებით დაწვრილებით აგვიწერს მე-17 დი მე-18 საუკუნის განმავლობაში დაბეჭდილ წიგნებს და გვამცნევს მათი ავტორების და დაბეჭდვის შესახებ საკმაოდ ვრცელ ცნობებს. აქა-იქ ჩართული აქვს კლიშეები ძველად გამოცემული წიგნების სატიტულო ფურცლებისა, რაც ნაშრომს ინტერესს მატებს. ბოლოს დართული აქვს სრული სია 1629 წლიდან 1817 წლამდე გამოცემული წიგნებისა რიცხვით 84.

დ. კარიჭაშვილის ნაშრომი სახელგამს კარგად და ლამაზად გამოუცია, მაგრამ ამნაირი წიგნი—ფასის მხრით უფრო ხელმისაწვდომი უნდა იყოს. იგი ღირსია ყველა იმათგან შეძენისა, ვისაც ქართული კულტურის წარსული ეინტერესება.

დასასრულ, როგორც იშვიათი გამონაკლისი, უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში კორექტურული შეცდომები თითქმის სრულიად არ მოიპოვება.

И. К. Ениколопов—„А. С. Грибоедов в Грузии и Персии.
გამოცემა „ზაკნიგა“-სი, 1929 წ. ტირ. 3000. ფასი 2 მან.

სარეცენზიო წიგნი მეტად საყურადღებო ნარკვევს წარმოადგენს გრიბოედოვის საბიოგრაფიო ლიტერატურაში. უნდა აღინიშნოს კმაყოფილებით, რომ ავტორს დიდის კეთილსინდისიერებით გამოუყენებია გარდა საერთოდ ცნობილი მასალებისა, აგრეთვე ყველა ის წყაროები, რომლებიც აქნამდის და ამჟამადაც რუსეთის მკვლევართათვის და ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის ბევრ შემთხვევაში უცნობია და ხელმიუწვდომელი. ასეთ წყაროებს შორის საკმაოა დავასახელოთ „კავკასიის არქე-გრაფიული კომისიის აქტები“, ტფილისის ძველი პერიოდული რუსული გამოცემები, სომხური წყაროები, დაკავშირებული გრიბოედოვის სიკვდილთან, საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული საქმეები და ბოლოს საინტერესო მასალები—ენიკოლოპოვების საოჯახო არქივიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ წიგნში პირველად არის გამოქვეყნებული ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავარმართებელთა დიპლომატიურ კანცელარიის „საქმეებში“ დაცული მასალები. (ამ „დიპლომატიური კანცელარიის“ პირველ მმართველად იყო თვით გრიბოედოვი). ეს „საქმეები“ ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ნაწილი ამ არქივის მასალებისა 1914 წელს ტფილისიდან ჩრდილო-კავკასიაში ევაკუაციის დროს დაიღუპა, აქ მაინც საკმაოდ არის დარჩენილი გრიბოედოვის მიმოწერა, რაც ძვირფას მასალას შეადგენს მისი მოღვაწეობის გასათვალისწინებლათ რუსეთის სააღმოსავლეთო პოლიტიკის სფეროში.

ენიკოლოპოვის ნარკვევი შესდგება ოცდაექვსი თავისაგან, მიუხედავად მრავალი უკვე ნაცნობი მასალებისა, წიგნი იკითხება საკმაო ხალისით. განსაკუთრებით საინტერესოა მეცხრე თავი, სადაც ლაპარაკია გრიბოედოვის საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ ტფილისში, პირველი რუსული ოფიცოზის დაარსებისა და გადმოსახლებული დეკაბრისტების თანამშრომლობის შესახებ ამ ორგანოში.

საინტერესოა აგრეთვე მეთოთხმეტე და მეხუთმეტე თავები, სადაც აღწერილია გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ასულის შეუღლებისა და გრიბოედოვის სპარსეთს გამგზავრების ამბები.

წიგნი გამოცემულია კულტურულად და საკმაო გემოვნებით. წიგნს დართული აქვს ნაკლებათ ცნობილი და საინტერესო გრაფიურები: ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი, პასკევიჩის და აბას-მირზას შეხვედრა, ძველი ტფილისის რეპროდუქცია მხატვ. ფრანკენის 1856 წლის ნახატიდან და სხვ.

აქნამდის უცნობ მასალათა გამოქვეყნების წყალობით ეს წიგნი მეტად საყურადღებო ადგილს დაიკავებს გრიბოედოვის ლიტერატურაში.

ლიტერატურული ცხოვრება

საქართველო.

— სანდრო შანშიაშვილის ახალი პიესა. ს. შანშიაშვილმა დასწერა პიესა „პირველი ნაბიჯი“. პიესის თემათ აღებულია კოლმეურნეობათა მშენებლობა ჩვენს სოფელში.

— „მნათობის“ საიუბილეო ნომერი. გამოვიდა ჟურნალ მნათობის“ საიუბილეო ნომერი № 2-ვ. წელს შესრულდა ჟურნალის არსებობის 5 წლის თავი.

— საბავშვო თეატრის მოგზაურობა. ტფილისის ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დაამთავრა სეზონი. თეატრი უკვე გაემგზავრა პროვინციაში საგასტროლოთ. გასტროლები გაიმართება საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში -- ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში და სხვ.

— კინო-ფაკულტეტი. საქართველოს სამხატვრო-აკადემიასთან იხსენება კინო ფაკულტეტი.

— „კავკასიელი ყაჩაღი“—სახკონმრეწვმა მიიღო დასადგმელად აკაკი ბელიაშვილის სცენარი კომედიისა—„კავკასიელი ყაჩაღი“.

— „მოგონებები ლადო მესხიშვილზე“. გამოვიდა ვარია მესხიშვილის წიგნი „მოგონებები ლადო ალექსი - მესხიშვილზე“.

— პირველი ქარტეხილი“.—გამოვიდა პ. სამსონიძის ახალი წიგნი პირველი ქარტეხილი“. გამომც. „შრომა“.

— ქოჩორა თურინჯი“—გამოვიდა პანაიტ ისტრატის რომანი „ქოჩორა თურინჯი“ (Nerrantsoula)—თარგმანი ფრანგულით მიხ. ჯავახილვილისა — გამომც. სახელგამის.

— ქართული ესტრადა. მთავარ სახელოვნო სამართველოსთან, შალვა დადიანის ხელმძღვანელობით მუშავდება რეპერტუარი და პროგრამა ქართული ესტრადისთვის, იქვე ხდება ორგანიზაცია ესტრადისათვის საჭირო მსახიობებისა და მომღერლების სათანადო კადრისა.

— „ჭკამაგას“. შალვა დადიანმა დასწერა ახალი ორგინალური კომედია თანამედროვე ცხოვრებიდან—„ჭკამაგას“. იგივე ავტორი ამ მოკლე ხანაში გამოაქვეყნებს ახალ მოთხრობას—„უკაცრიელი“. მოთხრობის თემა— თანამედროვეა.

— აკაკის მოსწრებულის სიტყვები. გამოვიდა აკაკის მოსწრებულის სიტყვა-პასუხის პატარა კრებული—გრი-გრის წინასიტყვაობით.

— „სანავარდო“ რუსულად. ზაკნიგას გამოცემით გამოვიდა დემნა შენგელიას რომანის „სანავარდოს“ რუსული თარგმანი.

— „ბედი—რესპუბლიკა“. ბიბლიოთეკის მკითხველთა კრებაზე. პროფ-საბკოს კულტგანყოფილების მიერ მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ჩატარებული იქნება მწერლისა და მკითხველის დაახლოების საღამოები. ამ ყაზად კულტგანყოფილების დავალებით ბიბლიოთეკის კრებებზე სიმონ ჩიქოვანი კითხულობს თავის ახალ პოემას: „ბედი-რესპუბლიკა“.

— : —